ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 006 (12 685) 12 იანვარი ორშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



# ჩვეულებრივი ბექჰემი, კატასტროფული ჩელსი




## 0:3

## ჩავი და მესი ინტრიგას კლავენ

## რას ეტყვის აბრამოვიჩი სკოლარის?

რომა-მილანი 2:2. ძამბროტა, ბაპტიშტა და ბექჰემი ბურთისთვის ბრძოლაში

» 6-10

# აბრამაშვილმა ორჯერ იგიგანტა

**როგორც ჩანს, 20 წლის სამთო-მეთხილამურე იასონ აბრამაშვილი** შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. მას კარიერაში საუკეთესო დროება უდგას. 7 იანვარს იასონმა იტალიაში, სანტა კატერინა ვალფურვაში, სეზონის პირველი ტიტული მოიპოვა - „სითიზენის" დონის ტურნირი მოიგო. მეორე დღეს, იმავე ტრასაზე, კიდევ ერთი სლალომი გაიმართა, რომელშიც იასონმა 20 მეასედი წამი წააგო ორი დაშვების ჯამში გამარჯვებულ **ჯაკომო პიერონთან** (იტალია). კარგად ისრიალა **ვახტანგ თედიაშვილმაც**, რომელმაც 100-მდე მონაწილეში მე-16 ადგილი დაიკავა.

ამის შემდეგ ჩვენი სამთო-მეთხილამურეები კურორტ ლადურნში (იტალია) გადავიდნენ, სადაც ზედიზედ (შაბათს და კვირას) ორი გიგანტ-სლალომი გაიმართა ისევ „სითიზენის" ეგიდით. ლადურნში საქართველოს საუკეთესო მეთხილამურემ 100-ზე მეტ კონკურენტს აჯობა - პირველ ცდას 52,00 წამი მოანდომა, მეორეს - 54,18. პიერონი ამჯერად მე-4 ადგილს დასჯერდა. თავი გამოიჩინა ვახტანგ თედიაშვილმაც, რომელიც საბოლოოდ მე-11 ადგილზე გავიდა. 15 წლის **ჯაბა გელაშვილს** კი პირველი ცდა გაუცუდდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

გუშინ იასონ აბრამაშვილმა დაამტკიცა, რომ მისი გამარჯვება კანონზომიერი იყო. ამჯერად, მან 8 მეასედი წამით აჯობა მე-2 ადგილზე გასულ შვეიცარიელ **სევერინ მალერს**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# შარაპოვა ტიტულს ვერ დაიცავს

» 16



# ევროპის ჩემპიონატზე ლიდერების გარეშე

## დავითი ცოლს ირთავსო...

ინტერვიუ
ბები დარჩიასთან

» 11

ინტერვიუ | მათე ვანაძე

# ჩვენს ჩემპიონატს ზელიჩისნაირები სჭირდება

## მათემ თაბაშირი მოიხსნა და გუშინ პირველად ივარჯიშა



მათე ვანაძე

საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გუშინ მათე ვანაძემ პირველად ივარჯიშა. თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი და ბომბარდირი მალე გუნდს გოლებით ძველებურად დაეხმარება. ვანაძე იმედოვნებს, რომ ცოტა ხანში სრულფასოვან ვარჯიშებსაც განაახლებს.

„დინამოს“ თავდამსხმელს ლავიწის ძვალი პირველ ეტაპის ბოლოს გაუტყდა, რაც გუნდისთვის დიდი დანაკლისი აღმოჩნდა. მათე გუნდისთვის უკვე დიდი ძალაა და ყველა აღიარებს, რომ 20 წლის თავდამსხმელის სრულ გამოჯანმრთელებამდე „დინამოს“ საჩემპიონო ბრძოლაში რეალური მონაწილეობა ძალიან გაუჭირდება...

**- მათე, როგორც შევიტყვეთ, ინდივიდუალურ ვარჯიშს უკვე შეუდექი...**

- დიახ, ფიქსატორი 10 იანვარს მოვიხსენი და დღეს პირველად ვიძუნძულე. მთავარია, ტკივილები აღარ მაწუხებს, მაგრამ ერთი კვირის, ძილის დროს, ფიქსატორი მაინც უნდა მეკეთოს.

**- როდის დაიწყებ სრულფასოვან ვარჯიშს?**

- დაახლოებით ორ კვირაში. ტრავმამ ხელი ძალიან შემიშალა, თუნდაც იმაში, რომ სერიოზულად ვაპირებდი ათლეტიზმზე მუშაობას. ახლა საამისოდ სასურველი დროც იყო, ტრენაჟორებზე ვარჯიში ძალიან მჭირდებოდა, ფიზიკურად უფრო რომ მოვღონიერებულიყავი. ამას მაინც მოვახერხებ, მაგრამ საწყენია, რომ დრო მიცდება.

**- ბოლო ორ წელიწადში მესამე მძიმე ტრავმა მიიღე...**

- მძიმე ტრავმებიც მივიღე და საერთო ჯამში, საკმაოდ დიდი დროც, ლამის ორი წელი დავკარგე. 2006 წელს, როცა „დინამოს“ ძირითადში გადასვლის შანსი პირველად გამიჩნდა, მუხლზე კრისტალური ნანაზარდების გამო ოპერაცია დამჭირდა და წელიწადნახევარი მარტო ამის გამო გამოვტოვე. 2008 წელს კი გვერდითი იოგი გავიწყვიტე და კიდევ ორი თვე დავისვენე. ეს უკვე მას შემდეგ მოხდა, რაც „დინამომ“ ჩემპიონობა მოიპოვა, თბილისის „ლოკომოტივთან“ რაღაც უცნაური ფეხბურთი გამოგვივიდა და საკმაოდ ლამაზი გოლიც გავიტანე, მაგრამ მაშინვე საავადმყოფოში გამაქანეს. სეზონი დაიწყო, მოვმჯობინდი და ვიფიქრე - მოვრჩი და ეგ არისმეთქი და... კიდევ ერთი ტრავმა.

**- 20 წლის ფეხბურთელისთვის ლამის ორი სეზონის გაცდენა მართლაც ძალიან ბევრია...**

- დრო იქით იყოს და, თამაშს რომ ვერ ვახერხებდი, ვნერვიულობდი... მაგრამ დრო რომ გადის, მერე ყველაფერს ეჩვევი. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქრო. მთავარია, თავიდან რომ დაიწყებ, კარგად დაიწყო, თავდაჯერებულობა არ გაგიქრეს და გული არ აგიცრუვდეს.

**- ამასობაში, ბომბარდირთა დავაში კვარაცხელია დაგეწია...**

- სხვათა შორის, შეიძლება გაგიკვირდეთ და, მისი თამაში ნანახი არ მქონდა. პირველად, „ზესტაფონთან“ მატჩის დროს ვნახე, „ვიტ ჯორჯიამ“ 2:1 რომ მოიგო. კვარაცხელია მართლა ძალიან მომეწონა, თავისი გუნდისთვის საჭირო მოთამაშეა - ჯანიანია, მოძრავი და მცველებს ასეთი ფორვარდის წინააღმდეგ თამაში მეტისმეტად უჭირთ. ისე, რაკი ჩვენი ჩემპიონატის თავდამსხმელებზე ჩამოვარდა საუბარი, მინდა, „დნიპროში“ ბექა გოცირიძის გადასვლაზეც ვთქვა. ბექას წინსვლით ძალიან გახარებული ვარ. ქართველ ფეხბურთელში მილიონ ევროს რომ გადაიხდიან, ეს უკვე მოვლენაა. ალბათ, უკრაინაში მეტ ყურადღებას მიაქცევენ და დარწმუნებული ვარ, თამაშის საშუალებასაც მისცემენ. ფეხბურთელში ამხელა ფულს რომ იხდიან, მას სკამზე არ აჩერებენ. ბავშვობაში ერთ გუნდში ვვარჯიშობდით, მეგობარია და ისეთი ბრძოლისუნარიანი ბიჭია, მჯერა, „დნიპროში“ ძალიან მალე ათამაშდება. ბექა სკამს არ შეეგუება. წარმატება მინდა ვუსურვო.

**- ტრავმის გამო, საქართველოს ჩემპიონატის ცქერა ტრიბუნიდან ან ტელევიზიით გიწევდა. როგორ ჩანს გარედან ჩვენი პირველობა?**

- „დინამოს“ ბოლო ორი ტურის თამაშები ვნახე, „ბორჯომთან“ და „მესხეთთან“. ვერც ერთმა წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია და არც მიკვირს - ამ გუნდების ფეხბურთელები ხომ უკანასკნელ ხანს აღარ ვარჯიშობდნენ, ასე რომ, ძნელი იყო ამ შეხვედრებით რაიმე დასკვნის გაკეთება. „ზესტაფონისა“ და „ვიტ ჯორჯიის“ თამაში კი ძალიან მომეწონა, დაძაბულიც იყო და სანახაობრივიც. „ოლიმპი“-„ვიტ ჯორჯიაც“ ვნახე, ვიტელებმა 10 კაცით ფრედ რომ დაამთავრეს. „ვიტ ჯორჯია“ ძალიან ძლიერი გუნდია - კარგად დაკომპლექტებული, ფიზიკურადაც მომზადებული... თანამედროვე ფეხბურთსაც თამაშობს.

**- საერთო მოსაზრებით, შარშანდელთან შედარებით უკეთესი ჩემპიონატია. როგორ ფიქრობ, ასეა?**

- მართალია, ეს ჩემპიონატი ნამდვილად საინტერესო და დაძაბულია. სამწუხაროა, რომ ჩვენს კლუბებს მაყურებელი და ფინანსები ისევ აკლიათ, თორემ ბევრად უკეთესი პირველობა გვექნებოდა. ბევრს ნიშნავს ძლიერი უცხოელი ფეხბურთელების ჩამოყვანაც. მაგალითად, შეუძლებელია, ნედ ზელიჩის გვერდით არ გაიზარდო. გინდა თუ არა, უყურებ, როგორ ვარჯიშობს, სად გარბის, როდის როგორ იქცევა... თუნდაც, როგორ ისვენებს. შეიძლება, ერთი შეხედვით მისი თამაში სულაც არ მოგწონდეს, მაგრამ მაინც აკვირდები, რადგან შენზე ბევრად გამოცდილია. ფეხბურთში ასეთები ბევრს წყვეტენ. გადამწყვეტ მომენტში 17 წლის ბიჭმა, შესაძლოა, ინერვიულოს და ბურთი ვერ გაიტანოს. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ასეთ დროს ვეტერანი უფრო ცივი გონებით მოქმედებს, მით უფრო - დიდი გამოცდილების მქონე ფეხბურთელი.

სამწუხაროდ, ზელიჩის მსგავსი გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით თამაშს შეჩვეულები არ ვართ და ეს ძალიან ცუდია. გურამ კაშია ამბობდა, ნედისგან რამდენი ისწავლა და განა მარტო კაშიამ? მართალია, ის მცველია, მე კი თავდამსხმელი, მაგრამ ცხოვრებისადმი და საქმისადმი მის დამოკიდებულებას რომ ვხედავდი, ვცდილობდი, მისნაირი პროფესიონალი გავმხდარიყავი. დრო გავიდა და ვამჩნევ, როგორი გაზრდილია კაშია, ზელიჩის სტილში ჭკვიანურად ათამაშდა.

**- ფორვარდ ვაწაძისთვის ყველაზე უხერხული მცველი რომელია?**

- ყველაზე მეტად უჩა ლობჟანიძის წინააღმდეგ მიჭირს თამაში, იმიტომ, რომ სულ ხელებს მირტყამს. ეს ხუმრობით, უჩა მეგობარია, მაგრამ კონკურენტ გუნდებში ვთამაშობთ და სხვა რა გზა აქვს, ყველანაირი გზით ცდილობს ჩემს შეჩერებას.

**- ოდიკაძის, შოთა კაშიასა და ელიავას გარეშე დარჩენილ განახლებულ „დინამოზე“ რას იტყვი?**

- რა თქმა უნდა, ოდიკაძე, კაშია და ელიავა ძალიან დაგვაკლდებიან. თუმცა ჩვენი ხელმძღვანელობა მათ შემცვლელებზე მუშაობს. აგერ, კონტრაქტი გაუფორმეს ალეკო კოშკაძეს, სინჯებზე ჩამოსულ სერბებთან ერთად, დღეს ერთი კამერუნელიც გამოჩნდა. გუნდშია ზუგდიდის „მგლების“ მარცხენა ნახევარმცველი შოთა ლომია, აკირემიც გვიბრუნდება და ვფიქრობ, კარგი გუნდი გვეყოლება. კონკურენცია გაიზარდა, ამით კი გუნდში მეტი რეზერვი ჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ | ირაკლი კიკნაძე

# ვიტ ჯორჯიამ არ ამიყვანა, სპარტაკზე უარი ვთქვი

## ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი უგუნდოდაა

ცხინვალის „სპარტაკი“ საქართველოს ჩემპიონატს ერთ-ერთი ბომბარდირით აპირებდა გაძლიერებას. ირაკლი კიკნაძემ, რომელიც პირველ ეტაპზე აუტსაიდერ „ბორჯომში“ გამოდიოდა, თავის გამოჩენა მაინც მოახერხა და 7 გოლი გაიტანა. ლიდერი გუნდების თავდამსხმელისთვის ასეთი შედეგიანობა ბუნებრივიც იყო - მათე ვაწაძის, ვახტანგ კვარაცხელიასა და ნიკა გელაშვილის მონაგარს მათი თანაგუნდელებიც ქმნიდნენ. კიკნაძის წარმატებულ თამაშს კი „ბორჯომი“ ვერაფრით უწყობდა ხელს, ეს ფაქტი კი 21 წლის ფორვარდის ნიჭიერებაზე მეტყველებს. ეს ბევრი გუნდის მწვრთნელმა შენიშნა, მაგრამ ამ ფეხბურთელის გადაბირებას ყველაზე აქტიურად „სპარტაკი“ ცდილობდა, რომლის მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაია ზამთრის შესვენების დროს საკმაოდ აგრესიულ სატრანსფერო პოლიტიკას ახორციელებს. გაბელაიამ დაგვიდასტურა, რომ კიკნაძის აყვანა სურდა: „კიკნაძე ნიჭიერი რომაა, ეს პირველ ეტაპზეც გამოჩნდა. აუტსაიდერ გუნდში ბომბარდირობა დიდი საქმეა. ამიტომაც გვსურდა მისი დამატება, მაგრამ ირაკლიმ ჩვენთან თამაშზე უარი თქვა. თუ რატომ, ეს ჩვენთვის უცნობია“.

კიკნაძე დღემდე „ვიტ ჯორჯიას“ ეკუთვნის. ამიტომ, ფეხბურთელის არენდის ან გამოსყიდვის თაობაზე დაინტერესებულმა კლუბმა მოლაპარაკებები ვიტელებთან უნდა აწარმოოს. თუ სად აპირებს კიკნაძე კარიერის გაგრძელებას, ამაზე თავად მოთამაშეს გავესაუბრეთ. როგორც გაირკვა, „სპარტაკში“ გადასვლისგან ის ჯერჯერობით თავს იკავებს...

- „ბორჯომში“ მძიმე ფინანსური სიტუაციაა და გუნდიდან წამოვედი. ახლა უგუნდოდ ვარ და ჯერჯერობით არ ვიცი, სად ვითამაშებ მეორე წრეში.

**- „ვიტ ჯორჯიაში“ არ ბრუნდები?**

- უნდა დავბრუნდე, მაგრამ გუნდს შეკრებაზე ვერ გავყვები. როგორც მითხრეს, შეკრებაზე გასამგზავრებელთა სიაში არ ვიყავი და პირველი ლიგის ფარმკლუბში შემომთავაზეს ვარჯიში. სიმართლე გითხრათ, მეგონა, ძირითად გუნდში დაბრუნების შანსი მექნებოდა, მაგრამ... რას ვიზამ, ისევ ახალი კლუბის მოძებნა მომიწევს.

**- მაგრამ კლუბზე უკვე თქვი უარი...**

- „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი ჯერ კიდევ მაკავშირებს, მაგრამ პირველ ლიგაში თამაში როგორ უნდა მაწყობდეს?

**- „ვიტ ჯორჯიაში“ ფეხბურთელებს ათლეტურობითაც არჩევენ და, ალბათ, სუსტი აღნაგობის გამო არ დაგაბრუნეს...**

- მიზეზებზე არავისთან მილაპარაკია, გუნდი შეკრებიდან რომ დაბრუნდება, მერე შეურთდებიო, მითხრეს. მე კი მივხვდი, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ჩემი დაბრუნება არ უნდა, ეტყობა, ამ გუნდს არ ვჭირდები.

**- ნიჭიერი რომ ხარ, ამას ყველა აღიარებს, მაგრამ ათლეტიზმში რომ მოუმატო, ამაზე თუ მუშაობ?**

- როგორ არა? ვვარჯიშობ. მართალია, ახლა უგუნდოდ ვარ, მაგრამ ინდივიდუალურად დავიწყე ვარჯიში. მინდა, ფორმაში ვიყო.

**- ცნობილია, რომ ცხინვალის „სპარტაკში“ გელოდებოდნენ...**

- იქ წასვლა თავად არ ვისურვე.

**- რატომ?**

- არ მინდოდა ისევ განათხოვრებით თამაში და აუტსაიდერიდან ისევ აუტსაიდერში გადასვლა. ასე როდემდე უნდა ვიყო?

**- სხვა გუნდები არ გიწვევენ?**

- არანაირი მიწვევა არ მაქვს და დროებით, შესაძლოა, ისევ „ვიტ ჯორჯიასთან“ ვივარჯიშო, პირველი ლიგის გუნდში, სხვა გზა არ მაქვს. „სპარტაკში“ კი ისევ არენდით უნდა მეთამაშა. მართალია, საკმაოდ ნორმალური პირობები შემომთავაზეს, მაგრამ მარტო ფული არ მაინტერესებს, მინდა, ძლიერ გუნდში მოვხვდე და უკეთ გამოვჩნდე.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

### ტატანაშვილმა ითამაშა, განუგრავა ისევ არ ჩანს

**დიმიტრი ტატანაშვილის** პლზენის „ვიქტორია“ სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას განაგრძობს. ქართველი ფორვარდის გუნდმა გუშინ ამხანაგური მატჩი გამართა. „ვიქტორია“ პრალაში ადგილობრივ „სლავიას“ დაუპირისპირდა და 2:1 მოიგო. ტატანაშვილი სასტარტო შემადგენლობაში არ იყო, თუმცა ჩვენებურმა მეორე ტაიმი სრულად ითამაშა. „ვიქტორიამ“ მეორე გოლი სწორედ შესვენების შემდეგ გაიტანა. პლზენის გუნდი მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას 14 იანვარს, „პრშიბრამთან“ სტუმრად ჩაატარებს.

ახლა კიდევ ერთ ჩეხურ კლუბში მოთამაშე ქართველზე ვთქვათ. **გიორგი განუგრავას** ბოლესლავის „მლადამ“ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა. მლადელებმა „ბოჰემიანსთან“ ფინალში 7:3 წააგეს. ამ ტურნირში „მლადამ“ სულ 5 მატჩი გამართა, მაგრამ ამავე კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, განუგრავას არც ერთ შეხვედრაში არ უთამაშია.

**დავით ცაბაძე**

### თარგამაძემ და ფრაიბურგმა დორტმუნდი იმსხვერპლეს

**მეორე** ბუნდესლიგის „ფრაიბურგი“ ესპანურ კურორტ მარბელიაში სეზონის მეორე ნახევრისთვის ემზადება. **დავით თარგამაძემ** და მისმა თანაგუნდელებმა გუშინ საკონტროლო მატჩი გამართეს. ფრაიბურგელები დორტმუნდის „ბორუსიას“ დაუპირისპირდნენ და რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, 2:1 მოიგეს. თარგამაძე სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა, მან მეორე ტაიმში ითამაშა. ფრაიბურგელებმა გამარჯვების გოლი მატჩის მიწურულს გაიტანეს.

**დავით ცაბაძე**


მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ ალექსანდრე კოშკაძე



ალექსანდრე კოშკაძე

# დინამო ჩემთვის ახალი პერსპექტივაა

## ახალწვეული წელს პირველ ტიტულებს გეგმავს

**რ**ოგორც გაცნობეთ, პირველი ფეხბურთელი, ვინც თბილისის „დინამომ" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში დაიმატა, „სიონის" ან უკვე ყოფილი ნახევარმცველი ალექსანდრე კოშკაძეა. მასთან ორწლინახევრიანი კონტრაქტი უკვე გაფორმებულია. კოშკაძემ „დინამოსთან" ერთად უკვე ივარჯიშა.

საინტერესოა, თუ რა აზრისაა ახალწვეული რაინერ ცობელზე, ახალ გუნდზე, რა აქვს პერსპექტივაში.. ალექსანდრე კოშკაძეს სწორედ ამ და სხვა თემებზე გავესაუბრეთ...

- ბედნიერი ვარ, რომ თბილისის დინამოელი გავხდი. ახალ კლუბთან ორწლინახევრიანი ხელშეკრულებაც გავაფორმე. მჯერა, ქართული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანთან ერთად დიდ წარმატებას მივაღწევ. ამ ტრანსფერით ჩემს კარიერაში ახალი პერსპექტივა გაჩნდა.

**- ალბათ, იმიტომ, რომ „დინამო" ტიტულებთან ასოცირდება...**

- დიახ, დღემდე კარიერაში არაფერი მომიგია და დარწმუნებული ვარ, პირველ ტიტულებს სწორედ დინამოელის რანგში მოვიპოვებ. ჩემპიონობაც უნდა შევინარჩუნოთ და თასიც დავამატოთ. მოკლედ, დუბლს ვუმიზნებთ.

**- ახალ გუნდზე რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?**

- საქართველოში „დინამო" ყველაზე მდიდარი ისტორიის კლუბია და ამით ყველაფერია ნათქვამი. დინამოსნაირი სავარჯიშო პირობები ჯერჯერობით, არც ერთ გუნდს აქვს. აქ ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ფეხბურთელი კარგად მოემზადოს და განვითარდეს.

**- წესით, ადაპტაცია არ უნდა გაგიჭირდეთ...**

- ჩემს ახალ თანაგუნდელთაგან ნახევარზე მეტს აქამდეც ვიცნობდი. „დინამოში" დამხვდა შოთა გრიგალაშვილიც. ჩვენ ერთად ვთამაშობდით „ბორჯომში". შეიძლება ითქვას, ადაპტაციის პერიოდი, ფაქტობრივად, უკვე გავიარე. „დინამო" ძალზე მეგობრული კოლექტივია და აქ გარემოსთან შეჩვევის პრობლემას ვერ ვხედავ.

**- ესე იგი, გაირკვა, რომ გრიგალაშვილიც „დინამოში" გააგრძელებს კარიერას? ის „მესხეთში" იყო განათხოვრებული...**

- მე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ შოთა ჯერჯერობით „დინამოშია". ვნახოთ, კარგი იქნება, თუ მისი საკითხი დადებითად გადაწყდება. გრიგალაშვილს ჩვენი გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია.

**- მუდმივი ნომერი თუ შეარჩიეთ?**

- ჯერ არ შემირჩევია. რა მნიშვნელობა აქვს ნომერს? მთავარია, ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც მალე მოვიკიდო ფეხი, ვითამაშო და „დინამოს" წარმატებებში ჩემი წვლილი შევიტანო. ასე რომ, სულერთია, რა ნომერი შემხვდება.

**- „დინამოში" უკვე ვარჯიშიც მოასწარით. საწვრთნელი პროცესი რამდენად მოგეწონათ?**

- 10 იანვარს შევიკრიბეთ. ჯერ მხოლოდ ვირბინეთ. ახალ გუნდში ბურთით არ მივარჯიშია, მაგრამ თანაგუნდელებისგან უკვე ვიცი, რომ აქ კარგი ვარჯიშებია.

**- „დინამოს" მწვრთნელ რაინერ ცობელთან თუ გქონდათ საუბარი?**

- ჩემთან ცალკე არ უსაუბრია. ცობელი საერთოდ გუნდს შეხვდა...

**- რა წარმოდგენა შეგექმნათ მასზე?**

- როგორ გითხრათ... ჩემს წარმოდგენაში რაინერ ცობელი კარგი მწვრთნელია. ის ცდილობს, „დინამო" კიდევ უფრო გააძლიეროს. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატის მეორე ნახევარში გუნდი გაცილებით ძლიერი იქნება.

**- ზემოთ დუბლი ახსენეთ. შეუძლია „დინამოს" ამ მიზნის მიღწევა? კონკურენცია საკმაოდ მძაფრია, თან „ვიტ ჯორჯია" სოლიდური მარაგით გაიჭრა წინ, ოღონდ, „დინამოს" ერთი მატჩი რეზერვში აქვს...**

- დუბლი ნამდვილად არ აღემატება ჩვენი გუნდის შესაძლებლობებს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოვა... მაგრამ მჯერა, გამოვა...

**- ბოლო ხანს რომელ გუნდშიც თამაშობდით, ყველგან წამყვანი ფიგურა იყავით. შეძლებთ, „დინამოშიც" საკვანძო ფეხბურთელი გახდეთ?**

- ჩემი მიზანიც სწორედ ესაა. დანამდვილებით შემიძლია მხოლოდ ერთი რამის გარანტია მივცე ყველას - საამისოდ თავს არ დავზოგავ. მართალია, „დინამოში" დიდი კონკურენციაა, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ სასტარტო შემადგენლობაშიც მოკლე ხანში დავმკვიდრდები და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელიც გავხდები. მით უმეტეს, როგორც ზემოთ გითხარით, ახალ გუნდში ახალი პერსპექტივები მიჩნდება. ეს ჩემთვის საუკეთესო შანსია და უნდა გამოვიყენო. დიდი სურვილი მაქვს, წელს ახალ გუნდთან ერთად მინუმუმ ერთი ტიტული მაინც მოვიგო.

დავით ცაგაძე

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | დ. ლომაია (?) | მგელაძე (გაგრა) | 8 იანვრიდან - თბილისში<br>18 იანვრიდან - ანთალიაში |
| დინამო<br>რაინერ ცობელი | ოდიკაძე (დიორი, უნგრეთი), შ. კაშია (?) ელიავა (არენდა დაუმთავრდა) | **კოშკაძე** (სიონი), შ. გრიგალაშვილი (მესხეთი, არენდა დაუმთავრდა), ქავთარაძე (ბორჯომი, არენდა დაუმთავრდა), მეგოტი (კამერუნი), სალიპოვიჩი (სერბეთი), ტოპიჩი (ჩერნოგორია) | 10 იანვრიდან - თბილისში<br>23 იანვრიდან - ანთალიაში |
| ოლიმპი<br>ვარლამ კილასონია | გ. ონიანი (ალტახი, ავსტრია), ხუბუა (აზერბაიჯანი), მერლანი (გაბალა, აზერბაიჯანი), მიკუჩაძე (?), კ. ალადაშვილი (სიონი) | შეყრილაძე (ბორჯომი), თედიაშვილი (მესხეთი), სარალიძე (ლოკომოტივი), რეხვიაშვილი (მგლები, არენდა დაუმთავრდა), ხუბუა (სიონი, არენდა დაუმთავრდა), მიქაბერიძე (მგლები, არენდა დაუმთავრდა) | 10 იანვრიდან - რუსთავში<br>23 იანვრიდან - ანთალიაში |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | რ. ონიანი (მგლები), ლომაშვილი (?), ბოიომი (?), **ბ. გოცირიძე (დნიპრო, უკრაინა)** | ლ. მელქაძე (უგუნდოდ), მამალაძე (მგლები), კაჭკაჭიშვილი (დინამო 2), მ. კაკალაძე (სამტრედია), წინამძღვრიშვილი, ელბაქიძე (ორივე - ამერი), ტეტუნაშვილი (გაგრა) | 5 იანვრიდან - ზესტაფონში<br>18 იანვრიდან - თურქეთში |
| სიონი<br>ოთარ კორღალიძე | ს. იაშვილი (არენდა დაუმთავრდა, ანჟი, რუსეთი), **კოშკაძე (დინამო)**, ჩივაძე, ქურასბედიანი, ოქროპირიძე (ყველა სპარტაკი), ბ. ნოზაძე (მგლები), დიდავა (ოლიმპიკი, აზერბაიჯანი), ქვაჩახია (?), შ. ჯიქია (?), ხუბუა (არენდა დაუმთავრდა, ოლიმპი) | ი. ვაშაკიძე (მარტვილი), ლ. ვაშაკიძე (ბორჯომი), ხიდეშელი, შალამბერიძე, თარხნიშვილი (სამივე სპარტაკი), ჯ. მუჯირი (ირანი), კ. ალადაშვილი (ოლიმპი), კაპანაძე (გერმანია) | 5 იანვრიდან - თბილისში |
| ლოკომოტივი<br>გიორგი კიკნაძე.<br>ზაზა ზამთარაძე | სარალიძე (ოლიმპი) | ქუცურუა ( მგლები, არენდა დაუმთავრდა) | 11 იანვრიდან - თბილისში |
| მგლები<br>ბესიკ შეროზია | მამალაძე (ზესტაფონი), ქუცურუა (ლოკომოტივი, არენდა დაუმთავრდა), დარსანია (?), გრიგოროვიჩი (?), რეხვიაშვილი, მიქაბერიძე (ოლიმპი, არენდა დაუსრულდათ) | რ. ონიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე (სიონი) | 8 იანვრიდან - ზუგდიდში<br>15 იანვრიდან - ჩაქვში |
| მესხეთი<br>კობა თედიაშვილი | სომხიშვილი (?), თედიაშვილი (ოლიმპი), გრიგალაშვილი (დინამო, არენდა დაუმთავრდა) | | |
| გაგრა<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **მგელაძე (ვიტ ჯორჯია)**, მეტრეველი (სპარტაკი) | ბ. ცხადაძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), როსტობაია, ეძგვერაძე (ორივე 35-ე საფეხბურთო სკოლა), სართანია | 9 იანვრიდან - ზესტაფონში<br>15 იანვრიდან - ანთალიაში |
| ბორჯომი<br>გიორგი სუხიაშვილი | ლაცაბიძე (კარიერა დაასრულა), შეყრილაძე (ოლიმპი), ქავთარაძე (დინამო, არენდა დაუმთავრდა), კიკნაძე (?) | | |
| სპარტაკი<br>სერგო გაბელაია | ხიდეშელი, თარხნიშვილი, შალამბერიძე (სამივე სიონი) | ჩივაძე, შავგულიძე, ოქროპირიძე, ქურასბედიანი (ოთხივე სიონი), მეტრეველი (გაგრა), გ. თურმანიძე (სამტრედია) | 20 იანვრიდან - ქობულეთში |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკი — ინტერვიუ სერგო გაბელაიასთან

# რა ხდება იქ, სადაც კარგი პირობებია

## გაბელაია ორმოც ფეხბურთელს ცხრამეტში გაცხრილავს



ცხინვალის „სპარტაკმა“ სეზონის პირველი ეტაპი ბოლო ადგილით ჩაამთავრა. მიუხედავად ამისა, გუნდს ურიგო პერსპექტივა არ აქვს - სტაბილური დაფინანსებითა და ნორმალური პირობებით „სპარტაკს“ მართლაც ხელეწიფება უმაღლეს ლიგაში დარჩენა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბორჯომსა“ და ახალციხის „მესხეთს“ ფინანსური კრიზისი აქვთ, რაც, ალბათ, საქმეს გაუადვილებს „სპარტაკს“ - ბორჯომელები ოთხი ქულით უსწრებენ მას, ახალციხელები კი - ცხრით, ხოლო ბოლოდან მესამე ადგილზე მყოფ „გაგრას“ „სპარტაკთან“ 8 ქულა ჰყოფს.

მოკლედ, „სპარტაკს“ აქვს შანსი, უმაღლეს ლიგაში დარჩეს, მაგრამ სერგო გაბელაიას გუნდისთვის ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება. „სპარტაკი“ პოლიტიკური მოტივით არის უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ის ავტომატურად დაცულია არგავარდნისგან. ერთი სიტყვით, „სპარტაკის“ თემა არ არის პატარა და უმნიშვნელო, უმაღლეს ლიგაში მისი დარჩენა არ არის მოკრძალებული ამოცანა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციისთვის.

მიმდინარე ჩემპიონატის პირველი ეტაპი შუამდე რომ იყო მისული, „სპარტაკს“ მაშინ შეეცვალა მწვრთნელი - კობა ჟორჟიკაშვილის ნაცვლად გუნდი სერგო გაბელაიამ ჩაიბარა. „სპარტაკს“ მაშინ ერთი მოგებაც არ ჰქონდა, გაბელაიას ხელში კი ორ მატჩში გაიმარჯვა. ცხადია, ეს ვერ ჩაითვლება წარმატებად, მაგრამ მოპოვებული ქულები „სპარტაკს“ წაადგება - საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არგავარდნისთვის დიდი ბრძოლა იქნება...

მანამდე კი „ლელოს“ კითხვებს სპარტაკელთა დამრიგებელი სერგო გაბელაია პასუხობს...

**- რა ხდება „სპარტაკში“, როგორია სატრანსფერო პერიპეტიები?**

- გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, თუმცა „სპარტაკში“ ისეთი პირობებია, ასევე ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა გამოთქვა ჩვენს გუნდში თამაშის სურვილი. ახლა ჩვენთან დაახლოებით 40 ფეხბურთელი ვარჯიშობს, თუმცა მე ჩემი არჩევანი მაქვს.

**- რა ეტაპზეა სეზონის განახლებისთვის მოსამზადებელი პროგრამა?**

- ორი დღეა, რაც გუნდი ლისის ტბაზე უბურთოდ ვარჯიშობს.

**- საით გადაიხრება თქვენი მიმართულება - უფრო გამოცდილი ფეხბურთელებისკენ თუ ახალგაზრდებისკენ?**

- ამ დროისთვის გაურკვევლობაა, ზოგი ფეხბურთელი დარჩება გუნდში, ზოგი - არა. მკაფიოდ მაშინ ჩამოვყალიბდებით, როცა შეკრებაზე გადავალთ.

**- გასაგებია, მაგრამ უკვე ცნობილია რამდენიმე ფეხბურთელის ვინაობა, ვინც „სპარტაკიდან“ წავიდა და ვინც თქვენთან მოვიდა...**

- წავიდნენ თარხნიშვილი, ხიდეშელი და შალამბერიძე, მოვიდნენ: გიორგი კვახაძე, ქარქუსაშვილი, შოთა ჯიქია, მგალობლიშვილი, ოქროპირიძე, მეტრეველი...

**- სირბილაძის საკითხი როგორ გადაწყდა?**

- ირაკლი „სპარტაკში“ რჩება.

**- შეკრებაზე როდის და სად მიდიხართ?**

- 20 იანვარს ქობულეთში მივდივართ ათდღიან შეკრებაზე. სპარინგპარტნიორების პრობლემა არ გვექნება - ბათუმის, ფოთისა და ლანჩხუთის გუნდებს გავეჯიბრებით. სავარაუდოდ, ურეკშიც იქნებიან გუნდები შეკრებაზე და, ალბათ, იმათთანაც ვითამაშებთ.

**- შეკრებამდე დიდი დრო არ დარჩა. ჯერ არ გაქვთ ჩამოყალიბებული სასელექციო მონახაზი?**

- ბევრმა ფეხბურთელმა კი გამოთქვა ჩვენს გუნდში თამაშის სურვილი, მაგრამ მე ჩემი გეგმა მაქვს - „სპარტაკში“ ახლა კარგი პირობებია - ხელფასი, პრემია, აღდგენა, შეკრება...

**- და რისი ძალა შესწევს ასეთ გუნდს?**

- თავისუფლად შეუძლია, შვიდეულში მოხვდეს, ამაზე ქვემოთ არ უნდა ჩამოვიდეს.

**- როგორ შეაფასებდით თქვენი გუნდის თამაშს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე?**

- კარგად მოგეხსენებათ, დიდი ხანი არ არის, რაც „სპარტაკი“ ჩავიბარე. ამ პერიოდში 2 მოგება და ერთი ფრე მოვახერხეთ, მეორე წრეში 4 თამაში ვითამაშეთ და ცუდად არც ერთში არ გამოვსულვართ - წავაგეთ „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიასთან“, მაგრამ ურიგოდ არ გვითამაშია, „მგლებს“ მოვუგეთ, „გაგრასთან“ კი ფრედ ვითამაშეთ, არადა, უნდა მოგვეგო. ტრავმების გამო ბოლო მატჩებში, ფაქტობრივად, 13 კაცის ამარა ვიყავით.

**- ისევ სელექციაზე გკითხავთ, რადგან გუნდის დაკომპლექტება ძალიან მნიშვნელოვანია - ზემოთ ნახსენები 40 ფეხბურთელიდან გამოცდილები, საქართველოს ჩემპიონატში ჭიპმოჭრილები ვინ არიან?**

- ასეთები მართლაც არიან, მაგრამ მათი სადღეისო კონდიციები გადასამოწმებელია. ფეხბურთელების შერჩევაში სიზუსტე გვართებს. მთავარია, მოთამაშეები გამოგვადგნენ, თორემ სახელსა და გვარს მნიშვნელობა არ აქვს. მიდის მოლაპარაკებები ცალკეულ მოთამაშეებთან, ყოველდღე იცვლება სიტუაცია.

**- როგორ ფიქრობთ, „სპარტაკს“ ყველაზე უფრო რომელ რგოლში სჭირდება გაძლიერება?**

- პრობლემები ყველგან გვაქვს. როცა გუნდს მხოლოდ 2 მოგება აქვს, ესე იგი ამ გუნდს ყველა რგოლში უჭირს.

**- მეკარიდან დავიწყოთ...**

- გიგა იაშვილმა ბოლო მატჩებში ძალიან კარგად ითამაშა, არაერთხელ იხსნა გუნდი. კარგი მეკარეა მაქსიმე ქვილითაიაც... მოკლედ, მეკარეებს არ ვემდური...

**- გამოდის, მთავარი პრობლემა წინა ხაზშია...**

- საგოლე მომენტებს კი ვქმნიდით, მაგრამ თუ ვერ გამოიყენე... „სპარტაკს“ კარგი თავდამსხმელებიც სჭირდება და სხვა ამპლუის ფეხბურთელებიც.

**- სად ივარჯიშებს და ითამაშებს „სპარტაკი“ სეზონის მეორე ეტაპზე?**

- საშინაო მატჩებს ძველებურად გორში გავმართავთ, თბილისში კი ვივარჯიშებთ. აქამდე „ლოკომოტივზე“ ვვარჯიშობდით, მერე კარლო მჭედლიძის „ოლიმპიკზე“... ჩვენი სურვილია, ისევ „ოლიმპიკზე“ ვივარჯიშოთ.

**- მაინც როდის დასრულდება „სპარტაკის“ დაკომპლექტება?**

- 19 იანვარს, 20-ში ხომ შეკრებაზე მივდივართ...

**- სატურნირო ცხრილის ბოლოს ისეთმა გუნდებმაც მოიყარეს თავი, ფინანსური პრობლემები რომ აქვთ - „ბორჯომი“, „მესხეთი“...**

- მე მხოლოდ ჩემი გუნდის ავანჩავანი მაინტერესებს. თუ ვინმეს პრობლემები აქვს, ეს მათი საქმეა, თუმცა გუნდების დაშლა სასურველი არ არის. ასე ხომ ჩვენი ჩემპიონატი სახეს დაკარგავს.

**დავით თავართქილაძე**

ტრანსფერები — ბოლნისურ-ცხინვალური ოპერაციები

# ღონღაძეს გაგრა და ოლიმპი იწვევენ

ცხინვალის „სპარტაკი“ ახალი ეტაპიდან აბსოლუტურად სხვა გუნდი იქნება. მთავარი მწვრთნელის, **სერგო გაბელაიას** თქმით, ცხინვალის „სპარტაკთან“ კონტრაქტები დაუსრულდათ და კლუბში აღარ გამოცხადდნენ ნახევარმცველი **გიორგი თექთუმანიძე** და თავდამსხმელი **მამუკა ღონღაძე**. სამეულის ამბავი კი უკვე ცნობილია - ბოლნისის „სიონმა“ გუნდის 3 წამყვანი ფეხბურთელის - **გიორგი ხიდეშელის, კობა შალამბერიძისა** და **თორნიკე თარხნიშვილის** გადაბირება მოახერხა.

საერთოდ, საინტერესო გადაადგილებები მოხდა - ბოლნისელებმა „სპარტაკის“ ფეხბურთელები დაიმატეს, ცხინვალელებმა კი „სიონის“ ფეხბურთელები - მცველი **ოქროპირიძე**, მარჯვენა ნახევარმცველი **ქურასბედიანი**, გამთამაშებელი **გიორგი ჩივაძე**, და თავდამსხმელი **შოთა ჯიქია**.

„სპარტაკში“ დარჩა კაპიტანი **ლაშა ჯანგიძე**, რომელმაც ბოლო ტურებში საკმაოდ დამაჯერებული ფეხბურთი აჩვენა. ის გუნდისთვის შეუცვლელი ფეხბურთელია.

ახლა, რაც შეეხება „სპარტაკის“ ყველაზე სასარგებლო თავდამსხმელ **მამუკა ღონღაძეს**. ის ამჟამად არც ერთ გუნდში არ ვარჯიშობს, რადგან უახლოესი მეგობრის გარდაცვალებამ გეგმები აურია. თუმცა დღე-დღეზე გადაწყვეტს, სად და რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას:

*„ორი კონკრეტული წინადადება მივიღე - „გაგრა“ და რუსთავის „ოლიმპი“ მიწვევენ. ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია, მაგრამ ჩემი მომავლისთვის, ალბათ, უკეთესი იქნება „გაგრაში“ გადასვლა. ახლა სწორედ იქითკენ ვიხრები. სხვათა შორის, შემომთავაზეს თურქულ კლუბებში - „ისთანბულსა“ და „ქოჯაელში“ გასინჯვაც, მაგრამ ჩემს ასაკში იქეთ-იქით ხეტიალი არ ღირს. კარგად მახსოვს, ასეთი მოგზაურობით, კარიერა რამდენ ნიჭიერ ფეხბურთელს აერია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს აუტსაიდერი გუნდის შემდეგ თურქეთის უმაღლესი ლიგის კლუბში ჩარიცხვა არარეალური მეჩვენა. წარმოუდგენელია, ვერ შევძლებ იქ თამაშს და გასინჯვაში დროსაც ტყუილად დავკარგავ“*,- გვითხრა ღონღაძემ.

ჯიქიას გარდა, გაბელაიამ „სპარტაკის“ თავდასხმა უკვე გააძლიერა „გაგრის“ ფორვარდ **ზურაბ მეტრეველით**. დაცვის გაძლიერების იმედს კი „ბორჯომისა“ და „მესხეთის“ ცენტრალური მცველების - **გივი ქარქუსაშვილისა და გიორგი კვახაძის** გადაყვანას უკავშირებს. ნახევრადაცვაში „სპარტაკმა“ „ბორჯომის“ მარჯვენა ნახევარმცველი **კოკა ავალიანი** დაიმატა, აგრეთვე, საჩხერის „ჩიხურის“ ყოფილი ფეხბურთელი - **მგალობლიშვილი**.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები. მეტოქე. ბულგარეთი

# ისევ სტოიჩკოვი?

## ახალი მწვრთნელის ვინაობა 30 იანვარს გაირკვევა



ხრისტო სტოიჩკოვი

მოგეხსენებათ, **პლამენ მარკოვის** გადაყენების შემდეგ, ბულგარეთის საფეხბურთო კავშირმა ეროვნული ნაკრების თავკაცად **სტანიმირ სტოილოვის** კანდიდატურა შეარჩია. ერთ-ერთ ბოლო ნომერში ვწერდით, რომ სტოილოვი, მიუხედავად იმისა, რომ „ლიტექსის“ ხელმძღვანელობამ ნაკრებისთვის მის დათმობაზე თანხმობა განაცხადა, გუნდთან ერთად დუბაიშია და მას ახალი სეზონისთვის ამზადებს. ასე რომ, საფეხბურთო კავშირის ბოსები იძულებულნი არიან, სხვა ვარიანტი შეარჩიონ.

გუშინ ბულგარულმა „ნოვსპორტმა“ ამ თემაზე ახალი ინფორმაცია გამოაქვეყნა - ნაკრების მწვრთნელის ვაკანტურ პოსტზე კანდიდატებად უკვე **ვასილ ბოჟკოვი, ხრისტო სტოიჩკოვი** და **ლუბოსლავ პენევი** მოიაზრებიან. მთავარი კანდიდატი ბოჟკოვია. სტოიჩკოვი და პენევი მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთვებიან საქმეში, თუ ბოჟკოვი უარს იტყვის თავის კანდიდატურაზე. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული სტოიჩკოვი 2004-07 წლებში უკვე წვრთნიდა ბულგარეთის ეროვნულ გუნდს. საფეხბურთო კავშირის აღმასკომი საბოლოო გადაწყვეტილებას 30 იანვარს მიიღებს.

**დავით ცაბაძე**

ამბები

# გოცირიძის დებიუტი

„დნიპროს“ რიგებში საქართველოს ნაკრების ფორვარდ **ბექა გოცირიძის** დებიუტი შედგა. უკრაინული გუნდი თურქულ შეკრებაზე ყაზახეთის ჩემპიონ „აქტობეს“ შეხვდა და დაუზავდა - 1:1. „დნიპროს“ ქართული ტრიოდან სასტარტო შემადგენლობაში ორი მოხვდა - **ჯაბა კანკავა** და ბექა გოცირიძე. დნეპრისპირელებმა 4-5-1 ტაქტიკით ითამაშეს. ერთადერთი ფორვარდი სწორედ გოცირიძე გახლდათ. 24-ე წუთზე ქართული კომბინაცია გათამაშდა - მარჯვენა ფლანგზე ჯარიმა დაინიშნა, კანკავამ ზუსტად მოძებნა გოცირიძე, თუმცა ამ უკანასკნელის თავური ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა. კანკავამ სრულად ითამაშა, გოცირიძე შესვენების შემდეგ შეცვალეს, 65-ე წუთზე კი **სანდრო კობახიძეც** გამოჩნდა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ბურდულს დუბლები აქმარეს

უკრაინული ვიშა ლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „ტავრიამ“ სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადება განაახლა. სიმფეროპოლის კლუბი 14 ქულით მე-13 ადგილზეა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. პირველ საწვრთნელ შეკრებას კლუბი ალუშტაში გამართავს, სადაც 23 იანვრამდე დარჩება. იქ 32 ფეხბურთელი მოემზადება. თქვენ წარმოიდგინეთ, ამხელა ჩამონათვალშიც კი არ მოიძებნა ადგილი საქართველოს ნაკრების ყოფილ ნახევარმცველ **ლადო ბურდულისთვის**. სამაგიეროდ, გუნდთან ერთადაა ვეტერანი ფორვარდი **ვასილ გიგიაძე**. ბურდული კი რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად დუბლებში დატოვეს და ისინი ადგილობრივ ბაზაზე მოემზადებიან. როგორც ჩანს, ბურდულს არც სეზონის მეორე ნახევარში უწერია ძირითად გუნდში თამაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გრიგალავა აიაქსში მოსწონთ

19 წლის **გია გრიგალავა** ჰოლანდიის 29-გზის ჩემპიონ ამსტერდამის „აიაქსში“ გადასვლასთან ახლოსაა. როგორც რუსული და ჰოლანდიური წყაროები იტყობინებიან, მან თავი მოაწონა კლუბის ხელმძღვანელობას და, სავარაუდოდ, როსტოვის სკა-დან ჰოლანდიაში გადაბარგდება. „აიაქსის“ ძირითადი გუნდი პორტუგალიურ ალგარვეში იმყოფება, გრიგალავა კი ამსტერდამში, ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. მან „ექსელსიორთან“ 2:3-ზე წაგებულ სპარინგშიც მიიღო მონაწილეობა. ჰოლანდიელები აღნიშნავენ, რომ გრიგალავა ამ მატჩის ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი იყო.

რუსული „სპორტ-ექსპრესის“ მტკიცებით, გრიგალავა დღეს როსტოვში უნდა დაბრუნდეს, თუმცა უფრო დიდი შანსია, ის „აიაქსის“ შემადგენლობაში დარჩეს და კონტრაქტიც გააფორმოს. იმავე „სპორტ-ექსპრესის“ მტკიცებით, ქართველ მცველს მთხოვნელი არც რუსეთში აკლია: მისით ცსკა, „სპარტაკი“ და „ტომი“ არიან დაინტერესებულნი. „ექსელსიორთან“ მატჩში გრიგალავამ ისეთი ფეხბურთელის გვერდით ითამაშა, როგორიც დანიელი ფორვარდი **დენის რომედალია**. ის ფანები, რომლებიც „ექსელსიორთან“ სპარინგს ესწრებოდნენ, გრიგალავას თამაშით კმაყოფილნი დარჩნენ, მას ფიზიკური მზადყოფნა შეუქეს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# შეგრტი არა... ადრიონი



პეტარ შეგრტი

ადრე ვწერდით, რომ გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცის ვაკანტურ პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატურად ჩვენი ახალგაზრდულის ყოფილი დამრიგებელი **პეტარ შეგრტი** განიხილებოდა. ის ბოლოს „მიაბეს“ სიას, რომელშიც თავიდან **ჰაიკო ჰერლიხი, მარკუს შუპი** და **პეტერ კნებელი** ფიგურირებდნენ. სულ ბოლოს კი ყველაზე გამოკვეთილი კანდიდატურა „შტუტგარტის“ მეორე გუნდის მწვრთნელი **რაინერ ადრიონი** გახლდათ. ეს უკანასკნელი გერმანიის საფეხბურთო კავშირმა უკვე დაამტკიცა ახალგაზრდულის მწყემსად. ასე რომ, შეგრტის ზღაპარი დასრულებულია. ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად რჩება...

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები



კლიმენტი წიტაიშვილი



თემურ ქეცბაია

# მჭედლიძეს არ სწყალობენ

## ქეცბაიამ წიტაიშვილი გაიხსენა

ამ უქმეებზე **ზურაბ ხიზანიშვილს** თამაშის საშუალება არ მიეცა, თუმცა ამჯერად „ბლექბერნის" თავკაცი არაფერ შუაშია - „ფულჰემთან" საგარეო მატჩის დაწყებამდე 4 საათით ადრე არბიტრმა **რობ სტაილსმა** მოედანი შეამოწმა და ის სათამაშოდ უვარგისად მიიჩნია. მოედნის დიდი ნაწილი მოყინული იყო და ამინდიც უარესდებოდა. სტაილსმა აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებით ფეხბურთელთა უსაფრთხოება დაიცვა. ხიზანიშვილი ამ მატჩისთვის გუნდთან ერთად ემზადებოდა. შეგახსენებთ, რომ საფეხბურთო ასოციაციის თასზე სამოყვარულო „ბლიზ სპარტანსთან" „ბლექბერნს" სწორედ ქართველმა ლეგიონერმა უკაპიტნა. იმ შეხვედრაში ზურამ გოლიც გაიტანა, თუმცა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა.

განახლდა იტალიური სერია A, თუმცა ნიჭიერ ქართველ ფორვარდ **ლევან მჭედლიძეს** კვლავ არ მიეცა თავის გამოჩენის შანსი. „პალერმომ" „ატალანტას" უმასპინძლა. ლევანი ისევ სათადარიგო იყო. პირველი ტაიმის მინურულს მასპინძლებს მთავარი დამრტყმელი ძალა, **ფაბრიციო მიკოლი** დაუშავდათ, თუმცა მჭედლიძე მოედანზე მაინც არ შეუშვეს. მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ ბოლოს კინაღამ დაკარგეს 2 ქულა. პალერმოელთაგან გამარჯვების გოლი **ედისონ კავანიმ** გაიტანა - 3:2.

რაც შეეხება **კახა კალაძეს**, „რომასთან" გუშინდელ შეხვედრაში (2:2) ის სათადარიგო იყო.

კვიპროსში A დივიზიონის მე-17 ტურის მატჩები გაიმართა. **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი" აგრძელებს ლიდერ „ომონიის" დევნას. თუკი „ომონიამ" სტუმრად „ატრომიტოსი" 5:0 გაანადგურა, „ანორთოსისმა" აელ-ს შინ 2:1 მოუგო. თემურის გუნდს ბოლოსწინა წუთზე გატანილი გოლით **სოსინმა** მოაგებინა. ახლა არ გვახსენდება, ბოლოს როდის ითამაშა **კლიმენტი წიტაიშვილმა** სასტარტო შემადგენლობაში. ამჯერად, თემურმა თანამემამულე ძირითადში გაამწესა. წიტაიშვილმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო. პირველ ტაიმში ქართველს თითქმის ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შეექმნა, მაგრამ ვერ ივარგა. 64-ე წუთზე (1:0-ზე) მასპინძლებმა სტუმრები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს. ამჯერადაც, გოლის გატანა წიტაიშვილს შეეძლო, თუმცა აელ-ი გოლკიპერმა იხსნა. „ანორთოსისი" 43 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერ „ომონიას" კვლავ 2 ქულით ჩამორჩება.

**ლევან მაღრაძის** „აპოლონმა" აპოპ-ი 3:1 დაამარცხა. გუნდმა კვლავ ქართველი ნახევარმცველის გარეშე ითამაშა. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსი" დღეს აპეპ-ს ესტუმრება. „ეთნიკოსი" 27 ქულით მეოთხე ადგილზეა, „აპოლონს" 26 ქულა აქვს და მეექვსე პოზიციას ამაგრებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

# დიდი ცვლილებები აზერბაიჯანის ქართულ ლეგიონში

დღე ისე არ გავა, ჩვენი სამეზობლოს სატრანსფერო ბაზარზე ქართველ ფეხბურთელთა აქტიურობა არ შეინიშნებოდეს. ზოგი ტოვებს აზერბაიჯანს, ზოგი მიდის საქართველოდან, ზოგიც იქაურ კლუბს იცვლის... ყველაზე მეტად ახლა **გიორგი ადამიას** ახალი კლუბის გარკვევას ველით („აზერისპორტს" თუ დავუჯერებთ, ქართველს კონტრაქტზე ხელი გუშინ უნდა მოეწერა). ის მართლაც გამორჩეული ლეგიონერია. ცნობილია, რომ მისი შეძენა „ბაქის" სურს, თუმცა ქართველის ტრანსფერი რატომღაც გაჯანჯლდა. „ბაქის" თავკაცი **ჯოკიჩა ხაჯიევსკი** ადამიას აყვანას კვლავაც დაჟინებით ითხოვს:

*„ჩვენ უკვე განვახორციელეთ სასურველი ტრანსფერების უმეტესობა. მაგრამ კიდევ გვსურს ერთი ფეხბურთელი - ეს არის ადამია. მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი და ძალიან მინდა, ქართველი ჩემს გუნდში იყოს"*, - ამბობს ხაჯიევსკი.

სიახლეებია ბაქოს „სტანდარდშიც", სადაც **კახა ცხადაძე** მისმა ასისტენტმა **ბადრი კვარაცხელიამ** შეცვალა. „სტანდარდიდან" წავიდა კახას ვაჟი, **ბაჩანა ცხადაძე**, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა და ახლა „გაგრაში" ვარჯიშობს. სამაგიეროდ, გუნდში ერთი ქართველი მივიდა, ოღონდ, ჯერ მხოლოდ სინჯებზე. ეს არის პირველ წრეში „ბაქილის" რიგებში მოთამაშე **დავით ქოქიაშვილი**.

ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით „სტანდარდი" პირველად გუშინ შეიკრიბა. კვარაცხელიამ „ექსტრა ტაიმთან" ინტერვიუში აღნიშნა, რომ კლუბი ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ შორის, მეკარე **მიხეილ ალავიძემ**. გამოდის, რომ ქართული კვარტეტიდან, რომელიც „სტანდარდში" პირველ წრეში ირჯებოდა, მხოლოდ **დავით ჭიჭვეიშვილი** დარჩა.

სავარაუდოდ, მალე კიდევ ერთ ქართულ ტრანსფერს შევიტყობთ - „ანჟის" ყოფილი მცველი **ვალერი აბრამიძე** ბაქოში იმყოფება, თუმცა, შესაძლოა, აბრამიძემ კვლავ რუსეთში გააგრძელოს კარიერა. აი, თავად რას ამბობს:

*„ბაქოში სრულიად შემთხვევით მოვხვდი, მოსკოვის რეისის შეფერხების გამო. აქედან მოსკოვში მივფრინავ, სადაც ორ-სამ კლუბთან მექნება მოლაპარაკება. ყველაფერი დღე-დღეზე გაირკვევა. უკლუბოდ ნამდვილად არ დავრჩები, რადგან ჩემი ყოფილი გუნდი „ხაზარი" ახლაც მელის. ამას წინათ, სხვა აზერბაიჯანული კლუბიდანაც საკმაოდ კარგი წინადადება მივიღე, თუმცა ჯერ საბოლოო პასუხი არ მითქვამს. მანამდე, უნდა გავიგო, რამდენად რეალურია რუსული ვარიანტები. თუ იქ ტრანსფერი ჩამეშალა, არ გამოვრიცხავ, აზერბაიჯანში ვითამაშო, თუმცა ნაუცბათევ გადაწყვეტილებას არ მივიღებ".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სტუმარი

ინტერვიუ ბორის ვოსკრესენსკისთან

# უკრაინული გუნდები ბაკურიანში მოემზადებიან

## კიევის დინამოში კიდევ სამი ქართველი გამოჩნდება, ასათიანი დარჩება

**როგორც** გაცნობეთ, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბორის ვოსკრესენსკი რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოში იმყოფებოდა. თბილისის გარდა, უკრაინელი ბაკურიანსაც სტუმრობდა. ჩვენი ინფორმაციით, ვოსკრესენსკი იქ უკრაინული კლუბებისთვის ზამთრის მოსამზადებელი შეკრების ჩატარების შესაძლებლობებს გაეცნო. როგორც აღმოჩნდა, ამ პროექტის განხორციელება რეალობას მოკლებული სულაც არ არის. სტუმარი სამშობლოში გუშინ გაემგზავრა. თბილისიდან გაფრენამდე კი სუმოს ფედერაციის პრეზიდენტ თენგიზ რუხაძის დახმარებით „ლელოს" კითხვებს უპასუხა.

**- პირველ რიგში, რას გვეტყოდით ვიზიტის თაობაზე?**

- დასასვენებლად ჩამოვედი... მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ ფინანსური საშუალება მაქვს, არც შვეიცარიაში წავსულვარ, არც საფრანგეთში, არც ესპანეთში და სხვა რომელიმე კურორტზე, ჩემს საყვარელ ქვეყანაში ჩამოვედი. მონატრებული მეგობრებიც მოვინახულე და ახლა შინ ვბრუნდები.

**- რამდენადაც ვიცით, მხოლოდ დასასვენებლად არ ჩამოსულხართ...**

- თბილისის გარდა, ბაკურიანშიც ვიყავი - ჩინებული კურორტია, ძალიან მომწონს... 30-ჯერ მაინც ვარ იქ ნამყოფი. სუფთა ჰაერი ჩავისუნთქე, ლამაზი ბუნებით დავტკბი... სხვათა შორის, საქართველოში დეკემბერშიც ვიყავი. მოგეხსენებათ, ჩემი დიდი მეგობრის, კოტე მახარაძის იუბილე იყო და არ შემეძლო, არ ჩამოვსულიყავი, მისი ხსოვნისთვის პატივი უნდა მიმეგო... საერთოდ, საქართველოში ბევრჯერ ვარ ნამყოფი და როცა თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლის შესაძლებლობა მეძლევა, ამ შანსს ხელიდან არ ვუშვებ.

**- რაც შეეხება ვიზიტის საქმიან ნაწილს...**

- დიახ, საქმეზეც ვისაუბრეთ. ჩემი მეგობრების დახმარებით ერთი პროექტი მინდა განვახორციელო.

**- რას უკავშირდება ეს პროექტი?**

- ტურიზმს. საქართველოში ტურიზმის განვითარებისთვის ყველა პირობაა. ეს თქვენს ქვეყანას დამატებით შემოსავალს მოუტანს, თან არცთუ მცირეს.

**- დანამდვილებით ვიცით, რომ თქვენი პროექტი ფეხბურთსაც უკავშირდება. იგულისხმება უკრაინული საფეხბურთო კლუბების ბაკურიანში მომზადება...**

- კი, ამაზეც არის ლაპარაკი. თუმცა საამისოდ, მინიმუმ ორმა-სამმა გუნდმა მაინც უნდა მოიწონოს ეს ვარიანტი. ამჟამად, რუსული და უკრაინული კლუბები მოსამზადებელ შეკრებებს თურქეთში გადიან. ქართული ვარიანტი ანთალიურზე არანაკლებია, მით უმეტეს, კლუბებს საქართველოში მომზადება უფრო იაფი დაუჯდებათ, ტერიტორიულადაც უფრო ახლოსაა... ერთი სიტყვით, რამდენიმე ფაქტორის დასახელება შეიძლება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს საქართველოში მომზადებას.

**- ეს გასაგებია, მაგრამ არის კი ბაკურიანში საჭირო ინფრასტრუქტურა საიმისოდ, რომ უკრაინულმა გუნდებმა ზამთარში მოსამზადებელი შეკრება გაიარონ?**

- ეს პრობლემა მოგვარებადია, თან სულ მოკლე ხანშიც კი. ასე რომ, ამ ჩანაფიქრის განხორციელება რეალურია. ახლა მთავარია სურვილი და მონდომება.

**- რამდენად შესაძლებელია, რომ უკრაინული გუნდები მოსამზადებლად უკვე გაისად ეწვიონ ბაკურიანს?**

- თქვენ წარმოიდგინეთ, არ არის გამორიცხული. როგორც გითხარით, საამისოდ სურვილი და მონდომებაა საჭირო. თუმცა აჩქარებაც არ იქნება გამართლებული. ერთი სიტყვით, ვნახოთ, ვნახოთ... ჩვენი პროექტი მხოლოდ ფეხბურთს კი არა, საერთოდ, ტურიზმს მოიცავს.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში თქვენს კოლეგებს თუ ესაუბრეთ?**

- იქაც მყავს მეგობრები. ნოდარ ახალკაცი ამჟამად საქართველოში არ არის. სხვებს რაც შეეხება, დღესაც ახლო ურთიერთობები მაკავშირებს საშა ჩივაძესთან, თენგიზ სულაქველიძესთან... საქართველო და ქართველები ძალიან მიყვარს. ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო საფეხბურთო კავშირებია. რამდენადაც ვიცი, უკრაინის სხვადასხვა კლუბში 58 ქართველი თამაშობს. კიევის „დინამომ" საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძის უმაღლესი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. უკრაინაში თამაშობდნენ სხვა გამორჩეული ქართველი ფეხბურთელებიც - თუნდაც მიშა ჯიშკარიანი, გოჩა ჯამარაული, გიორგი ჩიხრაძე, გიორგი დემეტრაძე და სხვები... მალე კიევის „დინამოში" კიდევ სამი ქართველი ფეხბურთელი გამოჩნდება...

**- ვერ დაგვისახელებთ?**

- მომიტევეთ, მაგრამ გვარები არ მახსოვს. ჩემი მეგობრებისგან ვიცი, რომ ეს სამი ფეხბურთელი კიევში ჩავა და „დინამოში" გაივლის სინჯებს. ტრანსფერის საკითხი კი ისევ ამ ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, საქართველოში დღეს აღარ არის იმდენი კარგი მოთამაშე, როგორც ეს 20 წლის წინ და კიდევ უფრო ადრე იყო... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტალანტები საერთოდ აღარ გყავთ. ახლახან „დნიპრომ" კიდევ ერთი ქართველი თავდამსხმელი დაიმატა, გვარი თუ არ მეშლება... გოცირიძე, არა?



ბორის ვოსკრესენსკი

**- დიახ, ბექა გოცირიძე.**

- ჰო... მოკლედ, უკრაინული კლუბები კიდევ არაერთ ნიჭიერ ქართველ მოთამაშეს დაეხმარებიან მაღალი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში... ასე რომ, ფეხბურთში ჩვენი პარტნიორობა გრძელდება.

**- მართალია, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ხართ, მაგრამ საკლუბო და სატრანსფერო საკითხებზეც ბევრი იცით და კიდევ ერთს გკითხავთ - ქართველ ქომაგებს აინტერესებთ, მალხაზ ასათიანი ისევ კიევის „დინამოში" ხომ არ ითამაშებს?**

- ასათიანი კიევის „დინამოში" დაბრუნდება. ეს ჩემი ვარაუდი კი არ არის, რაც ვიცი, იმას გეუბნებით.

**- როგორ ემზადება უკრაინა პოლონეთთან ერთად ევრო 2012-ის სამასპინძლოდ?**

- ეს ძალიან სერიოზულ მუშაობას, უდიდეს შრომასა და ენერგიას მოითხოვს. საქმე ბევრია, მაგრამ თავს გავართმევთ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XVIII ტური



დელ პიეროს გააქვს გამარჯვების გოლი სიენის კარში

# განსხვავება მხოლოდ დელ პიეროშია?

## ვუჩინიჩი VS პატო 2:2

„ინტერი" ახალ წელსა და სეზონის განახლებას ზედიზედ 9 გამარჯვებით შეხვდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შესვენებამ ლიდერი რიტმიდან ამოაგდო. როგორც ჩანს, **ჟოზე მოურინიომ** პაუზა ჯეროვნად ვერ გამოიყენა. ისე, დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ „განსაკუთრებულ კაცს", უფრო სწორად მის გუნდებს, სტარტზე ყოველთვის უჭირთ ხოლმე. ასე იყო „ჩელსიშიც" და ასეა „ინტერშიც". ისინი ნელ-ნელა, მეთოდურად კრეფდნენ ტემპს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ იანვარში „ნერაძურის" გაუჭირდება, რაც მისი მდევრების წისქვილზე დაასხამს წყალს...

მოკლედ, პირდაპირ ვთქვათ - „ინტერმა" „კალიარისთან" ამაზრზენად ითამაშა. ვინ მოთვლის, მერამდენედ მოირგო **იბრაჰიმოვიჩმა** მხსნელის მანტია. რა თქმა უნდა, აღნიშვნის ღირსია სარდინიელთა მეკარისა და მცველთა სანაქებო თამაშიც, თუმცა ეს არ ყოფილა მასპინძელთა გუნდური, გააზრებული გარჯის შედეგი. „ინტერი" მეტისმეტად ქაოტურად, უთავოდ უტევდა და ეს მხოლოდ „ბრმა" გოლს თუ მოიტანდა...

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, 65-ე წუთზე სტუმართა ეულმა ფორვარდმა **აკვაფრესკამ** (სხვათა შორის, ეს ფეხბურთელი „ინტერის" მფლობელობაშია) ანგარიში გახსნა - გრძელი გადაცემის შემდეგ მან მკერდით მიიღო ბურთი, „ჩაძინებულმა" **სამუელმა** კი დარტყმაც აცალა - 0:1.

მოურინიო პანიკაში ჩავარდა და ორმაგი შეცვლა განახორციელა. თუმცა მანამდე **კვარეშმაც** შეუშვა მცველ **კორდობას** ნაცვლად. ამდენად, „ინტერმა" ბოლო 20-25 წუთი ლამის 5 (!) ფორვარდით ჩაატარა. ამ ვითარებაშიც კი, 71-ე წუთზე **ბიონდინიმ** კინალამ მეორე გოლი შეაგდო. **ჟედამ** მას ბრწყინვალე მომენტი შეუქმნა დასარტყმელად, მაგრამ ბურთმა მიზანს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. ისე ჩანდა, რომ **ჟულიო სეზარი** ამის ამღები არ იყო...

...და იბრაჰიმოვიჩი. ამჯერად, ზლატანს „საფირმო" არ გაუტანია, უბრალოდ, ის ადგილზე დახვდა **კრესპოს** გასწვრივ პასს და ბურთი კარში შეაგორა - 1:1. გაგიკვირდებათ და, ამის მერე მოურინიოს სამწყსო კიდევ ერთხელ გადარჩა - აკვაფრესკამ ენით აუწერელი მომენტი გააფუჭა, როცა **კოსუს** ფლანგურ პასს შორეულ ძელთან მარტოდმარტო დახვდა...

არბიტრმა ძირითად დროს 5 წუთი (!) დაამატა, რისი საფუძველიც ნამდვილად არ ჰქონდა. სტუმრებს ამ პერიოდშიც შეეძლოთ გატანა, მაგრამ კაპიტანმა **ძანეტიმ** მეტოქის უაღრესად სახიფათო ქმედება აღკვეთა, „ინტერმა" კი გაიტანა, თუმცა **მანსინი** აშკარა თამაშგარეში იყო და კამათიც არ ღირდა. ნამატჩევს, მოურინიომ დაკარგული ქულები დისკვალიფიცირებული **მაიკონისა** და ტრავმირებული **სტანკოვიჩის** არყოფნით ახსნა. პირველი - გასაგებია, ძირითადის უცვლელი წევრია, მაგრამ რაც შეეხება სერბს, მის გარეშე ხომ „ინტერს" არაერთი თამაში მოუგია...

ბომბარდირ **მილიტოს** გარეშეც კი „ჯენოამ" საოცრად იოლად სძლია „ტორინოს", რომელსაც **ვალტერ ნოველინოს** დაბრუნების შემდეგ სიკეთე არ ეტყობა. „გრანატამ" ბოლო 5 მატჩიდან 4 წააგო, მათ შორის, 2 - ნოველინოს ხელში. საინტერესოა, რომ „ჯენოამ" ტურინელ სტუმარს შარშანაც 3:0 აგემა. ამ შაბათს კი მეტიც შეეძლო - დამატებულ დროში **სკულის** ორი ნაღდი მომენტი ჰქონდა, მაგრამ „ტორო" მეტად „აღარ" დაამცირა.

რა განსხვავებაა „იუვენტუსსა" და „სიენას" შორის? ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი კითხვა უნდა იყოს, მაგრამ... მოდით, ჯერ ვნახოთ, რაშ`ა თანხვედრა. დაკვირვებული ქომაგი ამას ადვილად იპოვის - საკლუბო ფერები და ლოგო. მაგრამ სხვაობა? დარწმუნებულნი ვართ, ვერ გამოიცანით. თურმე, განსხვავება იმაშია, რომ „იუვენტუსს" **ალესანდრო დელ პიეროც** ჰყავს - ეს სიტყვები „სიენის" მწვრთნელ **მარკო ჯამპაოლოს** ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ეს დამარცხებული მწვრთნელის არგუმენტია, მაგრამ კაცმა რომ თქვას, გუშინდელ მატჩში „იუვე" ბევრი ვერაფრით სჯობდა ტოსკანურ გუნდს, რომელმაც მანამდე ზედიზედ 4 მატჩი წააგო. დელ პიეროს რაც შეეხება, 33-ე წუთზე მან ჩვეულ სტილში შეასრულა ჯარიმა და გაიტანა გოლი, რომელიც ტურინულ მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა. „ქალბატონისთვის" ეს მიჯრით მეხუთე გამარჯვებაა. „ინტერის" ფრემ ლიდერსა და უპირველეს მდევარს შორის სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა. ამდენად, **კლაუდიო რანიერისთვის** ახალი წელი ახალი იმედით დაიწყო.

აი, „უდინეზეს" თავკაცი **პასკუალე მარინო** ახალ წელს ახალ „უდინეზეს" რომ ჰპირდებოდა (ასე თქვა „სამპდორიასთან" მატჩის წინ) ქომაგებს, მის სიტყვისკაცობას ჯერჯერობით კარგი პირი არ უჩანს. 2009 წლის პირველ მატჩში ფრიულელებმა „სამპთან" შინ 2 ქულა დაკარგეს და მოუგებელი მატჩების რიცხვი 9-მდე აიყვანეს. არადა, სეზონის სტარტზე გუნდი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, ერთხელ ცხრილის სათავეშიც მოექცა, მერე კი ფეხდაფეხ მისდევდა „ინტერსაც", მაგრამ დღეს მოვლენებს ჩამორჩა და ასე თუ გააგრძელა, გადარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა. პრინციპში, უკეთეს დღეში არც „სამპდორიაა". ბოლო ხუთ მატჩში ამ გუნდმა ოდენ ერთხელ იმარჯვა.

საქეიფო დღეების შემდეგ უქეიფოდაა „ფიორენტინაც". „ლეჩემ" ფლორენციაში 13-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ მოიგო. „ვიოლას" უბედურებას კი ისიც დაემატა, რომ სერიოზული ტრავმა მიიღო **მუტუმ** და წინასწარი ვარაუდით, კარგა ხნით მოსწყდა ფეხბურთს.

ბარაქალა მაკედონიელ **პანდევს**, რომლის ჰეთ-ტრიკმა „ლაციოს" რეჯოკალაბრიაში მოაგებინა. ბრწყინვალედ ითამაშა **სარატემაც** და თუ სადმე სამართალი იყო, დუბლი მაინც უნდა გაეფორმებინა. „ნაპოლიმ" გაჭირვებით მოუგო „კატანიას" და ისიც სალაპარაკო გახდა - კატანიელები თამაშგარის გამო ჩიოდნენ. ნეაპოლელები აქამდე არ მიიყვანდნენ საქმეს, მანამდე **ჰამშიკს** პენალტი რომ გაეტანა (მეკარემ მოიგერია). პირველი ტაიმის ბოლოსთვის ისეთი სურათი შეიქნა, რომ „პალერმოს" თითქოს ადვილად უნდა მოეგო „ატალანტასთვის", მაგრამ ბერგამოელებმა თამაშის შემობრუნება შეძლეს. სიცილიელებმა მაინც იყოჩაღეს - ურუგვაელმა **კავანიმ** კარგად დაამუშავა ბურთი და მახვილი კუთხიდან შორეულისკენ ზუსტად დასცხო. **სინიშა მიხაილოვიჩის** ხელში ცოცხალი თავით არ აგებს „ბოლონია", თუმცა აუტსაიდერ „კიევოსთან" საშინაო ფრე ვერაფერი წარმატებაა.

მთავარი კი იყო კვირა ღამეს - „რომა"-"მილანი". ეს თამაში სხვა მხრივ უფრო იყო საინტრიგო. რა თქმა უნდა, **დევიდ ბექჰემის** ფაქტორს ვგულისხმობთ. აპენინური პრესა პირდაპირ წალეკა ერთ დროს დიდი ფეხბურთელის იტალიური დებიუტისადმი მიძღვნილმა მასალებმა თუ ფოტოებმა. და რა ვნახეთ გუშინ ამისთანა? დიდი არაფერი. სხვათა შორის, ნაკლებად იყო მოლოდინი, რომ **კარლო ანჩელოტი** ინგლისელს ძირითადში დააყენებდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ეს ბექჰემი „მილანს" მაისურებს თუ გააყიდინებს, თორემ...

ქართველებს კი ის გვაქვს საფიქრალი, რომ ჩერნოგორიელი **ვუჩინიჩი** კარგ ფორმაშია. მის ნაკრებთან 1 აპრილს ვთამაშობთ და... ისე, კარგი იქნებოდა, გუშინ **კახა კალაძესაც** ეთამაშა (განაცხადში იყო) და ამ სახიფათო ფორვარდთან კიდევ ერთხელ გამოეცადა ძალები. თუმცა არ არის საჭირო წინასწარ ვიშ-ვიში. ვუჩინიჩი არასტაბილურია და ეგებ, თბილისურ მატჩში (1 აპრილი) იოლად მოვთოკოთ...

მთლიანობაში, თამაში საყურებლად ნამდვილად ღირდა. პირველ ტაიმში ვუჩინიჩის მიერ გატანილი გოლი მეორე ნახევრის დასაწყისშივე **პატომ** ჯერ გააბათილა, მერე კი „მილანი" წინაც გაიყვანა. ხოლო იმავე ვუჩინიჩმა, თამაშის დასრულებამდე 18 წუთით ადრე, ერთობ უხერხული სიტუაციიდან თავურით აღადგინა წონასწორობა.

**გიორგი გელაშვილი**

### გამოტოვებული მატჩი

14 იანვარი. რომა-სამპდორია

### მომდევნო ტური

**17 იანვარი. სიენა-რეჯინა, მილანი-ფიორენტინა. 18 იანვარი. კატანია-ბოლონია, კიევო-ნაპოლი, ლეჩე-ჯენოა, კალიარი-უდინეზე, ატალანტა-ინტერი, ტორინო-რომა, ლაციო-იუვენტუსი, სამპდორია-პალერმო.**

### ჯენოა-ტორინო 3:0

**ჯენოა:** რუბინიო-6, ფერარი-6, ბოკეტი-6.5, ბიავა-7, ტ. მოტა-6.5 (87. მილანეტო), იურიჩი-6.5, კრიშიტო-6.5, მესტო-6.5, ოლივერა-6 (60. ვანდე ბორე-6), იანკოვიჩი-7.5 (81. მ. როსი), სკული-6.5.

**ტორინო:** სერენი-6, მ. პიზანო-5, ნატალი-5, ოგბონა-4.5 (60. კოლომბო-5.5), დი ლორეტო-5.5, ბარონე-6, ჯემაილი-5, როზინა-5.5, აბატე-6, ამორუზო-4.5 (46. დიანა-6), ბიანკი-5 (69. სტელონე-5).

**გოლები:** 1:0 ბიავა (18), 2:0 იანკოვიჩი (48), 3:0 ტ. მოტა (85)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 26-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 13-10 (8-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 24 000

### ინტერი-კალიარი 1:1

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-5.5, ხ. ძანეტი-6, სამუელი-6.5 (68. კრესპო-6.5), კორდობა-6.5 (46. კვარეშმა-5.5), კივუ-5, მაქსველი-5.5, კამბიასო-5, მუნტარი-5.5, ფიგუ-4.5 (68. მანსინი-4), კრუსი-5, იბრაჰიმოვიჩი-5.5.

**კალიარი:** მარკეტი-7.5, ასტორი-7, კანინი-7.5, კონტი-8, აგოსტინი-6.5, ფ. პიზანო-7, კოსუ-7, ბიონდინი-7.5 (90. პაროლა), ფინი-7 (80. ლაძარი), ჟედა-5.5, აკვაფრესკა-7 (84. მატრი).

**გოლები:** 0:1 აკვაფრესკა (65), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (78)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 21-20; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 23-14 (8-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 45 971

### იუვენტუსი-სიენა 1:0

**იუვენტუსი:** მანინგერი-7, გრიგერა-6.5, მელბერგი-6.5, ლეგროტალიე-6.5, მოლინარო-6.5, მარკიონი-6 (79. დე ჩელიე-6), მარკიზიო-6.5 (85. პოულსენი), სისოკო-6 (65. კ. ძანეტი-6.5), ნედვედი-7, დელ პიერო-7.5, ამაური-6.5.

**სიენა:** მანიტა-6.5, დელ პრეტე-5.5 (87. სუნიგა), პორტანოვა-6.5, ბრანდაუ-6.5, დელ გროსო-5.5, კოდრეა-6 (71. პაკერი-6), იაროლიმი-6.5, გალოპა-6, ხარჯა-7, გეზალი-7.5, კალაიო-5 (59. ფრიკი-5.5).

**გოლი:** 1:0 დელ პიერო (33)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 6-13; **კარში დარტყმა:** 7-13 (3-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 20 000

### ფიორენტინა-ლეჩე 1:2

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-5.5, კომოტო-6.5, გამბერინი-5.5, კროლდრუპი-6, ვარგასი-6, ფელიპე მელუ-7, კუძმანოვიჩი-6 (74. სემიოლი-5), დონადელი-5 (46. იოვეტიჩი-5.5), სანტანა-6.5, ჯილარდინო-5, მუტუ-5.5 (50. ოსვალდო-4.5).

**ლეჩე:** ბენუსი-7.5, პოლენგი-6, ა. ესპოზიტო-6.5 (84. დიამუტენი), ფაბიანო-6.5, ჯულიატო-6.5, მუნარი-6, ვივესი-6, კაზერტა-6.5, ჯაკომაცი-7.5 (63. არდიტო-6), ტირიბოკი-6 (69. კაჩა-6), კასტილიო-8.

**გოლები:** 0:1 ჯაკომაცი (6), 1:1 ფელიპე მელუ (24), 1:2 კასტილიო (28)

**გაძევება:** ოსვალდო (90. ფიორენტინა)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 14-1; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 3-7; **კარში დარტყმა:** 22-9 (7-3); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 27 551

### ნაპოლი-კატანია 1:0

**ნაპოლი:** იეცო-6.5, კანავარო-5.5, კონტინი-6, რინაუდო-6, მაჯო-6.5, გარგანო-5.5, ჰამშიკი-5.5 (75. რუსოტო-6), ბლაზი-6.5, ვიტალე-5.5 (90. არონიკა), დენისი-6, ლავეცი-6.5 (90. პაციენცა).

**კატანია:** ბიცარი-7.5, სილვესტრე-6, ტერლიცი-5.5, სილვესტრი-6, იცკო-6 (78. ბაიოკო), სარდო-6.5, კარბონი-6.5, ბიაჯანტი-6 (72. პ. ლედესმა-6), ჯაკ. ტედესკო-6.5 (83. პლასმატი), მორიმოტო-6, მასკარა-6.5.

**გოლი:** 1:0 მაჯო (80)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 18-9 (4-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 40 000

### რეჯინა-ლაციო 2:3

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ჩირილო-5.5, ლანძარო-5.5, სანტოსი-5.5, სესტუ-6.5 (86. დი ჯენარო), კოსტა-5 (53. კოცა-6), ბარეტო-6, ტონიოცი-5.5 (56. ვიოლა-6), ბარილა-5.5, კორადი-6, ბრიენცა-6.

**ლაციო:** კარისო-6, დე სილვესტრი-6, დიაკიტი-5, როზენალი-5.5, რადუ-6, დაბო-6 (66. ბროკი-6), კ. ლედესმა-6.5, მეგნი-6 (75. მაური), პანდევი-7.5, როკი-6, სარატე-7.5 (80. ფოჯა).

**გოლები:** 1:0 კორადი (4-პენ), 1:1 პანდევი (14), 1:2 პანდევი (21), 2:2 კოცა (63), 2:3 პანდევი (76)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 5-17 (2-7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 22 000

### პალერმო-ატალანტა 3:2

**პალერმო:** ამელია-6.5, კასანი-6.5, კაროციერი-5.5, კიაერი-5.5, კაპუანო-5.5, ლივერანი-6.5 (84. გუანა), ნოჩერინო-6, ბრეშანო-6.5, სიმპლისიუ-6 (70. მილიაჩო-6), კავანი-6, მიკოლი-7 (41. სუჩი-5.5).

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6, დარიჩი-6, ტალამონტი-5, პელეგრინო-5.5, ბელინი-6, გუარენტე-5.5, პინტუ-5.5, პადოინი-5.5 (55. ხ. ვალდესი-6.5), კ. დონი-5.5, ვიერი-6 (46. ჩიგარინი-6.5), ფლოკარი-6.

**გოლები:** 1:0 მიკოლი (22), 2:0 ბრეშანო (39), 2:1 ფლოკარი (65), 2:2 პინტუ (78), 3:2 კავანი (81)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 26-13; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 12-20 (4-9); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 14 000

### უდინეზე-სამპდორია 1:1

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6, ფერონეტი-5.5, დომიცი-7, ა. კოდა-6, ლუკოვიჩი-5.5 (44. პასკუალე-5.5), ობოდო-6, გ. დ'აგოსტინო-6, ტისონე-6 (67. ასამოა-5.5), პეპე-6, კვალიარელა-5.5 (84. ფლორო ფლორესი), დი ნატალე-6.

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, კამპანიარო-5.5 (19. ციგლერი-6.5), გასტალდელო-6.5, ლუკინი-6.5, აკარდი-6.5, პადალინო-7 (84. სტანკევიჩუსი), სამარკო-6 (72. პალომბო-6), დელვეკიო-7, დ. ფრანჩესკინი-6, ბელუჩი-5.5, კასანო-5.5.

**გოლები:** 0:1 დელვეკიო (57), 1:1 დომიცი (62)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 24-19; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 19-9 (6-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 13 877

### ბოლონია-კიევო 1:1

**ბოლონია:** ანტონიოლი-6.5, ძენონი-6, მორასი-5.5, ტერცი-6, ბომბარდინი-6, მარკინი-5.5 (41. ადაილტონი-5), მუდინგაი-6, ვოლპი-6, ვალიანი-5.5 (79. ამოროზო), დი ვაიო-7, ბერნაჩი-5 (84. მინგაცინი).

**კიევო:** სორენტინო-6, მორო-5, მორერო-6.5, იეპესი-6.5, მანტოვანი-6, ლუსიანო-5.5, რიგონი-6 (84. დ'ანა), პინცი-6.5 (90. გრიპო), მარკოლინი-5.5, მ. ესპოზიტო-5.5 (79. იუნკო), პელისიერი-7.

**გოლები:** 0:1 პელისიერი (43), 1:1 დი ვაიო (45-პენ)

**გაძევება:** მუდინგაი (81. ბოლონია)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 28-23; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 7-9 (1-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 15 000

### რომა-მილანი 2:2

**რომა:** ა. დონი-6, კასეტი-5.5 (81. სისინიო), მექსე-6, ჟუანი-6, რიისე-6.5, პეროტა-5.5, დე როსი-6.5, ბრიგი-6 (84. აკვილანი), ტადეი-5 (65. პისარო-6.5), ბაპტიშტა-6, ვუჩინიჩი-7.5.

**მილანი:** აბიატი-5.5, ძამბროტა-6.5, მალდინი-6, ფავალი-5.5, იანკულოვსკი-5.5, ბექჰემი-6.5 (89. ფლამინი), პირლო-6.5, ზეედორფი-5, კაკა-6.5, რონალდინიო-5 (71. ამბროზინი-6), პატო-7.5.

**გოლები:** 1:0 ვუჩინიჩი (22), 1:1 პატო (48), 1:2 პატო (53), 2:2 ვუჩინიჩი (72)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 25-14 (10-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 53 444

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 18 | 14 | 4 | 1 | 32-12 | 43 |
| 2. იუვენტუსი | 18 | 12 | 3 | 3 | 31-13 | 39 |
| 3. მილანი | 18 | 10 | 4 | 4 | 30-20 | 34 |
| 4. ნაპოლი | 18 | 10 | 3 | 5 | 26-16 | 33 |
| 5. ჯენოა | 18 | 9 | 5 | 4 | 27-17 | 32 |
| 6. ფიორენტინა | 18 | 10 | 2 | 6 | 26-16 | 32 |
| 7. ლაციო | 18 | 9 | 3 | 6 | 29-24 | 30 |
| 8. პალერმო | 18 | 8 | 2 | 8 | 24-23 | 26 |
| 9. კატანია | 18 | 7 | 4 | 7 | 18-21 | 25 |
| 10. ატალანტა | 18 | 7 | 3 | 8 | 23-22 | 24 |
| 11. რომა | 17 | 7 | 3 | 7 | 23-25 | 24 |
| 12. უდინეზე | 18 | 6 | 5 | 7 | 26-27 | 23 |
| 13. კალიარი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-22 | 22 |
| 14. სამპდორია | 17 | 5 | 5 | 7 | 16-19 | 20 |
| 15. სიენა | 18 | 5 | 4 | 9 | 13-19 | 19 |
| 16. ლეჩე | 18 | 3 | 8 | 7 | 16-26 | 17 |
| 17. ბოლონია | 18 | 3 | 7 | 8 | 20-28 | 16 |
| 18. ტორინო | 18 | 4 | 3 | 11 | 18-32 | 15 |
| 19. რეჯინა | 18 | 3 | 4 | 11 | 17-36 | 13 |
| 20. კიევო | 18 | 2 | 4 | 12 | 10-27 | [illegible] |

**ბომბარდირები:** 13 - დი ვაიო (ბოლონია); 12 - ჯილარდინო (ფიორენტინა), მილიტო (ჯენოა); 11 - ამაური (იუვენტუსი), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 9 - ფლოკარი (ატალანტა); 8 - კორადი (რეჯინა), დი ნატალე (უდინეზე), მიკოლი (პალერმო), პანდევი (ლაციო), პატო (მილანი), სარატე (ლაციო); 7 - აკვაფრესკა (კალიარი), დელ პიერო (იუვენტუსი), დენისი (ნაპოლი), ჰამშიკი (ნაპოლი), კაკა (მილანი), მასკარა (კატანია), რონალდინიო (მილანი).

### სერია B

### XX ტური

**ალბინოლეფე-ლივორნო 0:1**

გოლი: 0:1 პულცეტი (65)

**ასკოლი-ტრევიზო 1:0**

გოლი: 1:0 გაეტა (87)

გაძევება: სკურტო (86. ტრევიზო)

**აველინო-მოდენა 4:3**

გოლები: 1:0 კომანი (6), 2:0 დე ძერბი (18), 2:1 კატელანი (22), 3:1 დე ძერბი (44), 3:2 ბიაბიანი (52), 3:3 ლონგო (65), 4:3 სფორცინი (69)

**ბარი-სალერნიტანა 1:0**

გოლი: 1:0 ბარეტო (28)

გაძევება: მაზიელო (60. ბარი)

**ჩიტადელა-ფროზინონე 0:0**

**გროსეტო-ანკონა 2:1**

გოლები: 0:1 ტურატი (12), 1:1 პელიკორი (57), 2:1 ფრედი (59)

**მანტოვა-პიაჩენცა 0:0**

გაძევება: კრისტანტე (54. მანტოვა), იუნკალი (90. პიაჩენცა)

**ტრიესტინა-ემპოლი 2:0**

გოლები: 1:0 ანტონელი (29), 2:0 გრანოკე (60)

**ვიჩენცა-პარმა 1:1**

გოლები: 0:1 რეჯინალდო (68), 1:1 ზგრინია (76)

**სასუოლო-ბრეშა** გადაიდო

**პიზა-რიმინი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივორნო | 20 | 8 | 11 | 1 | 27-14 | 35 |
| 2. ბარი | 20 | 9 | 7 | 4 | 21-17 | 34 |
| 3. პარმა | 20 | 8 | 9 | 3 | 24-16 | 33 |
| 4. სასუოლო | 19 | 9 | 5 | 5 | 31-20 | 32 |
| 5. ემპოლი | 20 | 9 | 5 | 6 | 25-21 | 32 |
| 6. გროსეტო | 20 | 9 | 5 | 6 | 32-30 | 32 |
| 7. ბრეშა | 19 | 9 | 5 | 5 | 21-19 | 32 |
| 8. ტრიესტინა | 20 | 8 | 7 | 5 | 27-21 | 31 |
| 9. ვიჩენცა | 20 | 7 | 8 | 5 | 25-13 | 29 |
| 10. ალბინოლეფე | 20 | 6 | 9 | 5 | 19-19 | 27 |
| 11. პიზა | 19 | 7 | 5 | 7 | 26-25 | 26 |
| 12. მანტოვა | 20 | 6 | 8 | 6 | 19-19 | 26 |
| 13. ანკონა | 20 | 6 | 5 | 9 | 27-26 | 23 |
| 14. რიმინი | 19 | 6 | 5 | 8 | 22-27 | 23 |
| 15. ფროზინონე | 20 | 5 | 8 | 7 | 22-27 | 23 |
| 16. ჩიტადელა | 20 | 4 | 9 | 7 | 15-18 | 21 |
| 17. პიაჩენცა | 20 | 5 | 6 | 9 | 15-20 | 21 |
| 18. ასკოლი | 20 | 5 | 6 | 9 | 13-22 | 21 |
| 19. სალერნიტანა | 20 | 5 | 5 | 10 | 18-27 | 20 |
| 20. აველინო | 20 | 4 | 8 | 8 | 19-29 | 20 |
| 21. ტრევიზო | 20 | 4 | 10 | 6 | 19-23 | 18* |
| 22. მოდენა | 20 | 3 | 6 | 11 | 24-36 | 15 |

*შენიშვნა: * - ტრევიზოს დაკლებული აქვს 4 ქულა*

**ბომბარდირები:** 11 - ვანტაჯატო (რიმინი); 9 - ბარეტო (ბარი), ლოდი (ემპოლი), კ. ლუკარელი (პარმა), მასტრონუნციო (ანკონა), სანსოვინი (გროსეტო), ტავანო (ლივორნო); 8 - ბრუნო (მოდენა), კარაჩოლო (ბრეშა), ძამპანია (სასუოლო), ზგრინია (ვიჩენცა); 7 - ბელანოვიჩი (ვიჩენცა), დი ნაპოლი (სალერნიტანა), ნასი (ანკონა), ნოსელი (სასუოლო).

### სერია C1/A

### XVIII ტური

რეჯანა-ჩეზენა 1:0; პადოვა-ლენიანო 0:0; ვერონა-ლუმეცანე 0:0; სამბენედეტეზე-ნოვარა 0:1; რავენა-პერგოკრემა 1:0; კრემონეზე-პრო სესტო 1:1; მონცა-სპალ 1:2; პორტოგრუარო-ვენეცია 2:1; ლეკო-პრო პატრია დღეს.

### სერია C1/B

### XVIII ტური

კავეზე-არეცო 2:2; პესკარა-კროტონე 0:1; პოტენცა-ფოჯა 0:0; პისტოიეზე-გალიპოლი 0:2; ფოლინიო-პაგანეზე 3:0; ბენევენტო-პერუჯა 1:0; იუვე სტაბია-ტარანტო 3:1; რეალ მარჩანიზე-ტერნანა 0:0; სორენტო-ვირტუს ლანჩანო 2:1.

ესპანეთის ლიგა BBVA XVIII ტური

# ჩავიმ და მესიმ ინტრიგა ჩაქლეს

## რეალი სტაბილურობას იბრუნებს



მადრიდის „რეალმა“ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მალიორკაში ჩატარებული მატჩის შემდეგ უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამეფო კლუბს **ხუანდე რამოსის** მისვლამ კარგი სამსახური გაუწია. ახალი მწვრთნელი **ბერნდ შუსტერზე** გაცილებით უფრო პრაგმატულად აფასებს სიტუაციას და გუნდს მიზანდასახულად ათამაშებს. ბუნებრივია, მიზნები შუსტერსაც ჰქონდა დასახული, მაგრამ გერმანელი სპეციალისტი ამა თუ იმ მიზეზის გამო გუნდს გამართულად ვერ ათამაშებდა. ახლა კი სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება... და ეს მაშინ, როცა ესპანური გრანდის რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ისევ ტრავმირებულია. ხუანდე რამოსის მისვლის შემდეგ მცირე დრო გავიდა, მაგრამ გუნდში საკმაოდ ბევრი ცვლილება მოხდა. პირველ რიგში სამეფო კლუბის მობილური თამაში უნდა აღინიშნოს. ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ, რომ დედაქალაქელები ნახევარდაცვასა და დაცვას შორის ძალიან მცირე სივრცეს ტოვებენ, რაც მოწინააღდეგეებს შეტევების გაშლის საშუალებას არ აძლევს. ამის წარმოდგენა მაშინაც შეიძლებოდა, როცა ხუანდე რამოსის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნა გახდა ცნობილი. ეს კაცი შეტევას და გოლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცა სადაც კი უმუშავია, შუა ხაზისა და დაცვის შეთამაშებას ყველგან უდიდეს ძალისხმევას ახმარდა. შუსტერის ხელში სამეფო კლუბი ფუნქციონალურად მოიშალა. ეს განსაკუთრებით გერმანელი მწვრთნელის ბოლო მატჩებში იყო თვალშისაცემი. სენიორ რამოსს ამ ხარვეზების გამოსასწორებლად ერთი თვეც არ დასჭირდა. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე კვირის წინ „რეალი“ აბსოლუტურად სხვა გუნდი გახლდათ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მადრიდელების გამოცოცხლებაზე **არიენ რობენმაც** მნიშვნელოვნად იმოქმედა. ჰოლანდიელი გარემარბი ერთ-ერთი საუკეთესოა მის გუნდში. წინა ტურში „ვილიარეალს“ მან ულამაზესი გოლი გაუტანა. იმ შეხვედრაში რობენი პრაქტიკულად ყველა სახიფათო იერიშის სულისჩამდგმელი იყო. ის პალმა დე მალიორკაშიც აქტიურად თამაშობდა. სიმბოლურია, რომ ანგარიში სწორედ ჰოლანდიელმა გახსნა. მესამე წუთზე მან შეტევის მარჯვენა ფლანგზე ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შესანიშნავი პასი მიიღო, რამდენიმე ნაბიჯი ისე გაირბინა, რომ მოწინააღმდეგე არც კი შეხვედრია და მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა. დაახლოებით 14 წუთში მოვლენათა ეპიცენტრში უკვე **რაული** მოექცა. ასისტენტობა მას **გონსალო იგუაინმა** გაუწია. არგენტინელმა ფორვარდმა გენიალური დრიბლინგის შემდეგ კაპიტანს ბურთი დაუგორა. გონსალეს ბლანკომ კი ქუსლით გაიტანა. სხვათა შორის, რაულმა „მალიორკასთან“ მე-500 პრიმერადივიზიონური მატჩი ჩაატარა. ყოველთვის საინტერესოა, როცა საიუბილეო შეხვედრას გოლით აღნიშნავ. ბალეარელთა კარში ბოლო ბურთი **სერხიო რამოსმა** შეაგდო. 66-ე წუთზე **ფერნანდო გაგომ** შესანიშნავი შორეული პასით ახალგაზრდა მცველი მონახა. უნდა ითქვას, რომ სერხიო რამოსმა **აუტეს** შეცდომით ისარგებლა. მეკარე ვალდებული იყო, ახლო კუთხეში დარტყმული ბურთი აელო, მას კი ის ფეხებს შორის გაუძვრა.

ხუანდე რამოსმა შეხვედრა ასე შეაფასა: *„გულწრფელად ვიტყვი, რომ შეხვედრის დებიუტში გატანილმა გოლმა საქმე მნიშვნელოვნად გაგვიადვილა. „მალიორკა“ სწრაფ გოლს აშკარად არ ელოდებოდა და ჰანდიკაპის ამოქაჩვა მყისვე გადაწყვიტა. მასპინძლებმა რამდენჯერმე სერიოზულად გარისკეს. მათ დიდი ძალებით სცადეს წინ წამოსვლა, მაგრამ გაგვიმართლა და მალე მეორე გოლიც გავიტანეთ. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ შეხვედრას მთელი დროის განმავლობაში ჩვენ ვაკონტროლებდით. "მალიორკა" ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ჩვენთვის თავისუფლად თამაშის საშუალება მოესპო, მაგრამ „რეალის“ გამარჯვება ეჭვქვეშ წამითაც არ დამდგარა.“*

ხუანდე რამოსს არიენ რობენის შესანიშნავ თამაშზეც ჰკითხეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარმა მწვრთნელმა მხოლოდ ერთ ფეხბურთელზე არ ისურვა საუბარი: *„რობენი გენიალური მოთამაშეა, მაგრამ არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ „რეალი“ მხოლოდ ერთ ფეხბურთელზე დამოკიდებული გუნდია. ყველას საკუთარი ფუნქცია აქვს. ზოგი უტევს, ზოგი კი თავს იცავს. ბიჭები ცდილობენ, თავიანთი საქმე პირნათლად შეასრულონ. რობენის საქმე კი შეტევაა. სხვათა შორის, მას დაცვითი ფუნქციების შესასრულებლად დიდი ენერგია არ ეხარჯება. ამ საქმეს სხვა ფეხბურთელები აკეთებდნენ. ასე რომ, ვერ ვიტყვი, სამეფო კლუბი მხოლოდ რობენის წყალობით იმარჯვებს-მეთქი.“*

**გრეგორიო მანსანომ** ხუანდე რამოსის მსგავსად სწრაფ გოლზე გაამახვილა ყურადღება: *„ვარჯიშებზე უამრავი ვარიანტი განვიხილეთ. სხვადასხვა სცენარზე ვმუშაობდით, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ სწრაფ გოლს არ ველოდებოდი. არ მეგონა, თუ „რეალი“ მესამე წუთზე გაგვიტანდა. ბუნებრივია, ამ ფაქტმა მატჩის შედეგზე უდიდესი გავლენა იქონია. როცა „რეალი“ დებიუტში დაწინაურდება, მისი შეჩერება იოლი არ არის. სამწუხაროდ, ყველა გეგმა აგვერია და წავაგეთ“.*

შაბათს ფეხბურთის გულშემატკივრები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ „კომუნიდად დე ვალენსია“ უდიდესი საფეხბურთო რეგიონია. აქაურ გუნდებს ყველაფერი გამოუცდიათ. სიხარულიც და უბედურებაც, ალმაფრენაც და გასაჭირიც. მათი ერთ-ერთი მთავარი ღირსება თავზეხელაღებული თამაშისკენ ლტოლვაა. ყველა მატჩი წინასწარ შედგენილი სცენარით რომ მიმდინარეობდეს და ფეხბურთელები მხოლოდ მწვრთნელების მითითების პირუთვნელად შესრულებაზე იყვნენ ორიენტირებული, ფეხბურთი მეტისმეტად მოსაწყენი გახდებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვალენსიის რეგიონის ორმა გუნდმა დაუვიწყარი მატჩი გვაჩუქა. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ ექვსი გოლი გავიდა და "ვილიარეალმა"' ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოქაჩა. პირველ რიგში ერთ უდავო გარემოებაზე უნდა ვისაუბროთ. "ვალენსია" და "ვილიარეალი" აზარტული გუნდები არიან. როცა თამაშის ეშხში შედიან, ყველანაირ მითითებას, პრაგმატიზმსა და ნაციონალიზმს ივიწყებენ. „ვალენსია“ - „ვილიარეალის“ მატჩი აშკარად საუკეთესო იყო ამ სეზონში. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფეხბურთელებმა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნეს. სტუმრებისთვის შეხვედრა ძალიან მძიმედ დაიწყო. რუბენ ბარახამ და დავიდ ვილიამ 10 წუთში 2 ბურთი შეაგდეს, მაგრამ სტუმრებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და თავდაუზოგავი შრომის ფასად ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოქაჩეს. **ლორენტემ** 76-ე წუთზე გაათანაბრა. 3 წუთში ედუმ „ვალენსია“ ისევ დააწინაურა. თითქოს სტუმრებს ძალა აღარ ჰქონდათ, მაგრამ მათ ისევ თამამად შეუტიეს და 83-ე წუთზე პენალტის უფლება მოიპოვეს. **როსიმ** შანსი ხელიდან არ გაუშვა. **მანუელ პელეგრინიმ** მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სამართლიანად აღნიშნა, ამ შეხვედრაში რომელიმე გუნდი რომ დამარცხებულიყო, დიდი უსამართლობა იქნებოდაო. **უნაი ემერიმ** კი განაცხადა, სტუმრებმა ერთი ბურთის გაქვითვის შემდეგ ისე შეგვავიწროვეს, შეგვეშინდა, არ წაგვეგოო.

**მანოლო ხიმენესმა** შვებით ამოისუნთქა. „სევილიის“ პრეზიდენტმა მთავარ მწვრთნელს ულტიმატუმი წაუყენა, თუ უახლოეს ორ შეხვედრას არ მოიგებ, თანამდებობიდან დაგითხოვო. ანდალუსიელებმა წინა ტურში „ატლეტიკოს“ მოუგეს, ახლა კი „დეპორტივო“ ლა კორუნიაში დაამარცხეს. სხვათა შორის, „სევილიამ“ „დეპორს“ ოთხშაბათს ესპანეთის სამეფო თასზე „სანჩეს პისხუანზეც“ მოუგო.

ტურის ერთ-ერთი სენსაცია „ვისენტე კალდერონზე“ დაფიქსირდა. „ატლეტიკომ“ 2009 წელს ყველა შეხვედრა წააგო. გულშემატკივრები აქამდეც უკმაყოფილო იყვნენ, ახლა კი სავარაუდოდ უფრო რადიკალურ ქმედებებზეც გადავლენ. ინჩადამ უკმაყოფილება აგრესიულად სტადიონზევე გამოხატა. ისინი ბასკების მეკარეს **ირაისოს** თოვლის გუნდებს უშენდნენ. სხვათა შორის, ისინი **ხავიერ აგირეს** მიმართულებითაც ისროდნენ გუნდებს. შეხვედრის მთავარი არბიტრი **სესარ მუნის ფერნანდესი** რომ არა, სტუმართა კარის დარაჯს ცუდი დღე დაადგებოდა. ასტურიელი მსაჯის მოთხოვნით სტადიონზე გამოაცხადეს, თუ გუნდების სროლას არ შეწყვეტთ, მაშინ მსაჯს მოუწევს თამაშის შეწყვეტაო. ქომაგების დიდი ნაწილი ამით შეშინდა, მაგრამ რამდენიმე ვიგინდარას ყველაფერი ფეხებზე ეკიდა და თოვლის გუნდებს მაინც ისროდა. უშუალოდ შეხვედრას რაც შეეხება, ბასკები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში აგებდნენ. ხავიერ აგირემ დიდსულოვნად განაცხადა, გულშემატკივრების რადიკალური პროტესტი გულს მტკენს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მათი უკმაყოფილება აბსოლუტურად სამართლიანიაო.

„ბეტისმა“ ზედიზედ მეოთხე შეხვედრა წააგო. ამ ოთხ მატჩში დაკარგული 12 ქულა გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე პირდაპირპროპორციულად აისახება. ანდალუსიელები მე-16 ადგილზე იმყოფებიან და გასავარდნ ზონას მხოლოდ 3 ქულა აშორებთ. ბოროტი ენების თქმით, „ბეტისის“ ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის, **პაკო ჩაპაროს** გადაყენებას ფიქრობს.

„სპორტინგი“ შეუპოვრად წინ მიიწევს. მართალია, მათ პრიმერა დივიზიონში წინა მატჩი წაგებული ჰქონდათ, მაგრამ ამით დიდად არ უნაღვლიათ და „ვალიადოლიდს“ ზედიზედ ორი თამაში მოუგეს. რამდენიმე დღის წინ ეს გუნდები ხიხონში ესპანეთის სამეფო თასის შეხვედრაშიც შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ხიხონელებმა 3:1 მოიგეს, ახლა კი 2:1 გაიმარჯვეს. იმის გათვალისწინებით, რომ „სპორტინგი“ და „ვალიადოლიდი“ უშუალო კონკურენტები არიან, აღნიშნულ ორთაბრძოლას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა.

„ოსასუნა“ სენსაციურ გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ „ბარსელონამ“ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ გენიალური გუნდია. კატალონიელებმა მეორე ტაიმის შუაში ტემპი დააგდეს და ინერტულად თამაში დაიწყეს. ამით პამპლონელებმა მშვენივრად ისარგებლეს და მცირე დროში ორი გოლი გაიტანეს. სტუმრების გენიალურობა სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდა. მართალია, **პეპ გვარდიოლას** ბიჭები კონკურენტებს დიდი სხვაობით უსწრებენ, მაგრამ ისინი პროფესიონალები არიან და ქულების განიავებას არ არიან მიჩვეული. „ბარსამ“ გასაჭირის დროს შესაშური ერთსულოვნება გამოამჟღავნა. **ჩავისა** და **მესის** შესანიშნავმა გოლებმა პრიმერა დივიზიონში ინტრიგის დაბრუნება აღკვეთა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

**17 იანვარი.** ბარსელონა-დეპორტივო, სევილია-ნუმანსია. **18 იანვარი.** ბილბაო-ვალენსია, რეალი-ოსასუნა, ვალიადოლიდი-ბეტისი, ალმერია-ატლეტიკო, ხეტაფე-რასინგი, ვილიარეალი-მალიორკა, მალაგა-ესპანიოლი, რეკრეატივო-სპორტინგი.

### დეპორტივო-სევილია 1:3

**დეპორტივო:** არანსუბია, მანუელ პაბლო, ლოპო, ზე კასტრო, ფილიპე ლუისი (83. რიკი), სერხიო, ხუან როდრიგესი, ლაფიტა, ვერდუ (66. ომარ ბრავო), გუარდადო (79. ვალერონი), ბოდიპო.

**სევილია:** პალოპი, კრესპო (46. კანუტე), პრიეტო, სკილაჩი, ფერნანდო ნავარო, ხესუს ნავასი, რომარიკი, მარესკა, ადრიანო, ლუიშ ფაბიანო (70. დიეგო კაპელი), რენატო (90. ესკუდე).

**გოლები:** 1:0 ბოდიპო (34), 1:1 ლუის ფაბიანო (51), 1:2 რენატო (78), 1:3 დიეგო კაპელი (90+3)

**გაძევება:** მარესკა (40. სევილია)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 20(4)-8(4); **კუთხური:** 10-1; **თამაშგარე:** 2-5; **ჯარიმა:** 13-15; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 20 000

### ვალენსია-ვილიარეალი 3:3

**ვალენსია:** რენანი, ალბელდა, რაულ ალბიოლი (73. ედუ), მარჩენა, მორეტი (62. დელ ორნო), ხოაკინი, მანუელ ფერნანდეში (56. მადურო), ბარახა, მატა, სილვა, ვილია.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, გონსალო როდრიგესი (22. ფუენტესი), გოდინი, კაპდევილია, იბაგასა, ეგურენი (46. ედმილსონი), ბრუნო (69. პირესი), სანტი კასორლა, ლორენტე, როსი.

**გოლები:** 1:0 ბარახა (1), 2:0 ვილია (10), 2:1 ფუენტესი (45), 2:2 ლორენტე (77), 3,2 ედუ (79), 3:3 როსი (83-პენ)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 19(7)-23(10); **კუთხური:** 8-11; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 14-21; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 40 000

### ბეტისი-მალაგა 1:2

**ბეტისი:** რიკარდო, ნელსონი, მელი, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა, მეჰმეთ აურელიო, არსუ, ემანა, სერხიო გარსია, პავონე (62. ჩისკო/88. რივერა), ხუანმა (52. დამია).

**მალაგა:** გოიტია, ხესუს გომესი, ელტერ როსარიო, ველიგტონი, კალეხა, აპონიო, ლოლო (52. ელისეუ), დუდა, ბაა (72. ალბერტო ლუკე), ნაჩო, ადრიან ლოპესი (81. ხოსე ლუკე).

**გოლები:** 0:1 აპონიო (18-პენ), 1:1 ემანა (38), 1:2 ელისეუ (90+1)

**გაძევება:** მელი (26. ბეტისი), ემანა (69. ბეტისი)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 21(9)-20(7); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 13-13; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 40 000

### მალიორკა-რეალი 0:3

**მალიორკა:** ავატე, სკალონი, რამისი (74. კეიტა), დავიდ ნავარო, ნუნიესი, კორალესი, მარტი, სუარესი (46. ხურადო), სანტანა, არანგო (83. ტრეხო), ვებო.

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, პეპე, ჰაინცე, რობენი (70. პალანკა), გაგო, ლასი, სნეიდერი, რაული (73. ჰუნტელაარი), იგუაინი (64. ვან დერ ვაარტი).

**გოლები:** 0:1 რობენი (2), 0:2 რაული (16), 0:3 სერხიო რამოსი (65)

**გაფრთხილება:** 6-3; **დარტყმა:** 14(3)-11(6); **კუთხური:** 9-0; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 24-20; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 18 000

### სპორტინგი-ვალიადოლიდი 2:1

**სპორტინგი:** სერხიო სანჩესი, სასტრე, ივან ერნანდესი, ნერუ, კანელია, დიეგო კამაჩო, მიჩელი, ლუის მორანი (72. მალდონადო), კარმელო (81. ლორა), დიეგო კასტრო, ბარალი (64. ბილიჩი).

**ვალიადოლიდი:** ხუსტო ვილიარი, ლუის პრიეტო, ინიაკი ბეა, გარსია კალვო, მარკოსი, ალვარო რუბიო, კანობიო (46. გოიტომი), ვივარ დორადო, პედრო ლეონი (64. აგირე), ვიქტორი (37. ოსკარ სანჩესი), სესმა.

**გოლები:** 1:0 კარმელო (18), 2:0 ბარალი (35), 2:1 გარსია კალვო (88)

**გაძევება:** მარკოსი (31. ვალიადოლიდი)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 7(6)-5(2); **კუთხური:** 2-10; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 20-14; **ბურთის ფლობა:** 34%-66%

**მაყურებელი:** 21 000

### რასინგი-რეკრეატივო 1:1

**რასინგი:** ტონიო, ვალერა, გარაი (46. ორიოლი), სესარ ნავასი, მარკანო, მუნიტისი, ლუქსენი, ლასენი (64. კოლსა), სერანო (60. ტონი მორალი), პერეირა, ჟიგიჩი.

**რეკრეატივო:** რიესგო, მორისი, ლამასი, არსო, კასადო, ბარბერი, კამუნიასი, ხავი ფუეგო (71. ნაიარი), აიტორი, სისი (66. აკალე), ადრიანი (87. რუბენი).

**გოლები:** 1:0 პერეირა (33), 1:1 კამუნიასი (43)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 10(2)-10(5); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 5-8; **ჯარიმა:** 17-12; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 16 453

### ნუმანსია-ხეტაფე 2:0

**ნუმანსია:** ხუან პაბლო, ხუანრა, სერხიო ორტეგა, ბორისი, სისმა, დელ პინიო (64. გაირე), ნაგორე, დიმაში, ბარკერო (85. ბელვისი), გორკა ბრიტი (76. არანდა), გოირია,

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კონტრა, კატა დიასი, მარიო, კორტესი, გრანერო (4. ხაკობო), სელესტინი, კასკერო, გავილანი (74. უჩე), ალბინი, მანუ დელ მორალი (55. სოლდადო).

**გოლები:** 1:0 ბარკერო (7-პენ), 2:0 არანდა (81)

**გაძევება:** აბონდანსიერი (2. ხეტაფე)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 14(5)-7(3); **კუთხური:** 3-3; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 21-15; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 7 000

### ატლეტიკო-ბილბაო 2:3

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი (46. პერნია), უიფალუში, დომინგესი (59. ბანეგა), ანტონიო ლოპესი, კამაჩო, მაქსი როდრიგესი (70. სინამა პონგოლე), მანიშე, სიმაო, ფორლანი, აგუერო.

**ბილბაო:** ირაისოსი, ირაოლა, აიტორ ოსიო, ამორებიეტა, კოიკილი, სუსაეტა (77. ეჩებერია), ორბაისი, ხავი მარტინესი, დავიდ ლოპესი (61. გაბილონდო), იონ ველესი (68. ტოკერო), ლორენტე.

**გოლები:** 1:0 ანტონიო ლოპესი (15), 1:1 კოიკილი (45), 1:2 დომინგესი (49-საკ. კარში), 1:3 ლორენტე (65), 2:3 ფორლანი (90+1)

**გაძევება:** მანიშე (71. ატლეტიკო)

**გაფრთხილება:** 7-4; **დარტყმა:** 12(2)-9(4); **კუთხური:** 11-8; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 21-16; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 50 000

### ესპანიოლი-ალმერია 2:2

**ესპანიოლი:** კამენი, სერხიო სანჩესი, ხარკე, პარეხა, ჩიკა, მოისეს ურტადო, ანხელ მარტინეი (46. რომანი), რუფეტე (83. ჯონათან სორიანო), კორო (70. კალეხონი), ნენე, ლუის გარსია.

**ალმერია:** დიეგო ალვესი, ბრუნო, ჩიკო, პელერანო, მანე, ხუანიტო (13. ირინეი), სორიანო, ხუანმა ორტისი, კორონა (72. ორტისი), კრუსატი, უჩე.

**გოლები:** 0:1 უჩე (3), 0:2 უჩე (54), 1:2 რომანი (62), 2:2 პარეხა (90)

**გაფრთხილება:** 5-3; **დარტყმა:** 23(9)-9(3); **კუთხური:** 4-3; **თამაშგარე:** 3-5; **ჯარიმა:** 15-27; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 1 325

### ოსასუნა-ბარსელონა 2:3

**ოსასუნა:** რობერტო, მიგელ ფლანიო, სერხიო (46. ხოსეტო), ნაჩო მონრეალი, ასპილიკუეტა, ნექუნამი, ვადოჩი, პუნიალი (58. პორტილიო), პლასილი (81. მასუდი), ხუანფრანი, პანდიანი.

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, პუიოლი, პიკე, აბიდალი, დანიელო ალვეში, ბუსკეტსი, ს. კეიტა (75. კრკიჩი), ჩავი, ანრი (64. ინიესტა), ეტო'ო (89. იაია ტურე), მესი.

**გოლები:** 0:1 ეტო'ო (45), 1:1 მიგელ ფლანიო (62), 2:1 პანდიანი (72), 2:2 ჩავი (80), 2:3 მესი (85)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 6(5)-17(9); **კუთხური:** 2-7; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 11-10; **ბურთის ფლობა:** 33%-67%

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 15 | 2 | 1 | 54-13 | 47 |
| 2. სევილია | 18 | 10 | 5 | 3 | 27-16 | 35 |
| 3. რეალი | 18 | 11 | 2 | 5 | 38-26 | 35 |
| 4. ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 36-24 | 34 |
| 5. ატლეტიკო | 18 | 9 | 3 | 6 | 41-29 | 30 |
| 6. ვილიარეალი | 18 | 8 | 6 | 4 | 30-25 | 30 |
| 7. დეპორტივო | 18 | 9 | 3 | 6 | 23-22 | 30 |
| 8. მალაგა | 18 | 8 | 4 | 6 | 27-27 | 28 |
| 9. სპორტინგი | 18 | 8 | 0 | 10 | 26-37 | 24 |
| 10. ბილბაო | 18 | 6 | 5 | 7 | 24-27 | 23 |
| 11. ვალიადოლიდი | 18 | 7 | 2 | 9 | 26-27 | 23 |
| 12. რასინგი | 18 | 5 | 7 | 6 | 20-23 | 22 |
| 13. ხეტაფე | 18 | 5 | 6 | 7 | 24-29 | 21 |
| 14. ნუმანსია | 18 | 6 | 2 | 10 | 24-36 | 20 |
| 15. ალმერია | 18 | 5 | 5 | 8 | 19-27 | 20 |
| 16. ბეტისი | 18 | 5 | 3 | 10 | 22-25 | 18 |
| 17. რეკრეატივო | 18 | 4 | 5 | 9 | 15-28 | 17 |
| 18. ესპანიოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 17-28 | 15 |
| 19. მალიორკა | 18 | 3 | 5 | 10 | 18-35 | 14 |
| 20. ოსასუნა | 18 | 2 | 7 | 9 | 19-26 | 13 |

**ბომბარდირები:** 16 - ეტო'ო (ბარსელონა); 14 - ვილია (ვალენსია); 12 - ფორლანი (ატლეტიკო); 11 - იგუაინი (რეალი), მესი (ბარსელონა); 9 - აგუერო (ატლეტიკო), ანრი (ბარსელონა); 8 - ნეგრედო (ალმერია).

### II დივიზიონი

### XIX ტური

**ალავესი-სელტა 1:2**

გოლები: 0:1 დ. როდრიგესი (9), 0:2 დ. როდრიგესი (48), 1:2 დარიო (80)

**ერკულესი-ალიკანტე 1:2**

გოლები: 0:1 ასკოიტია (44), 1:1 აგილერი (55), 1:2 მასუეკოსი (56)

**მურსია-ალბასეტე 1:0**

გოლი: 1:0 დესპოტოვიჩი (65)

**სევილია II-უესკა 1:1**

გოლები: 1:0 ბარანკო (32), 1:1 ლ. ელგერა (36)

**სარაგოსა-სალამანკა 1:0**

გოლი: 1:0 ბრაულიო (76)

**ლას პალმასი-კორდობა 0:0**

**ხერესი-ტენერიფე 2:0**

გოლები: 1:0 მომო (16), 2:0 კალე (58)

**კასტელონი-ხიმნასტიკი 2:1**

გოლები: 1:0 პოლი (59), 2:0 ულოა (67), 2:1 ნ'გალი (90)

**ელჩე-ლევანტე 0:2**

გოლები: 0:1 გეიხო (30), 0:2 რუბენი (65-პენ)

**ხირონა-ეიბარი 2:0**

გოლები: 1:0 ფელიპე (63), 2:0 სოუზა (90)

**სოსიედადი-ვალეკანო 1:1**

გოლები: 1:0 აგირეჩე (18), 1:! მიჩელი (90-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სარაგოსა | 19 | 9 | 6 | 4 | 33-20 | 33 |
| 2. ხერესი | 19 | 9 | 6 | 4 | 34-21 | 33 |
| 3. სალამანკა | 19 | 9 | 5 | 5 | 24-18 | 32 |
| 4. ტენერიფე | 19 | 9 | 3 | 7 | 32-29 | 30 |
| 5. ერკულესი | 19 | 7 | 8 | 4 | 26-17 | 29 |
| 6. კასტელონი | 19 | 7 | 8 | 4 | 27-20 | 29 |
| 7. ლევანტე | 19 | 8 | 5 | 6 | 26-25 | 29 |
| 8. უესკა | 19 | 7 | 7 | 5 | 27-22 | 28 |
| 9. სოსიედადი | 19 | 6 | 10 | 3 | 19-15 | 28 |
| 10. სელტა | 18 | 7 | 7 | 4 | 21-18 | 28 |
| 11. ხირონა | 19 | 7 | 7 | 5 | 18-17 | 28 |
| 12. ხიმნასტიკი | 19 | 6 | 9 | 4 | 31-23 | 27 |
| 13. ვალეკანო | 19 | 6 | 9 | 4 | 22-20 | 27 |
| 14. ლას პალმასი | 19 | 6 | 8 | 5 | 25-19 | 26 |
| 15. ალბასეტე | 19 | 6 | 6 | 7 | 21-25 | 24 |
| 16. ელჩე | 19 | 5 | 7 | 7 | 22-23 | 22 |
| 17. ეიბარი | 19 | 5 | 6 | 8 | 14-25 | 21 |
| 18. ალავესი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-32 | 20 |
| 19. მურსია | 18 | 5 | 4 | 9 | 17-25 | 19 |
| 20. კორდობა | 19 | 4 | 6 | 9 | 17-26 | 18 |
| 21. ალიკანტე | 19 | 2 | 6 | 11 | 14-31 | 12 |
| 22. სევილია B | 19 | 1 | 6 | 12 | 11-30 | 9 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XXI ტური



# რა ელის სკოლარის?

## მოურინიოს ინგლისში დაბრუნება მისი ყოფილი კლუბისთვის ფიასკოთი დასრულდა

„მანჩესტერისა“ და „ჩელსის“ გუშინდელ შეხვედრას გამორჩეული სტუმარი ჰყავდა. **ჟოზე მოურინიო** „ოლდ ტრეფორდის“ საპატიო სტუმრების ლოჟაში იჯდა და ყოფილი კლუბის საცოდაობას ადევნებდა თვალს.

მოურინიო ინგლისში სენტიმენტალური მოსაზრებების გამო არ ჩასულა. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მისი „ინტერი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეთამაშება. ჟოზესაც მომავალი მეტოქის დაზვერვა ჰქონდა განზრახული.

„მენიუმ“ „არისტოკრატებს“ ბოლო 15 წელიწადში ყველაზე დიდი ანგარიშით სძლია. ინგლისური ტაბლოიდები სავსეა სპეკულაციებით **ლუიშ ფელიპე სკოლარის** მოსალოდნელი აბარგების თაობაზე.

სკოლარიმ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. მან სკამზე გაამწესა პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი **ნიკოლა ანელკა**. სკოლარის არჩევანი იმიტომაა გასაოცარი, რომ მანჩესტერელებს **რიო ფერდინანდი** არ ჰყავდათ. „ეშმაკების“ კაპიტანსა და ცენტრალურ მცველს ზურგის ქრონიკულმა ტრავმამ შეახსენა თავი.

„ჩელსიმ“ შეხვედრა აქტიურად დაიწყო. „არისტოკრატები“ მოედნის ცენტრში გაბატონდნენ. **ფრენკ ლემპარდსა** და **მიხაელ ბალაკს** ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ. კარგი შანსი ჰქონდა **ეშლი კოულს**. მის ადგილას ანელკა რომ ყოფილიყო, ლონდონელები აუცილებლად დაწინაურდებოდნენ.

„იუნაიტედი“ მეტოქეს ვალში არ დარჩენია. **პეტრ ჩეხმა რაინ გიგზის** საჯარიმო გაჭირვებით მოიგერია. **უეინ რუნიმ დიმიტარ ბერბატოვი** დასარტყამ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელს მიზანმა უმტყუნა.

ტაიმის მიწურულს მოედანზე ემოციებმა იფეთქა. „მანჩესტერმა“ ზეწოლა გააძლიერა. რონალდომ ფეხი უხეიროდ მოიქნია და კარში დარტყმის ნაცვლად რუნისათვის გაკეთებული პასი გამოუვიდა. შემდეგ მსაჯმა **ჰოვარდ ვებმა** ყურად არ იღო **დარენ ფლეტჩერის** პროტესტი. შოტლანდიელი ნახევარმცველი პენალტს ითხოვდა, რადგან მისი დარტყმისას ბურთი **ჯონ ტერის** მკლავში მოხვდა.

11-მეტრიანის ნაცვლად სტუმართა კარში კუთხური დაინიშნა. რუნიმ და გიგზმა იქვე გაითამაშეს ბურთი. უეინმა საჯარიმოში ჩაჰკიდა. მის პასს ახლო ძელთან რონალდო დახვდა და თავური დარტყმით შეაგდო. გვერდითმა მსაჯმა ალამი ალმართა და კუთხურის თავიდან მოწოდება ბრძანა. მანჩესტერელები თანამსაჯს გარს შემოერტყნენ, მაგრამ აბა, რას გახდებოდნენ?

განმეორებითი კუთხური გიგზმა მოაწოდა. ბერბატოვმა ბურთი შორ ძელთან ჩასაფრებულ ვიდიჩს გადაუგდო. სერბმა მცველმა შეტევა გოლით დააგვირგვინა. ერთი თვის წინ ვიდიჩმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. მან „სანდერლენდი“ მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე დაამწუხრა, რითაც „ეშმაკების“ აქტივს მნიშვნელოვანი სამი ქულა შემატა. იმასაც შეგახსენებთ, რომ საკლუბო მუნდიალისას ვიდიჩს წითელი ბარათი აუფრიალეს. იმ გაძევების გამო მან, შესაძლოა, „ინტერთან“ ვერ ითამაშოს.

შესვენებისას სკოლარიმ გუნდი გადააწყო. მან **დეკუს** ნაცვლად ანელკა გამოიყვანა. „არისტოკრატებმა“ მეორე ნახევარიც აქტიურად დაიწყეს. ისინი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკონტროლებდნენ ბურთს, მაგრამ ბოლო ფაზაში არაფერი გამოსდიოდათ.

ამას დაცვაში უხეირო თამაშიც დაემატა. 63-ე წუთზე, როდესაც რუნიმ ანგარიში გაზარდა, გოლს არაფერი მოასწავებდა. „იუნაიტედმა“ შეტევა მარცხენა ფლანგიდან წამოიწყო. **პატრის ევრამ** რონალდოს გაუგორა ბურთი. რონალდომ ის ფრანგ მცველს დაუბრუნა. ევრამ საჯარიმოში ბერბატოვის მისამართით ჩაჰკიდა. ეშლი კოულს ამ იერიშის მოგერიება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: მას რუნი წამოეპარა და ბურთს ფეხი მიჰკრა. გაოგნებულმა **პეტრ ჩეხმა** რეაგირებაც კი ვერ მოასწრო.

თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე რონალდომ ბერბატოვს საუცხოო პასი გაუკეთა. ბულგარელს მესამე გოლის გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა. პრემიერლიგის ოდესღაც მრისხანე თავდამსხმელმა **დიდიე დროგბამ** მეტოქის კარისაკენ ორადორჯერ დაარტყა. აქედან, ერთი დარტყმა ისე ააცილა, რომ ბურთი აუტზე გადავიდა...

„არსენალმა“ „ბოლტონს“ **ნიკლას ბენდტნერის** ერთადერთი გოლით მოუგო. დანიელი თავდამსხმელი მინდორზე 75-ე წუთზე **ემანუელ ებუეს** ნაცვლად შევიდა. მას სულ რაღაც ცხრა წუთი დასჭირდა იმისათვის, რომ გაჯიუტებული სტუმარი თავის ადგილზე მოესვა.

ბენდტნერს, მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელია, ნოემბრის შემდეგ არ გაეტანა. იმის გამო, რომ „ლივერპულმა“ „სტოკ სიტისთან“ ვერაფერი გააწყო, „მეთოფეებმა“ ლიდერებთან სხვაობა 7 ქულამდე შეამცირეს (თუმცა მერსისაიდელებს ერთი მატჩი თადარიგში აქვთ).

თამაშის დაწყებამდე „ემირიტს სთედიუმზე“ ნისლი ჩამოწვა, მაგრამ ის იმდენად სქელი არ იყო, რომ ფეხბურთელებისათვის ხელი შეეშალა, „არსენალმა“ მეტოქე უმალ მარწუხებში მოაქცია. პირველი საგოლე მომენტი მე-12 წუთზე შეიქმნა. **სამირ ნასრიმ რობინ ვან პერსის** ბურთი პენალტის ნიშნულთან მიაწოდა. ამ უკანასკნელმა ის ოსტატურად აიგდო და დაარტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა.

საპასუხო იერიშისას **იოჰან ელმანდერსაც** შეეძლო გოლის გატანა. სახიფათო მომენტი **კოლო ტურესა** და **მანუელ ალმუნიას** შეუთანხმებელი თამაშის შედეგად შეიქმნა, თანაგუნდელებს **იოჰან ჯურუ** დაეხმარა და მდგომარეობა განმუხტა.

აქვე გეტყვით, რომ ტრავმის შემდეგ კოლო ტურე პირველად ასპარეზობდა. მას კაპიტნის სამკლაური ეკეთა. ორიოდე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "არსენალის" ვარჯიშისას კოლო ტურეს ერთ-ერთ თანაგუნდელთან უსიამოვნება შეემთხვა. ფეხბურთელი ისე განაწყენდა, რომ ტრანსფერზე დაყენებაც კი მოითხოვაო, წერდა „სანი“.

„არსენალმა“ მეტოქის გამოხტომა უპასუხოდ არ დატოვა. **ენდრიუ ობრაიენმა** დიდი გაჭირვებით გამოიტანა ვან პერსის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი. ეს პასი ემანუელ ადებაიორისათვის იყო განკუთვნილი. რამდენიმე დღის წინ ტოგოელი თავდამსხმელი აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ტაიმის მიწურულს გამოიკვეთა, რომ ბოლტონელები ყრუ დაცვაზე აკეთებდნენ აქცენტს. ისინი მეტოქის კარისაკენ თითქმის ალარ იყურებოდნენ. სტუმრებს შეტევაში მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, ელმანდერი ჰყავდათ, რომელსაც ბურთი იშვიათად მისდიოდა.

მასპინძლები პირიქით, თითქმის მთელი შემადგენლობით ბოლტონელთა ნახევარზე იმყოფებოდნენ. ვან პერსის კიდევ ერთი მომენტი ჰქონდა. მას ბურთი საჯარიმოს კიდეზე მიუვიდა. ჰოლანდიელმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ ისევ ააცილა.

53-ე წუთზე ალმუნიას თამაშში ჩართვა მოუხდა. „ბოლტონმა“ მარჯვენა ფლანგიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააგდო. მას **მეტიუ ტეილორი** დაეუფლა და თავი დაჰკრა. „არსენალის“ გოლკიპერმა მომენტი იოლად განმუხტა.

შეხვედრა დასასრულისაკენ წავიდა. „მეთოფეები“ ანერვიულდნენ. ადეიაბორმა საუცხოო მომენტი გაანიავა. ვან პერსი სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა, მეკარე იაასკელაინენიც მოატყუა და მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა. ბოლოს 84-ე წუთიც დადგა. ვან პერსიმ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. ბენდტნერი ბურთს შორ ძელთან დახვდა და გამარჯვების გოლი შეაგდო.

**შალვა ბიბილაშვილი**

### გადატანილი მატჩი

**14 იანვარი. მანჩესტერ იუნაიტედი-ვიგანი**

### მომდევნო ტური

**17 იანვარი. ბლექბერნი-ნიუკასლი, ბოლტონი-მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი-სტოკ სიტი, მანჩესტერ სიტი-ვიგანი, სანდერლენდი-ასტონ ვილა, ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო, ჰალ სიტი-არსენალი. 18 იანვარი. ვესტ ჰემი-ფულჰემი, ტოტენჰემი-პორტსმუთი. 19 იანვარი. ლივერპული-ევერტონი.**

### ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი 2:1

**ვილა:** ფრიდელი, ლაურსენი, კერტის დევისი, ლუკ იანგი, რეო-კოკერი, ბერი, სიდველი (87. ხიმენესი), სტილიან პეტროვი, იანგი, მილნერი, აგბონლაორი.

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ბარნეტი, ოლსონი, რობინსონი, ჰიოფკენსი, ვალერო (77. კიმი), გრინინგი, კორენი, მორისონი (65. ბრანტი), ლუკ მური (46. ბედნარი), სიმპსონი.

**გოლები:** 1:0 კერტის დევისი (18), 2:0 კარსონი (41-საკ.კარში), 2:1 მორისონი (49).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 22(9)-14(3); **ჯარიმა:** 11-18; **კუთხური:** 10-7; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 41 757

### ევერტონი-ჰალ სიტი 2:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ჟაგიელკა, ბაინესი, ჰიბერტი, არტეტა (90. როდველი), ფილ ნევილი, პიენაარი, ოსმანი, ტიმ კაჰილი (74. ანიჩებე), ფელაინი.

**ჰალი:** მაიჰილი, ზაიათი, ტერნერი, რიკეტსი, მაკშეინი (80. ჰალმოში), ეშბი, მარნი (54. ფეგანი), ბარმბი, ჯოვანი (66. კუზენი), მენდი, მარლონ კინგი.

**გოლები:** 1:0 ფელაინი (18), 2:0 არტეტა (45).

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 8(2)-5(0); **ჯარიმა:** 14-26; **კუთხური:** 14-26; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**გოლები:** 37 527

### მიდლსბრო-სანდერლენდი 1:1

**მიდლსბრო:** ტერნბული, ვიტერი, რიგოტი, პოგატეცი, მაკმაჰონი, უოქერი (48. ადამ ჯონსონი), დიგარდი (66. ბეიტსი), არკა, თუნჯაი, აფონსო ალვეში (86. მიდო), დაუნინგი.

**სანდერლენდი:** ფულოპი, ანტონ ფერდინანდი, ნოსვორთი, კოლინზი, შიმბონდა, რიჩარდსონი (80. ჰილი), უაითჰედი, დიუფი (67. რიდი), მალბრანკი (54. ედვარდსი), ჯიბრილ სისე, ჯოუნსი.

**გოლები:** 1:0 აფონსო ალვეში (45), 1:1 ჯოუნსი (82).

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 10(3)-12(2); **ჯარიმა:** 11-13; **კუთხური:** 2-7; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 29 310

### ნიუკასლი-ვესტ ჰემი 2:2

**ნიუკასლი:** გივენი, ბასონგი, კოლოჩინი, ხოსე ენრიკე, სტივ ტეილორი, გუტრი, ჯერემი (62. ნზოგბია), ხონას გუტიერესი, დაფი, ოუენი, ქეროლი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, ჯეიმს კოლინზი, ილუნგა, ნილი, ნობლი (86. მულინსი), პარკერი, კოლისონი (76. ბოა მორტე), ბეჰრამი, ბელამი (82. დი მიკელე), კარლტონ კოული.

**გოლები:** 1:0 ოუენი (19), 1:1 ბელამი (29), 1:2 კარლტონ კოული (55), 2:2 ქეროლი (78).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 23(3)-15(9); **ჯარიმა:** 11-18; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 47 571

### არსენალი-ბოლტონი 1:0

**არსენალი:** ალმუნია, ჯურუ, კოლო ტურე, კლიში, სანია, დენილსონი, დიაბი (64. ველა), ნასრი, ებუე (75. ბენდტნერი), ადებაიორი (88. რემსი), ვან პერსი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ენდრიუ ობრაიენი, შიტუ, სამუელი, ბეშამი, რიკარდო გარდნერი, მაკენი, მუამბა, მეტიუ ტეილორი, კევინ დევისი, ელმანდერი (39. მუსტაფა/78. ობადეი).

**გოლი:** 1:0 ბენდტნერი (84)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 19(5)-2(2); **ჯარიმა:** 16-16; **კუთხური:** 5-0; **ბურთის ფლობა:** 77%-24%.

**მაყურებელი:** 60 068

### სტოკ სიტი-ლივერპული 0:0

**სტოკი:** სორენსენი, აბდულა ფაიე, შოკროსი, ჰიგინბოთემი, ვილკინსონი, ამდი ფაიე, ველანი, ეთერინგტონი (78. ლორენსი), დელაპი, კრესველი, კიტსონი (89. პიუ).

**ლივერპული:** რეინა, ჰიიპია, შკრტელი, აურელიო, კარაგერი, მასკერანო, ლუკასი, კუიტი, ჯერარდი, რიერა (61. ტორესი), ბენაიუნი (76. ბაბელი).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 6(0)-11(2); **ჯარიმა:** 11-12; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 27 500

### ვიგანი-ტოტენჰემი 1:0

**ვიგანი:** კერკლანდი, შარნერი, ბრემბლი, ფიგეროა, მელხიოტი, პალასიოსი, კატერმოული, რაიან ტეილორი, ვალენსია, ჰესკი, ზაქი.

**ტოტენჰემი:** გომესი, ლედლი კინგი, ვუდგეიტი, დოსონი (79. ჯენასი), ოჰარა, ზოკორა, მოდრიჩი (58. ლენონი), ბეილი, ჩორლუკა, დეფო, პავლიუჩენკო (53. დარენ ბენტი).

**გოლი:** 1:0 ფიგეროა (90).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 13(3)-6(2); **ჯარიმა:** 13-15; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 17 500

### მანჩესტერ იუნ.-ჩელსი 3:0

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ევანსი, ვიდიჩი, ევრა (66. ოში), გარი ნევილი, ფლეტჩერი, გიგზი (80. ქერიკი), პარკი, რონალდო, რუნი, ბერბატოვი.

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, კარვალიო, ეშლი კოული, ბოსინგვა (64. ბელეტი), ლემპარდი, ბალაკი, ობი მიკელი, დეკუ (46. ანელკა), ჯო კოული (85. დი სანტო), დროგბა.

**გოლი:** 1:0 ვიდიჩი (45), 2:0 რუნი (63), 3:0 ბერბატოვი (87).

**გაფრთხილება:** 3-5; **დარტყმა:** 14(5)-11(1); **ჯარიმა:** 14-17; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 75 455

**ფულჰემი-ბლექბერნი** გადაიდო

**პორტსმუთი-მანჩ. სიტი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 21 | 13 | 7 | 1 | 35-13 | 46 |
| 2. ჩელსი | 21 | 12 | 6 | 3 | 40-12 | 42 |
| 3. მანჩესტერ იუნ. | 19 | 12 | 5 | 2 | 31-10 | 41 |
| 4. ასტონ ვილა | 21 | 12 | 5 | 4 | 35-23 | 41 |
| 5. არსენალი | 21 | 11 | 5 | 5 | 34-23 | 38 |
| 6. ევერტონი | 21 | 10 | 5 | 6 | 29-25 | 35 |
| 7. ვიგანი | 20 | 9 | 4 | 7 | 25-21 | 31 |
| 8. ჰალ სიტი | 21 | 7 | 6 | 8 | 28-39 | 27 |
| 9. ფულჰემი | 19 | 6 | 8 | 5 | 18-14 | 26 |
| 10. ვესტ ჰემი | 21 | 7 | 5 | 9 | 26-30 | 26 |
| 11. ნიუკასლი | 21 | 5 | 8 | 8 | 28-34 | 23 |
| 12. ბოლტონი | 21 | 7 | 2 | 12 | 22-29 | 23 |
| 13. სანდერლენდი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-30 | 23 |
| 14. პორტსმუთი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-33 | 23 |
| 15. მანჩესტერ სიტი | 20 | 6 | 4 | 10 | 38-30 | 22 |
| 16. მიდლსბრო | 21 | 5 | 6 | 10 | 18-30 | 21 |
| 17. სტოკ სიტი | 21 | 5 | 6 | 10 | 18-33 | 21 |
| 18. ტოტენჰემი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-26 | 20 |
| 19. ბლექბერნი | 20 | 4 | 6 | 10 | 22-36 | 18 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 21 | 5 | 3 | 13 | 17-37 | 18 |

**ბომბარდირები:** 14 - ანელკა (ჩელსი); 11 – რობინიო (მანჩესტერ სიტი); 10 – ზაქი (ვიგანი); 9 – აგბონლაორი (ასტონ ვილა); 8 – რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი), დეფო (პორტსმუთი/ტოტენჰემი), სისე (სანდერლენდი), ლემპარდი (ჩელსი), ჯერარდი (ლივერპული), ოუენი (ნიუკასლი), ვან პერსი (არსენალი).

### ჩემპიონშიპი

**რედინგი-უოტფორდი** 4:0

**გოლები:** 1:0 არმსტრონგი (38), 2:0 ჰანტი (67), 3:0 დოილი (69), 4:0 ლიტა (89).

**ბარნსლი-საუთჰემპტონი** 0:1

**გოლები:** 0:1 მაკგოლდრიკი (76).

**ბლექპული-ბირმინგემი** გადაიდო

**კარდიფი-დერბი** გადაიდო

**ჩარლტონი-ნოტინგემ ფ.** 0:2

**გოლები:** 0:1 ტაისონი (34), 0:2 ერნშო (36).

დონკასტერი-ბრისტოლი გადაიდო

**იფსვიჩი-შეფილ უენ.** 1:1

**გოლები:** 0:1 უოტსონი (52), 1:1 კუნაგო (66).

**პლიმუთი-კრ.პალასი** გადაიდო

**ქუინზ პარკი-ქოვენთრი** 1:1

**გოლები:** 0:1 ფოქსი (73), 1:1 ბლექსტოკი (87).

**გაძევება:** რაიტი (37. ქოვენთრი)

**შეფილდ იუნ-ნორვიჩი** 1:0

**გოლი:** 1:0 ჰენდერსონი (17).

**ვულვერჰემპტონი-პრესტონი** 1:3

**გოლები:** 1:0 ებანს-ბლეიკი (20), 1:1 ელიოტი (24), 1:2 ლეჯერი (41), 1:3 ელიოტი (61).

**ბარნლი-სვონსი** 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვულვერჰემპტ. | 27 | 18 | 4 | 5 | 55-33 | 58 |
| 2. რედინგი | 27 | 16 | 6 | 5 | 57-24 | 54 |
| 3. ბირმინგემი | 26 | 15 | 6 | 5 | 34-23 | 51 |
| 4. შეფილდ იუნ. | 27 | 12 | 8 | 7 | 38-25 | 44 |
| 5. კარდიფი | 26 | 11 | 11 | 4 | 36-25 | 44 |
| 6. პრესტონი | 27 | 13 | 5 | 9 | 39-33 | 44 |
| 7. ბარნლი | 27 | 12 | 7 | 8 | 40-37 | 43 |
| 8. კრ.პალასი | 26 | 11 | 7 | 8 | 38-28 | 40 |
| 9. ქუინზ პარკი | 27 | 10 | 9 | 8 | 26-27 | 39 |
| 10. სვონსი | 27 | 8 | 14 | 5 | 35-30 | 38 |
| 11. იფსვიჩი | 27 | 9 | 9 | 9 | 36-29 | 36 |
| 12. შეფილდ უენ. | 27 | 9 | 8 | 10 | 26-38 | 35 |
| 13. ბრისტოლი | 26 | 8 | 10 | 8 | 30-32 | 34 |
| 14. ქოვენთრი | 27 | 8 | 10 | 9 | 30-32 | 34 |
| 15. პლიმუთი | 26 | 9 | 6 | 11 | 27-29 | 33 |
| 16. ბარნსლი | 27 | 9 | 5 | 13 | 28-33 | 32 |
| 17. ბლექპული | 26 | 7 | 10 | 9 | 26-33 | 31 |
| 18. დერბი | 26 | 7 | 8 | 11 | 28-37 | 29 |
| 19. უოტფორდი | 27 | 7 | 6 | 14 | 38-48 | 27 |
| 20. ნოტინგემ ფ. | 27 | 6 | 9 | 12 | 28-38 | 27 |
| 21. ნორვიჩი | 27 | 7 | 5 | 15 | 32-43 | 26 |
| 22. საუთჰემპტონი | 27 | 6 | 8 | 13 | 23-40 | 26 |
| 23. დონკასტერი | 26 | 6 | 6 | 14 | 17-31 | 24 |
| 24. ჩარლტონი | 27 | 4 | 7 | 16 | 28-47 | 19 |

### I ლიგა

ბრისტოლი-იოვილი გადაიდო, ჩელტენჰემი-მილუოლი გადაიდო, ლიდსი-კარლაისლი 0:2, ლესტერი-ლეიტონი 3:0, ნორთჰემპტონი-ჰადერსფილდი 1:1, ოლდჰემი-ჰარტლპული გადაიდო, სკანთორპი-ჰერეფორდი გადაიდო, საუთენდი-ქრუ გადაიდო, ტრანმერი-პიტერბორო გადაიდო, უოლსოლი-ბრაიტონი გადაიდო, მილტონი-კოლჩესტერი დღეს.

### II ლიგა

აქრინგტონი-დარლინგტონი გადაიდო, ბორნმუთი-ბრედფორდი გადაიდო, ბერი-ბარნეტი 1:0, ჩესტერფილდი-როჩდეილი გადაიდო, დაგენჰემი-ვიკომბი გადაიდო, ჯილინგემი-ოლდერშოტი გადაიდო, გრიმსბი-მორკომბი გადაიდო, ლინკოლნი-ბრენტფორდი 2:2, ლუტონი-როტერჰემი გადაიდო, მაკლსფილდი-პორტ ველი გადაიდო, ნოთს ქაუნთი-ექსეტერი 2:1, შრუსბერი-ჩესტერი გადაიდო.

### კონფერენსი

მანსფილდი-ოლტრინჩემი გადაიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი


დიეგოს იუვენტუსში გადასვლის პერსპექტივა ხიბლავს

# დიეგო: ფლირტი ბებერ ქალბატონთან!

## ბრაზილიელს გული ტურინისკენ მიუწევს, რანიერის ხომ ნედვედის შემცვლელი სჭირდება

ბრემენის „ვერდერის" ბრაზილიელ ლიდერ **დიეგოს** დიდი ხანია, ევროპის ტოპ-კლუბებთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აბრალებენ. 23 წლის ფლეიმეიკერს ბრემენში ალმერთებენ, მაგრამ როგორც ჩანს, მას გაცილებით დიდი ამბიციები გაუჩნდა. „მუსიკოსები" ახლა თურქეთში გადიან შეკრებას და იქ მყოფმა დიეგომ ბრაზილიელ ჟურნალისტებს უთხრა, რომ „ვერდერიდან" წასვლას არ გამორიცხავს. მეტიც, დიეგო პირდაპირ ამბობს, რომ ტურინის „იუვენტუსში" სურს კარიერის გაგრძელება.

*„იუვენტუსი" მართლაც იდეალური ვარიანტია. ამ გუნდში უდიდესი სიამოვნებით გადავიდოდი. ეს არის შანსი, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება,"* - აცხადებს დიეგო ბრაზილიურ გამოცემა „გლობოსთვის" მიცემულ ინტერვიუში. კითხვაზე, რატომ მაინცდამაინც „იუვე", ბრაზილიელი ფლეიმეიკერი ასე პასუხობს: *„ტურინულ გრანდში ჩემი თანამემამულეები და მათ შორის, გენიალური თავდამსხმელი კარვალიო ამაური თამაშობს, რომელიც იქაურ ატმოსფეროსთან შეგუებას ძალიან გამიადვილებს. ესეც არ იყოს, „იუვენტუსი" მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, რომლის შეფებსაც შესანიშნავი პროგრამა აქვთ. მათი გეგმები სერიოზულია და თუ მეც ამ გეგმის ნაწილი ვარ, თავს ბედნიერ ადამიანად ვიგრძნობ."*

ისე, უნდა აღინიშნოს, არგუმენტად ტურინელი ბრაზილიელების (თანამემამულეებით) მოყვანა ძალიან საეჭვოა, რადგან ამაური „იუვენტუსის" ერთადერთი ბრაზილიელი მოთამაშეა. ხსენებულ ინტერვიუში ბრაზილიელი ჟურნალისტი დიეგოს ეუბნება, ამაურის გარდა „იუვეში" ბრაზილიელი არავინააო, „ვერდერის" ფეხბურთელი კი ასე პასუხობს: *„რა მნიშვნელობა აქვს, „იუვე" დიდი გუნდია!"*

როგორც ირკვევა, დიეგოს გადაბირებით „მილანი" და „ინტერიც" არიან დაინტერესებულები. დიეგო: *„ორივე მათგანი უდიდესი კლუბია. „ვერდერში" თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ მათი ჩემდამი ინტერესიც მახარებს. განსაკუთრებით კი „იუვენტუსისა".* დიეგოს ასეთი განცხადებები „ვერდერის" ფანებისთვის ნამდვილი შოკია, აი, ბრემენული კლუბის გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** კი მაინც სიმშვიდეს ინარჩუნებს. *„დიეგოს ჩვენთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. ვფიქრობ, ეს პრესის მონაჩმახია და ისე კი, სულაც არ მიკვირს, რომ ჩვენი ვარსკვლავით ევროპის ტოპ-გუნდები დაინტერესდნენ. დიეგო ხომ ძალიან მაგარი ფეხბურთელია,"* - აცხადებს ალოფსი.

„გაძეტა დელო სპორტი" ტურინული გრანდის მთავარ მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** დაუკავშირდა და ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა. აი, რას ამბობს რანიერი: *„პირველ რიგში იმაზე ვფიოქრობ, რომ ყველა ტრავმირებული ფეხბურთელი დროულად გამომიჯანმრთელდეს. ისე კი, დიდი მადლობა ბრაზილიურ პრესას იმისათვის, რომ ამ ფეხბურთელის პოზიცია გამაგებინა. დიეგოს შესახებ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელია. სხვა დანარჩენი კი, რაც მისი „იუვენტუსში" შესაძლო ტრანსფერს შეიძლება უკავშირდებოდეს, ან თვითონ ფეხბურთელს, ანაც ჩვენს სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოს უნდა ჰკითხოთ."*

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსს" ტიპური გამთამაშებელი საერთოდ არ ჰყავს. ისე კი, დიეგოს **პაველ ნედვედის** შეცვლა შეუძლია, რომელსაც ზაფხულისთვის ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება აქვს გადაწყვეტილი...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბაიერნი

# კლინსმანმა ამოღერღა: პოდოლსკი არ მჭირდება!

## ლუკასი მიუნხენს ზაფხულში დატოვებს, კროოსი კი უნდა დარჩეს

„ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა**, როგორც იქნა, ამოღერღა და თქვა, რომ მას **ლუკას პოდოლსკი** არაფერში სჭირდება. რეკორდმაისტერის თავკაცმა ისიც აღნიშნა, რომ „პრინცი პოლდი" ზაფხულში მიუნხენიდან აუცილებლად წავა, ოღონდ მხოლოდ ზაფხულიდან და არა მანამდე. ჯერ კიდევ პარასკევს, „ბაიერნის" მენეჯერმა **ული ჰიონესმა** დაადასტურა, რომ დიდი შანსია, პოდოლსკი „კიოლნში" გადავიდეს. ჩვენ ამ კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და შეთანხმებასთან ძალიან ახლოს ვართო. სამაგიეროდ, კლინსმანს მყარად აქვს გადაწყვეტილი **ტონი კროოსის** შენარჩუნება.

*„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ კროოსი აუცილებლად „ბაიერნში" უნდა დარჩეს,"* - განაცხადა კლინსმანმა დუბაიში, სადაც „ბაიერნი" მეორე წრისთვის მოსამზადებელ შეკრებას გადის. ცნობილია, რომ 19 წლის ნიჭიერ გამთამაშებელს სხვა კლუბებთან ერთად, „შტუტგარტიც" ეპატიჟებოდა. მეტიც, ყველაზე მეტად სწორედ შვაბები აქტიურობდნენ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში კროოსმა ბუნდესლიგის მხოლოდ 7 თამაშში მიიღო მონაწილეობა. აქედან, ხუთ მატჩში ის შეცვლაზე შეიყვანეს. ჩემპიონთა ლიგაში კროოსმა „ფიორენტინასთან" მატჩის დროს მოედანზე 11 წუთი გაატარა. კლინსმანი: *„მართალია, კროოსი ძირითადი შემადგენლობის წევრი არ არის და პირველ წრეში არც ისე ბევრი თამაში ჩაატარა, მაგრამ სამწვრთნელო შტაბი ხედავს მის აშკარა პროგრესს და უდიდეს პოტენციალს. მან კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს. მოკლედ, ჩვენ კროოსში უდიდეს ფეხბურთელს ვხედავთ და გადავწყვიტეთ, არსად გავუშვათ. ტონი „ბაიერნში" უნდა დარჩეს."*

რაც შეეხება პოდოლსკის თემას. პარასკევს „კიოლნთან" მოლაპარაკებები შედგა და ჰიონესის თქმით, წინ უდიდესი ნაბიჯი გადაიდგა. ასე რომ, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ზაფხულში პოდოლსკი თავის მშობლიურ კლუბში დაბრუნდება. კლინსმანი კატეგორიული წინააღმდეგია იმისა, რომ ლუკასმა რეკორდმაისტერი ახლავე დატოვოს, რადგან პოდოლსკი რომ წავიდეს, მას გუნდში მხოლოდ 2 თავდამსხმელი (**მიროსლავ კლოზე** და **ლუკა ტონი**) და დროებით არენდით აყვანილი **ლენდონ დონოვანი** დარჩება.

*„რას ვიზამთ, ხანდახან ისეც ხდება, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი ამა თუ იმ კლუბში თავის ადგილს ვერ პოულობს. პოდოლსკი ნამდვილად ძალიან კარგი თავდამსხმელია, მაგრამ მისი სტილი „ბაიერნის" სტილს არ ესადაგება. ამიტომაც, ლუკასი ზაფხულში დაგვტოვებს,"* - განაცხადა კლინსმანმა შაბათ საღამოს.

კლინსი ძალიან წუხს იმის გამო, რომ პოდოლსკიმ „ბაიერნში" იმედები ვერ გაამართლა და თავისი ადგილი ვერ დაიმკვიდრა. იურგენის თქმით, ლუკასს ჰქონდა იმის პოტენციალი, რომ რეკორდმაისტერის ერთ-ერთი ლიდერი გამხდარიყო. რეკორდმაისტერის თავკაცის აზრით, პოდოლსკიმ უდიდეს კონკურენციას ვერ გაუძლო - ლუკა ტონისა და მირო კლოზეს კომპანიაში გამარჯვება არც ისე ადვილია. *„ბოლოს მან უკვე თავდაჯერებაც დაკარგა და ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია თავდამსხმელისთვის,"* - აღნიშნა კლინსიმ.

მენეჯერ ჰიონესის თქმით, პოდოლსკის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება იანვრის ბოლომდე იქნება მიღებული. ულიმ ისიც თქვა, რომ „კიოლნთან" მოლაპარაკებები სწორი გზით მიდის და დიდი შანსია, ლუკასი მშობლიური კლუბში დაბრუნდეს. „ბაიერნის" მენეჯერი ადასტურებს, რომ დუბაიდან დაბრუნების შემდეგ „კიოლნის" მენეჯერ **მიხაელ მაიერს** შეხვდება და ბოლო დეტალებსაც შეათანხმებს. *„ვფიქრობ, ამ ტრანსფერს წინ აღარაფერი უდგას. მიხარია, რომ პოდოლსკიც ბედნიერი იქნება,"* - ამბობს ული.

2006 წლის ზაფხულში „ბაიერნმა" პოდოლსკის სანაცვლოდ „კიოლნს" 10 მილიონი ევრო გადაუხადა. როგორც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, „ბაიერნი" მზადაა, დათმობაზე წავიდეს და „თხებს" გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ისევ 10 მილიონად დაუთმოს. როგორც იცით, აქამდე ბავარიელები 13-14 მილიონს ითხოვდნენ. ამ დათმობით ჰიონესმა კლინსმანსაც შეუსრულა თხოვნა, რომელსაც ძალიან უნდოდა, რომ პოდოლსკიზე მითქმამოთქმა იანვარშივე შეწყვეტილიყო. კლინსი: *„იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი თებერვალში აღარ იქნება დღის წესრიგში. პოდოლსკისგან კი მეორე წრეში იმას მოველი, რომ მან თავი არ დაზოგოს და ბოლო თვეებში გუნდისთვის ყველაფერი გააკეთოს."*

ტრავმის შემდეგ პოდოლსკიმ კიდევ უფრო დაკარგა ფორმა, რის გამოც იერარქიაშიც უკან დაიხია. *„დღესდღეობით, კლოზესა და ტონის შემდეგ, მესამე თავდამსხმელი ლენდონ დონოვანია. ლუკასმა კი მესამე ფორვარდის წოდების დასაბრუნებლად უნდა იბრძოლოს,"* - აცხადებს კლინსმანი. ასე რომ, ტონის ან კლოზეს რამე რომ მოუვიდეთ, ძირითად შემადგენლობაში პოდოლსკი კი არა, დონოვანი ითამაშებს. აი, ასეთია 2006 წლის მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარებული პოდოლსკის მდგომარეობა დღეს, მსოფლიოს ჩემპიონატიდან ორწლინახევრის შემდეგ...


ლუკას პოდოლსკის ბაიერნში მომავალი აღარ აქვს



გამოვიდა ახალი ნომერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XX ტური

**ოსერი-მარსელი 0:2**

**ოსერი:** რე. რიუ, ენგბარტი, ა. კულიბალი, მინო, გრიშტინგი, ბერტო (74. ლანგილი), შაფნი (82. ნარი), პედრეტი, კალენბერგი, კიტამბალა, ნიკულაე.

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, რ. ზუბარი, ჰილტონი, ტაივო, კაბორე, ბე. შეირუ, კ. ზიანი, ვალბუენა (85. ბენ არფა), ზენდენი, სამასა (87. გნაბუიუ).

**გოლები:** 0:1 სამასა (43), 0:2 ვალბუენა (77)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 19 269

**ჰავრი-ტულუზა 0:1**

**ჰავრი:** რევო, ბაკა, ფრანკარი, ბა, მარანჟი, დავიდა (81. ალა), დიოზი, ბენ იდირი, ანინი (87. ნორო), ლესაჟი, ალასანი.

**ტულუზა:** კარასო, კონგრე, სეტო, ფოფანა, მატიო, კაპუე, ბრაატენი, დიდო, მუ. სისოკო (68. პენტეკოტი), ბერგუნუ (71. ბონე), გინიაკი.

**გოლი:** 0:1 დიდო (80)

**გაძევება:** ბენ იდირი (21. ჰავრი), მარანჟი (60)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 10 000

**ლიონი-ლორიანი 1:1**

**ლიონი:** ლორისი, მენსა, კრისი, ბუმსონგი, გროსო, ტულალანი, მაკუნი, ედერსონი (65. პიანიჩი), ა. კეიტა (46. დელგადო), ბენზემა, ფრედი (73. პიკიონი).

**ლორიანი:** ოდარი, ლე ლანი, მარშალი, სიანი, მორელი, აბრიელი, ამალფიტანო, ნამუში (69. ჟუფრე), ობერტანი (84. ბ. რობერი), ვაირუა (78. აიევი), გამეირო.

**გოლები:** 1:0 ედერსონი (9), 1:1 აბრიელი (42)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 34 809

**მონაკო-ნანტი 1:2**

**მონაკო:** რუფიე, ადრიანო, მონგონგუ (80. საგბო), ნკულუ, მურატორი, პოკრივაცი (46. მოლო), ლიკატა, ალონსო, გოსო, მერიემი, გაკპე (69. ბაკარი).

**ნანტი:** ალონსო, მარევალი, ტალი, ნ'დავი, პულარი, პივრი, აბდუნი, კაპუე, დე ფრეიტასი, და როშა, მ. ბაგაიოკო.

**გოლები:** 0:1 მ. ბაგაიოკო (5), 0:2 კაპუე (40), 1:2 ლიკატა (85)

**გაფრთხილება:** 1-2

**გაძევება:** მ. ბაგაიოკო (76. ნანტი)

**მაყურებელი:** 10 000

**რენი-გრენობლი 1:0**

**რენი:** დუშე, ფანი, მანგანი, ჰანსონი, ბოკანეგრა, ჟ. ლერუა, ლემუანი, ბრ. შეირუ, სოვი, პაჟისი (67. დანზე), ბრიანი (76. გიანი).

**გრენობლი:** ვიმბე, რეგრაგი (51. ფლაშე), ჟემალი, პეიო, რობენი, ბატლი, რომაო, ბანინგი, კურტუა (58. ფეგული), მორეირა, აკრური (76. რავე).

**გოლი:** 1:0 სოვი (46)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 19 506

**სოშო-სტ. ეტიენი 1:0**

**სოშო:** ჟ. გავანონი, აფოლაბი, კარლაო, იოკიჩი, პერკისი, ჟ. ფატი, პიტო, ისაბეი (82. ბუდებუ), სვერკოსი (74. ფ. სანტოსი), ერდინგი, მორისბელეი (76. მარ. მარტენი).

**სტ. ეტიენი:** ჟანო, ვარო, ბენალუანი, ანდრეუ (87. გრაქსი), მატუიდი, ლანდრენი (66. გილიოტი), მაშადო, ბეიალი, ილანი, გომისი, მაცუი (46. მირალა).

**გოლი:** 1:0 პერკისი (65)

**გაძევება:** ბეიალი (90+3. სტ. ეტიენი)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 12 136

**ბორდო-პსჟ 4:0**

**ბორდო:** რამე, ს. დიავარა, შალმე, ენრიკე, ტრამულინასი, ა. დიარა, გურკუფი (85. ბელიონი), ვენდელი, შამახი, იუსი (79. გუფრანი), კავენაგი (67. ფერნანდო).

**პსჟ:** ლანდრო, ზ. კამარა, ტრაორე, არმანი, სეარა, ჟიული, როტენი (73. ლუინდულა), მაკელელე, კლემანი, სესენონი, ოარო (73. სახო).

**გოლები:** 1:0 ს. დიავარა (10), 2:0 კავენაგი (35), 3:0 გურკუფი (71), 4:0 ფერნანდო (87)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 35 000

| | |
|---|---|
| ვალანსი-კაენი | გადაიდო |
| ლე მანი-ლილი | გადაიდო |
| ნანსი-ნიცა | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 20 | 11 | 6 | 3 | 24-13 | 39 |
| 2. ბორდო | 20 | 11 | 5 | 4 | 35-19 | 38 |
| 3. რენი | 20 | 9 | 10 | 1 | 25-13 | 37 |
| 4. მარსელი | 20 | 9 | 8 | 3 | 35-24 | 35 |
| 5. ტულუზა | 20 | 9 | 7 | 4 | 20-15 | 34 |
| 6. პსჟ | 20 | 10 | 3 | 7 | 24-21 | 33 |
| 7. ლილი | 19 | 8 | 8 | 3 | 28-19 | 32 |
| 8. ნიცა | 19 | 8 | 6 | 5 | 23-19 | 30 |
| 9. ლორიანი | 20 | 7 | 6 | 7 | 26-24 | 27 |
| 10. ნანსი | 19 | 6 | 7 | 6 | 18-17 | 25 |
| 11. გრენობლი | 20 | 6 | 7 | 7 | 13-18 | 25 |
| 12. ლე მანი | 19 | 7 | 3 | 9 | 25-28 | 24 |
| 13. კაენი | 19 | 5 | 8 | 6 | 23-21 | 23 |
| 14. მონაკო | 20 | 6 | 5 | 9 | 23-25 | 23 |
| 15. ნანტი | 20 | 6 | 5 | 9 | 17-26 | 23 |
| 16. ოსერი | 20 | 5 | 5 | 10 | 14-21 | 20 |
| 17. სტ.ეტიენი | 20 | 6 | 1 | 13 | 15-29 | 19 |
| 18. სოშო | 20 | 2 | 11 | 7 | 19-25 | 17 |
| 19. ვალანსი | 19 | 3 | 6 | 10 | 16-25 | 15 |
| 20. ჰავრი | 20 | 3 | 3 | 14 | 14-35 | 12 |

**ბომბარდირები:** 12 - გინიაკი (ტულუზა); 11 - კავენაგი (ბორდო), ოარო (პსჟ); 10 - ბენზემა (ლიონი); 9 - ბასტოსი (ლილი); 7 - ობრანიაკი (ლილი), სავიდანი (კაენი).

### II დივიზიონი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ბულონი-ლანსი | 3:1 |
| ბასტია-კლერმონი | 2:1 |
| ბრესტი-გინგამი | 1:1 |
| ვანი-ნიმი | 1:0 |
| მონპელიე-ტური | 1:1 |
| მეცი-აიაჩო | გადაიდო |
| რეიმსი-სტრასბური | გადაიდო |
| შატორუ-ანჟერსი | გადაიდო |
| დიჟონი-ამიენი | გადაიდო |
| სედანი-ტრუა | გადაიდო |

## უელსი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ჰავერფორდვესტი-ბანგორი | 0:2 |

*დანარჩენი მატჩები გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რილი | 18 | 14 | 2 | 2 | 53-16 | 44 |
| 2. ლანელი | 17 | 13 | 2 | 2 | 56-30 | 41 |
| 3. ტნს | 19 | 12 | 5 | 2 | 44-18 | 41 |
| 4. ეგერსვითი | 18 | 9 | 6 | 3 | 37-25 | 33 |
| 5. კარმარტენი | 18 | 10 | 3 | 5 | 30-25 | 33 |
| 6. ბანგორი | 18 | 10 | 3 | 5 | 35-22 | 33 |
| 7. ჰევერფორდვ | 19 | 9 | 5 | 5 | 35-24 | 32 |
| 8. ქონეისი | 18 | 7 | 3 | 8 | 30-28 | 24 |
| 9. ნიუთაუნი | 16 | 6 | 4 | 6 | 27-29 | 22 |
| 10. ეირბასი | 18 | 6 | 3 | 9 | 24-30 | 21 |
| 11. პ. ტელბოტი | 18 | 5 | 5 | 8 | 28-36 | 20 |
| 12. პორტმედოგი | 18 | 6 | 1 | 11 | 34-54 | 19 |
| 13. პრესტატინი | 17 | 4 | 6 | 7 | 29-37 | 18 |
| 14. უელშპული | 17 | 5 | 3 | 9 | 26-38 | 18 |
| 15. ნიუი | 19 | 4 | 3 | 12 | 34-51 | 15 |
| 16. ქერსოუსი | 17 | 3 | 5 | 9 | 18-32 | 14 |
| 17. ნითი | 18 | 3 | 3 | 12 | 21-43 | 12 |
| 18. ქერნარფონი | 17 | 2 | 2 | 13 | 17-40 | 5 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ალ-ჯაზირა-ბაიერნი | 2:3 |
| გენჩლერი-გრააფსჰაპი | 2:0 |
| ნეფთჩი-ჰეერენფორდი | 1:5 |
| ოსნაბრიუკი-ჰანოვერი | 0:3 |
| ალემანია-კოტბუსი | 2:2 |
| დორტმუნდი-ფრაიბურგი | 1:2 |
| შტუტგარტი-აიაქსი | 3:2 |
| ვენლო-გენკი | 3:0 |
| ბურსა-ვერდერი | 1:0 |
| რაპიდი-კაიზერი | 0:2 |
| სლავია-ალზენი | 1:2 |
| ფრანკფურტი-დუისბურგი | 1:1 |
| ბრონდბიუ-გრასჰოპერსი | 4:2 |
| ჰოფენჰაიმი-ბოხუმი | 0:2 |
| მაინცი-ვოლფსბურგი | 3:2 |
| აინტრახტი-ობერჰაუზენი | 4:1 |
| გალათასარაი-ლევერკუზენი | 1:3 |

## შოტლანდიის თასი

### 1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ეიდრი-სპარტანსი | 2:1 |
| ალოა-აბერდინი | 1:2 |
| ეირი-კილმარნოკი | 2:2 |
| სელტიკი-დანდი | 2:1 |
| დანფერმლაინი-კლაიდი | 2:0 |
| ფალკირკი-ქუინი | 4:2 |
| ინვერნესი-პარტიკი | 3:0 |
| პიტერჰედი-ქუინზ პარკი | 2:2 |
| როსი-ჰემილტონი | 0:1 |
| სტენჰაუზმური-ისტ ფაიფი | 0:1 |
| ჰიბერნიანი-ჰართსი | 0:2 |
| ისტ სტირლინგი-დანდი იუნ | 0:4 |

## შოტლანდია

### II დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| სტირლინგი-რეითი | 2:1 |

### III დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ქოუდენბითი-დამბარტონი | 2:0 |
| მონროუზი-ელჯინი | 3:1 |

## თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| გაზიანთეფი ბბ-ანთალია | 0:3 |
| გაზიანთეფი-ბეშიქთაში | 0:1 |
| ანკარა-კაისერი | 1:2 |
| მალათია-ალთაი | 0:3 |
| ალანია-მანისა | 2:2 |
| ერსჯიესპორი-ანკარაგიუჯუ | 2:1 |
| ტოკათი-ფენერბახჩე | 0:1 |
| შივასი-დენიზლი | დღეს |

## ბელგიის თასი

| | |
|---|---|
| ბრიუგე-რუზელარე | 0:1 |

## საბერძნეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-პანსერაიკოსი | 2:0 |
| პანთრაკიკოსი-პანათინაიკოსი | 1:3 |
| ოლიმპიაკოსი-ქსანთი | 2:1 |
| ტრასიბულოსი-ლევადია | 2:1 |
| ლარისა-ასტერასი | 2:1 |
| ოფი-ირაკლისი | 2:3 |
| არისი-ერგოტელისი | 0:0 |
| აეკ-პაოკ | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 17 | 13 | 3 | 1 | 30-7 | 42 |
| 2. პანათინაიკოს | 17 | 9 | 6 | 2 | 30-13 | 33 |
| 3. პაოკ | 17 | 9 | 6 | 2 | 19-9 | 33 |
| 4. აეკ | 17 | 6 | 10 | 1 | 20-16 | 28 |
| 5. პანიონიოსი | 17 | 7 | 4 | 6 | 23-20 | 25 |
| 6. ლარისა | 17 | 6 | 7 | 4 | 22-16 | 25 |
| 7. არისი | 17 | 6 | 6 | 5 | 14-14 | 24 |
| 8. პანთრაკიკოსი | 17 | 6 | 4 | 7 | 11-16 | 22 |
| 9. ქსანთი | 17 | 5 | 7 | 5 | 11-10 | 22 |
| 10. ირაკლისი | 17 | 5 | 7 | 5 | 15-17 | 22 |
| 11. ერგოტელისი | 17 | 5 | 5 | 7 | 20-24 | 20 |
| 12. ლევადია | 17 | 5 | 4 | 8 | 12-16 | 19 |
| 13. ასტერასი | 17 | 2 | 8 | 7 | 14-20 | 14 |
| 14. ტრასიბულოსი | 17 | 3 | 3 | 11 | 15-28 | 12 |
| 15. ოფი | 17 | 2 | 5 | 10 | 17-31 | 11 |
| 16. პანსერაიკოსი | 17 | 2 | 5 | 10 | 9-25 | 11 |

### II დივიზიონი

XVII ტური

ანაგენისი-ვერია 2:1; ეთნიკოსი (ა)-დიაგორასი 2:1; ეთნიკოსი-ატრომიტოსი 0:0; კალამატა-კერკირა 0:0; კალითეა-ილისიაკოსი 1:0; კასტორია-აპოლონი 2:3; კავალა-იონიკოსი 0:1; იანინა-ოლიმპიაკოსი (ვ) 5:2; პიერიკოსი-აგროტიკოსი დღეს

## პორტუგალია

XIV ტური

| | |
|---|---|
| გიმარაეში-ამადორა | 0:0 |
| სპორტინგი-მარიტიმუ | 2:0 |
| ნავალი-აკადემიკა | 2:1 |
| ლეიქსოეში-სეტუბალი | 0:0 |
| ფერეირა-ნასიონალი | 2:3 |
| რიუ ავე-ბელენენსეში | 0:1 |
| ბენფიკა-ბრაგა | 1:0 |
| პორტუ-ტროფენსე | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 14 | 8 | 5 | 1 | 25-12 | 29 |
| 2. სპორტინგი | 14 | 9 | 2 | 3 | 18-7 | 29 |
| 3. პორტუ | 14 | 8 | 4 | 2 | 24-11 | 28 |
| 4. ლეიქსოეში | 14 | 7 | 5 | 2 | 17-12 | 26 |
| 5. ნასიონალი | 14 | 7 | 3 | 4 | 22-18 | 24 |
| 6. ბრაგა | 14 | 6 | 5 | 3 | 14-6 | 23 |
| 7. მარიტიმუ | 14 | 6 | 4 | 4 | 17-14 | 22 |
| 8. გიმარაეში | 14 | 4 | 6 | 4 | 12-13 | 18 |
| 9. ნავალი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-15 | 16 |
| 10. ამადორა | 14 | 4 | 4 | 6 | 10-18 | 16 |
| 11. აკადემიკა | 14 | 3 | 5 | 6 | 8-13 | 14 |
| 12. ბელენენსეში | 14 | 3 | 4 | 7 | 12-22 | 13 |
| 13. ტროფენსე | 14 | 3 | 3 | 8 | 12-18 | 12 |
| 14. ფერეირა | 14 | 3 | 3 | 8 | 17-25 | 12 |
| 15. სეტუბალი | 14 | 3 | 3 | 8 | 7-17 | 12 |
| 16. რიუ ავე | 14 | 2 | 4 | 8 | 10-17 | 10 |

### II დივიზიონი

XIV ტური

ოლივეირენსე-სანტა კლარა 1:2; ავეში-ჟილ ვისენტე 2:0; ბეირა მარი-ფრეამუნდე 1:0; ფეირენსე-ლეირია 0:0; ბოავიშტა-ეშტორილი 2:0; ოლანენსე-გონდომარი 2:0; პორტიმონენსე-ვიზელა 2:2; ვარზიმი-კოვილია 1:1.

## კვიპროსი

XVII ტური

| | |
|---|---|
| დოხა-აეკ | 2:2 |
| აპოლონი-აპოპ | 3:1 |
| ატრომიტოსი-ომონია | 0:5 |
| ანორთოსისი-აელ | 2:1 |
| ალკი-ენოსისი | 2:1 |
| აპოელ-აეპ | 4:1 |
| აპეპ-ეთნიკოსი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ომონია | 17 | 15 | 0 | 2 | 47-12 | 45 |
| 2. ანორთოსისი | 17 | 14 | 1 | 2 | 28-10 | 43 |
| 3. აპოელ | 17 | 13 | 3 | 1 | 35-12 | 42 |
| 4. ეთნიკოსი | 16 | 7 | 6 | 3 | 19-16 | 27 |
| 5. აპოლონი | 16 | 8 | 2 | 6 | 26-20 | 26 |
| 6. აელ | 17 | 8 | 2 | 7 | 22-22 | 26 |
| 7. აპოპ | 17 | 7 | 3 | 7 | 20-23 | 24 |
| 8. დოხა | 16 | 4 | 6 | 6 | 20-24 | 18 |
| 9. ალკი | 17 | 4 | 5 | 8 | 18-27 | 17 |
| 10. ენოსისი | 17 | 4 | 4 | 9 | 16-32 | 16 |
| 11. აპეპ | 16 | 3 | 5 | 8 | 21-26 | 14 |
| 12. აეპ | 17 | 2 | 8 | 7 | 20-28 | 14 |
| 13. აეკ | 17 | 1 | 5 | 11 | 14-28 | 8 |
| 14. ატრომიტოსი | 17 | 1 | 2 | 14 | 9-35 | 5 |

## ჩრ. ირლანდია

XXV ტური

| | |
|---|---|
| ლინფილდი-ნიური | 1:1 |
| კრუზეიდერსი-გლენავონი | 2:2 |
| კოლრეინი-დუნგანონი | 2:1 |
| ბანგორი-ინსტიტუტი | 2:2 |
| ბალიმენა-კლიფტონვილი | 1:3 |
| ლისბურნი-გლენტორანი | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გლენტორანი | 23 | 14 | 6 | 3 | 34-21 | 48 |
| 2. ლინფილდი | 23 | 14 | 5 | 4 | 44-19 | 47 |
| 3. კრუზეიდერსი | 23 | 11 | 7 | 5 | 44-26 | 40 |
| 4. ლისბურნი | 24 | 11 | 6 | 7 | 34-24 | 39 |
| 5. კოლრეინი | 24 | 10 | 4 | 10 | 32-36 | 34 |
| 6. კლიფტონვილი | 24 | 7 | 9 | 8 | 33-29 | 30 |
| 7. ინსტიტუტი | 23 | 8 | 6 | 9 | 29-36 | 30 |
| 8. ბანგორი | 25 | 8 | 6 | 11 | 31-39 | 30 |
| 9. ბალიმენა | 25 | 7 | 5 | 13 | 27-39 | 26 |
| 10. ნიური | 25 | 5 | 10 | 10 | 29-41 | 25 |
| 11. გლენავონი | 25 | 6 | 5 | 14 | 30-44 | 23 |
| 12. დუნგანონი | 24 | 5 | 7 | 12 | 30-43 | 22 |

დაპირისპირება



რაფა ბენიტესმა სერ ალექს ფერგიუსონის წინააღმდეგ გაილაშქრა და თავისი ტონით ყველა გაოცებული დატოვა

# ბენიტესი: მისტერ ფერგიუსონს ყველაფერი ეპატიება

## გრემ პოლი ლივერპულის თავკაცს დაეთანხმა: იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ასოციაციისაგან განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობსო...

**რაფა ბენიტესი** სერ ალექს ფერგიუსონს ბრალს სდებს. მისი აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ზეგავლენას ახდენს მსაჯებსა და ასე განსაჯეთ, საფეხბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომისიაზეც. ბენიტესს ადრეც არაერთხელ გამოუთქვამს უკმაყოფილება სერ ალექსის უცერემონიო ქმედებების გამო, მაგრამ „სტოკ სიტისთან" მატჩამდე გაკეთებულმა მისმა განცხადებამ მრავლის მნახველი ინგლისელი მიმომხილველებიც კი გააოცა.

სენიორ რაფა ფერგის ერთმა ჩვეულებრივმა კომენტარმა ალაშფოთა. „იუნაიტედის" თავკაცმა ივარაუდა, რომ მერსისაიდელებს ფსიქოლოგიური წნეხის გაძლება გაუჭირდებათ და ჩემპიონობა ხელიდან გაუსხლტებათ. პასუხად ბენიტესმა **ლუიშ ფელიპე სკოლარის** ურჩია, ფრთხილად ყოფილიყო, როდესაც კვირას (გუშინ) გუნდს „ოლდ ტრეფორდზე" გაიყვანდა.

*„მე ვიცი, რა ხდება ყოველთვის, როდესაც „ოლდ ტრეფორდზე" თამაშობ. პრემიერლიგაში ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა კი, შეიძლება, არ იცოდეს. მისტერ სკოლარის ვურჩევ: პირველი ნახევრის დასრულებისას, „იუნაიტედის" მწვრთნელებს დააკვირდეს. როდესაც მსაჯები მინდვრიდან გადიან, მათ აჩრდილივით მიჰყვებიან „მანჩეტერის" ოფიციალური პირები. სკოლარიმ ამ ხალხსა და მსაჯებს შორის თავის ხალხი უნდა ჩააყენოს - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „იუნაიტედის" მწვრთნელების წინააღმდეგ ზონურ დაცვას მიმართოს. ჩვენ ყოველთვის ასე ვიქცევით. ვცდილობთ, რომ მსაჯები „მანჩესტერის" მწვრთნელებს მარტო არ შევატოვოთ. კარგი იქნება, თუ სხვებიც მოგვბაძავენ...*

*დააკვირდით, ისინი გამუდმებით ეკამათებიან არბიტრებს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ მისტერ ფერგიუსონს აქვს მსაჯების, ან კალენდრის გამო პრეტენზიების გამოთქმის უფლება. ხუთი წელია, ერთსა და იმავეს ვუყურებ. ამიტომ მეც ბევრი პრეტენზია დამიგროვდა...*

*1 ნოემბერს „იუნაიტედი" „ჰალ სიტის" შეხვდა. მისტერ ფერგიუსონი მაიკ დინის უდიერად მოიხსენია. მას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და 10 ათასი გირვანქით დააჯარიმეს. ცოტა ხანში მისტერ ფერგიუსონმა ანალოგიური კომენტარი გააკეთა მარტინ ატკინსონსა და სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე კიტ ჰეკეტზე, მაგრამ ალარ დაუსჯიათ. ის ერთადერთი მწვრთნელია, რომელსაც ასეთი გამოხდომები შეიძლება შერჩეს.*

*ახლა კალენდარს შევავლოთ თვალი. მეორე წრეში „მანჩესტერ იუნაიტედი" ყველა უშუალო კონკურენტს შინ ეთამაშება. მისტერ ფერგიუსონი მაინც უკმაყოფილოა. მას რომ უსმინოთ, იფიქრებთ, რომ ყველა „იუნაიტედის" წინააღმდეგაა მომართული.*

*შობის დღეებში ტურის ძირითადი მატჩები 28 დეკემბერს გაიმართა. „ნიუკასლთან" შეხვედრამდე დასასვენებლად სულ რალაც 40 საათი გვქონდა. „მანჩესტერმა" თავისი მატჩი 29 რიცხვში ჩაატარა, თანაც შინ. ხომ არ ჯობია, მისტერ ფერგიუსონს ოფისი გამოვუყოთ, რათა მან ჩემპიონატის კალენდარი საკუთარი შეხედულებისამებრ შეადგინოს."*

ბენიტესის კომენტარს პრემიერლიგის ყოფილი არბიტრი **გრემ პოლი** გამოეხმაურა. ის „ლივერპულის" თავკაცის მოსაზრებებს დაეთანხმა. მისტერ პოლსაც მიაჩნია, რომ სერ ალექს ფერგიუსონი საფეხბურთო ასოციაციისაგან განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობს.

მიმომხილველებისათვის ყოფილი მსაჯის კომენტარიც მოულოდნელი აღმოჩნდა. გრემ პოლი პრემიერლიგის ბოლო ათწლეულის საუკეთესო არბიტრადაა მიჩნეული. ის ფეხბურთს 2007 წლის ზაფხულში გამოეთხოვა. მისტერ პოლსა და სერ ალექსს ყოველთვის გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდათ. 2006 წლის ზაფხულში, როდესაც გერმანიის მუნდიალისას გრემ პოლს ის ცნობილი შეცდომა მოუვიდა (ხორვატ **იოსიპ სიმუნიჩს** სამი ყვითელი ბარათი უჩვენა), სერ ალექსი ტელეფონითაც კი დაუკავშირდა და მორალური თანადგომა გამოუცხადა.

პოლი: *„რაფა ბენიტესმა თქვა ის, რასაც მსაჯები მრავალი წელია ხედავენ, მაგრამ ამ თემაზე საჯარო საუბარს ერიდებიან. სერ ალექს ფერგიუსონს შეუძლია მსაჯებზე თქვას ის, რაც სურს. საფეხბურთო ასოციაცია კი მას ხმასაც არ გასცემს. ასოციაციის მაღალჩინოსნებმა შესაძლოა ფერგიუსონისათვის მისჯილი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია შეგვახსენონ. ისინი უთუოდ იტყვიან, რომ სერ ალექსსაც სხვა მწვრთნელებივით მკაცრად ექცევიან, მაგრამ ფერგი „ჰალ სიტისთან" მატჩისას (4:3) მინდორზე შეიჭრა და მაიკ დინს (მატჩის მთავარი მსაჯი) მივარდა. ამ უკანასკნელმა მწვრთნელის საქციელი მოხსენებით ბარათში ალწერა. ამიტომ საფეხბურთო ასოციაციას სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ფერგიუსონი დაესაჯა."*

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაფა ბენიტესის კომენტარს დეტალურად შეისწავლიან და რეაგირებას მხოლოდ ამის შემდეგ მოახდენენ. სავსებით რეალურია ის, რომ „ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის წინააღმდეგ საქმე აღძრან. მის განცხადებაში არბიტრები საკმაოდ უკმეხად იყვნენ მოხსენიებულნი, საფეხბურთო ასოციაციის კანონმდებლობით კი ასეთი კომენტარები არც ერთ მწვრთნელს არ ეპატიება.

**შალვა ბიბილაშვილი**

2010 წლის ზამთრის ოლიმპიადა ვანკუვერი 2010



ცათამბჯენების ქალაქის ულამაზესი ხედი

# ვანკუვერი: უკეთ, ვიდრე ტურინში




ოლიმპიადის ლოგო და თილისმა

2010 წლის 12 თებერვალს ჩვენგან ძალიან შორს, კანადის ქალაქ ვანკუვერში ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდება. თითქმის ალარაფერია დარჩენილი რიგით 21-ე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე – 13 თვე, სპორტული თვალსაზრისით არცთუ დიდი დრო. 2006 წელს ოლიმპიადას იტალიურმა ტურინმა უმასპინძლა, სადაც საქართველო სამი სპორტსმენით წარდგა. დელეგაცია დიდი არ იყო, არც ჩვენ ვწყვეტთ ვარსკვლავებს სპორტის ზამთრის სახეობებში, თუმცა ტურინში ჩვენთვის მნიშვნელოვან ალიარებას მივაღწიეთ – მაშინ ჯერ კიდევ 16 წლის **ელენე გედევანიშვილმა** ფიგურულ ციგურაობაში ერთეულთა თანრიგში მე-10 ადგილი დაიკავა. ელენეს მიღწევა ჯერჯერობით საუკეთესოა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენისთვის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ელენეს ვანკუვერშიც ვიხილავთ. იმედია, იგი თავისივე მიღწევას გააუმჯობესებს.

სანამ ქართველ სპორტსმენებს და მათ ოლიმპიურ პერსპექტივებს დავუბრუნდებით, მანამდე რამდენიმე სიტყვით ვანკუვერის შესახებ მოგითხრობთ: კანადურმა ქალაქმა 2003 წელს გაიმარჯვა კონკურსში და ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიპოვა. ვანკუვერმა მრავალ კონკურენტს აჯობა, ფინალურ ეტაპზე კი მომქანცველ მარათონში სამი ქალაქი რჩებოდა, პიონჩანი (კორეა), ზალცბურგი (ავსტრია) და ვანკუვერი. ალბათ, გეცნოთ – წლების შემდეგ პიონჩანმა და ზალცბურგმა კვლავ წააგეს მარათონი, ამჯერად სოჭთან ბრძოლაში. პირველი რაუნდის მერე ზალცბურგი გავარდა, მეორეში კი ვანკუვერმა პიონჩანს ხმებში 56:53 მოუგო.

ოლიმპიადა კანადის ბრიტანული კოლუმბიის პროვინციის ქალაქებში, ვანკუვერსა და ვისტლერში გაიმართება. ვანკუვერში, ცათამბჯენებით განყობილ ულამაზეს ქალაქში 578 ათასი ადამიანი ცხოვრობს, მის აგლომერაციაში კი 2,5 მილიონი. 2007 წლის ბოლოს ოლიმპიადის ოთხი თილისმა შეარჩიეს: მიგა (მითიური ზღვის დათვი), კუაჩი (მითიური არსება, თოვლის კაცის მსგავსი), სუმი და მუკმუკი. შეჯიბრებები სპორტის 15 სახეობაში გაიმართება. საქართველოს აქედან,ალბათ, მხოლოდ ორ სახეობაში ეყოლება წარმომადგენელი – სამთო თხილამურებსა და ფიგურულ ციგურაობაში. სამწუხაროდ, სადღეისოდ სხვა სახეობები ან ცუდად, ან საერთოდ არ არის განვითარებული ჩვენ ქვეყანაში. ტრადიციები დავკარგეთ ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, ციგებში. ახლა ჰოკეის აღორძინებას ვიწყებთ. ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ჩვენს ჰოკეისტებს, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ნაკრები ოლიმპიადის საგზურს მოიპოვებს.

როგორც ვთქვით, ტურინის ოლიმპიადაზე სამმა ქართველმა იასპარეზა. სამწუხაროდ, კიდევ ერთ ლიცენზიანტს, იმ დროისთვის საუკეთესო ქართველ სამთო-მეთხილამურეს, **სოფო ახმეტელს** არ გაუმართლდა – მას ტრავმამ არ მისცა ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება, ახმეტელმა სპორტსმენის კარიერა ნაადრევად დაასრულა. ტურინში ელენე გედევანიშვილის გარდა **ვახტანგ მურვანიძემ** (ფიგურული ციგურაობა) და **იასონ აბრამაშვილმა** (სამთო თხილამურობა) იასპარეზეს. სხვათა შორის, კარგად გამოვიდა იმ დროისთვის 18 წლის იასონ აბრამაშვილი, რომელიც გიგანტ-სლალომში 29-ე ადგილზე გავიდა (სლალომში 32-ე იყო). ვანკუვერში, სულ მცირე, ამდენივე სპორტსმენით გამოვალთ ოლიმპიადაზე, რადგან სამთო-მეთხილამურეებს იასონ აბრამაშვილსა და **ნინო წიკლაურს** ოლიმპიური ლიცენზია უკვე აქვთ განაღდებული, ამას დავუმატოთ ელენე გედევანიშვილიც. თუმცა შეიძლება ჩვენებურთა რიცხვი კიდევ გაიზარდოს, სამთო-მეთხილამურეები კიდევ ორ ლიცენზიას უმიზნებენ, ოლიმპიადაზე მოხვედრის პერსპექტივა მოციგურავე **ბექა შანყულაშვილსაც** აქვს. შორეულ ვანკუვერში ოლიმპიური ცეცხლი 2010 წლის 28 თებერვალს ჩაქრება, იმედია, ქართული დელეგაცია იქ უკეთ გამოვა, ვიდრე ტურინში...




საათი სტელა ' ქუჩაზე, აჩვენებს, რა დრო რჩება ოლიმპიადის გახსნამდე

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდაობა ინტერვიუ ბეგი დარჩიასთან

# დავითი ცოლს ირთავს

## ანუ ევროპის ჩემპიონატზე ულიდერებოდ

თბილისში, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში, 5-6 თებერვალს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება. შეჯიბრებაში უმთავრესად ნაკრების მეორე-მესამე ნომრები და ახალგაზრდები იასპარეზებენ. ფავორიტთაგან უმეტესობას ხალიჩაზე ვერ ვიხილავთ. მიზეზი? გვესაუბრება ეროვნული გუნდის თავკაცი ბეგი დარჩია, რომელიც, როგორც იცით, შარშან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.



ბეგი დარჩია ავტორის ფოტო

- მას შემდეგ, რაც 1980 წელს მოსკოვის თამაშებზე **ვახტანგ ბლაგიძემ** ოქროს მედალი მოიპოვა, „კლასიკოსებს" 28 წლის განმავლობაში ოლიმპიური ჩემპიონი არ გვყოლია. პეკინში ნავსი **მანუჩარ კვირკველიამ** გატეხა. ოზურგეთელი ფალავანი მთელი თავით სჯობდა მეტოქეებს და ისეთი ლამაზი, ეფექტური ფანდებით მოიგო ორთაბრძოლები, რომ კულისებში ზეჩემპიონი შეარქვეს. ევროპის ჩემპიონატზე **ბადრი ხასაიამ** მეორე, **რამაზ ნოზაძემ** კი მესამე ადგილები დაიკავეს. ყოველივეს მიუხედავად, შარშანდელი შედეგებით კმაყოფილი არ ვარ, რადგან მეტის მიღწევა შეიძლებოდა, თუნდაც ჩინეთის დედაქალაქში, სადაც ტრავმამოუშუშებელი ხასაია, ნოზაძე და **დავით ბედინაძე** უმედლოდ არ უნდა დარჩენილიყვნენ.

**- წლევანდელი ევროპის ჩემპიონატისთვის, იმედია, უწინდელი ხარვეზები გაითვალისწინეთ და, ალბათ, უკეთესი მონაგრისთვის იბრძოლებთ?**

- ვერ გეტყვით, რომ ასე იქნება, რადგან მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში ვილნიუსს გადახალისებული შემადგენლობით ვესტუმრებით. ალბათ, იცით, რომ ოლიმპიური თამაშების შემდეგ ნოზაძემ მკერდზე ორი, ხასაიამ კი ერთი ოპერაცია გაიკეთეს კიევში. ახლა ისინი რეაბილიტაციის პროცესს გადიან და ხალიჩას მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაუბრუნდებიან. ეროვნულ ჩემპიონატზე ვერ ვიხილავთ ვერც მსოფლიოს ჩემპიონ დავით ბედინაძეს, რომელიც ცოლს ირთავს და ახლა ჭიდაობისთვის არ სცხელა - ნიშნობა უკვე ჰქონდა და, იმედია, მალე ქორწილში დაგვპატიჟებს. რაც შეეხება მანუჩარ კვირკველიას, დაძაბული ოლიმპიური სეზონის შემდეგ ცოტათი გავუხანგრძლივეთ შვებულება, თუმცა ზოგჯერ მეცადინეობებზეც გამოჩნდება, მაგრამ მთელი დატვირთვით ჯერ არ ვარჯიშობს.

ასე რომ, ბალტიისპირეთში ევროპის ჩემპიონატზე მთავარი დამრტყმელი ძალა არ გვეყოლება - უმთავრესად ახალგაზრდების იმედზე ვიქნებით.

**- ვინ შეავსებს ნაკრებს?**

- წინასწარ ვერაფერს გეტყვით. კანდიდატებს ეროვნულ ჩემპიონატზე შევარჩევთ. ზემოთ დასახელებული ფალავნების გარდა, შეჯიბრებაში ყველა უძლიერესი იჭიდავებს, მათ შორის პეკინის ოლიმპიადის მონაწილე ლაშა გოგიტაძე (55 კგ.), ათენის თამაშების მონაწილე ირაკლი ჭოჭუა, რომელმაც წონა შეიცვალა და 60 კილოში გამოვა. ნაკრებში მოსახვედრად სერიოზული განაცხადი ექნებათ ახალგაზრდებს. ბევრი მათგანი ხომ სხვადასხვა ასაკში მსოფლიოს და ევროპის პირველობების მედალოსანია.

**- საქართველოს ჩემპიონები გუნდში ადგილს დაიბევებენ?**

- ასე გადაჭრით თქმა გამიძნელდება. ცხადია, ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულებს პრიორიტეტი მიენიჭებათ, მაგრამ ნაკრებში მოსახვედრად ეს გარანტია ვერ იქნება. ფაქტობრივად, ახალწვეულები გვეყოლება და ვილნიუსში გამგზავრებამდე მათ სხვადასხვა შეჯიბრებაზე გამოვცდით. 9 თებერვლიდან ბაკურიანში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გავივლით საერთო ფიზიკურ მომზადებაში. თებერვლის მიწურულსა და მარტის დასაწყისში უნგრეთს ვეწვევით და ტრადიციულ ოქროს გრანპრიზე ვიასპარეზებთ. მერე მინსკში ბელარუსებთან ერთობლივი საწვრთნელი შეკრება გვექნება. მომზადების დასკვნითი ეტაპი ბათუმშია დაგეგმილი და საბოლოოდ შემდეგ დაკომპლექტდება ეროვნული ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს.

**- მთელი სეზონი ულიდერებოდ უნდა გალიოთ?**

- არა მგონია. აპრილიდან ინტენსიურ წვრთნას შეუდგებიან ნოზაძე და ხასაია. მანამდე კი კვირკველია და ბედინაძეც შემოგვიერთდებიან. გივი კარტოზიას ტურნირზე თბილისში, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ისინიც იასპარეზებენ, სათანადო სპორტულ ფორმაში ჩადგებიან და დანიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც უფრო ძლიერი გუნდით წარვდგებით.

**- ჭიდაობის ახალი წესების ათვისება ხომ არ შეგაფერხებთ?**

- შარშან ერთ-ერთ ინტერვიუში ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ მოსალოდნელ ცვლილებებზე, თუმცა საოცარი ის არის, რომ ფედერაციაში ამის შესახებ ჯერ არავითარი დოკუმენტი არ მოსულა, ამიტომ ძველი წესებით განვაგრძობთ მომზადებას. ერთს დავძენ მხოლოდ - ცვლილებებთან დაკავშირებით, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაშიც აზრთა სხვადასხვაობაა, ამიტომ არ ჩქარობენ ახალი წესების დანერგვას. ასეთი რამ თუ მოხდა, არ გვაღელვებს, რადგან მარტო ჩვენ ხომ არ შეგვეხება. მის ათვისებას სხვები თუ შეძლებენ, ჩვენც დროულად მოვასწრებთ და მეტოქეებს არ ჩამოვრჩებით.

ვაჟა დანელია

გამოიწერეთ
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ესტონეთის ჩემპიონატი

# 13-ის 13, როკის 103

## 13 იანვრის მოლოდინში




| კალევი-როკი | 80:103 |
|---|---|

გიორგი ცინცაძე: 26 წუთი, 5 ქულა, 2 მოხსნა, 9 პასი

ვიქტორ სანიკიძე: 18 წუთი, 14 ქულა, 6 მოხსნა

ორი ესტონური გრანდი, "ტარტუ როკი" და "კალევი" სეზონის განმავლობაში ერთმანეთს 7-8 ჯერ ხვდებიან: თასის ფინალში, ბალტიის თასზე, ესტონეთის რეგულარულ ჩემპიონატში და ბოლოს ფინალურ სერიაში...

განვლილი 7 დღის განმავლობაში "როკი" "კალევს" ორჯერ დაუპირისპირდა, ჯერ ბალტიის ლიგაზე, შემდეგ – ესტონეთის პირველობაზე. ორივე შეხვედრა ტალინში, "კალევის" მოედანზე გაიმართა და თუ პირველში (ბალტიის თასზე) ტალინელებმა 73:63 იმარჯვეს, მეორე შემთხვევაში **გიორგი ცინცაძემ** და **ვიქტორ სანიკიძემ** ღირსეული რევანში აიღეს – 103:80.

მატჩის პირველ მეოთხედში ესტონეთის დედაქალაქში შეკრებილმა ქომაგმა ლალი თამაში იხილა – "კალევმა" 32:25 გაიმარჯვა. ასეთი სტარტის შემდეგ მასპინძლები აუცილებლად გათამამდებოდნენ, რადგან საშინაო კედლებში დიდი ხანია, ნაგება არ ჰქონდათ. საპირისპიროდ, მეტად მობილიზებულნი გამოვიდნენ მოედანზე "როკერები", რომლებმაც დაცვაში დამაჯერებელი თამაშით მომდევნო ათწუთეულში მეტოქე ნელში გატეხეს – "კალევმა" მეორე-მესამე პერიოდებში იმაზე ნაკლები ჩააგდო, რაც პირველ 10 წუთში – 30 ქულა (16 მეორე მეოთხედში, 14 – მესამეში).

ცინცაძე-სანიკიძის თანაგუნდელებმა ეს არ იკმარეს, მეოთხე ათწუთეული სულაც 30:18 მოიგეს და საფინალო სირენამ 23-ქულიანი სხვაობა დააფიქსირა – 103:80.

გიორგი ცინცაძესა და ვიქტორ სანიკიძეს ტარტუელთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით. თავად განსაჯეთ: კალეველებმა 40 წუთში იმდენი პასი გააკეთეს, რამდენიც ცინცაძემ 26 წუთში – 9. ზუმ (გიორგის მეტსახელი) 2-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი ჩააგდო და 5 ქულა მიითვალა. 5 ქულისა და 9 შედეგიანი გადაცემის კვალად ცინცაძეს 2 მოხსნა ჰქონდა.

მე-13 ნომერი ვიქტორ სანიკიძე "როკის" ვიცე-სნაიპერი გახდა – 13 ქულა ჩააგდო (5-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 7-დან 4 საჯარიმო). 18 წუთში ვიქტორმა კიდევ 6 მოხსნა მიითვალა.

"ტარტუ როკის" ბომბარდირი ფორვარდი **ასკო პაადე** გახდა, რომლის ანგარიშზე 16 ქულაა.

"კალევთან" დაპირისპირება "ტარტუსთვის" ესტონეთის ჩემპიონატში გამართული მე-6 მატჩი გახლდათ. "როკერებს" ექვსივე მოგებული აქვთ. მეორე ადგილზე ტალინური "კალევია", რომელსაც 10 შეხვედრაში 8 გამარჯვება უწერია.

მორიგ მატჩს "როკი" სამშაბათს, 13 იანვარს გამართავს - ევროჩელენჯზე ესტონელთა მეტოქე ბელგიური "ოოსტენდე" იქნება. სწორედ ამ მატჩის შედეგზე იქნება დამოკიდებული "ტარტუს" მომდევნო ეტაპზე გასვლის საკითხი. 16 იანვარს კი ცინცაძე-სანიკიძე ესტონეთის ჩემპიონატზე "პარნუს" უმასპინძლებენ.

ვაჟა სიმონიშვილი



ქართველი NBA-ში

# ზაზა ფაჩულიას ფილადელფიასთან ელიან

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსი" სამ დღეში მეორედ დაუპირისპირდა დივიზიონის ლიდერ "ორლანდო მეჯიქს". ამჯერად შეხვედრა ფლორიდაზე გაიმართა და მასპინძელმა ორლანდოელებმა დამაჯერებლად იმარჯვეს – 121:87.

ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, ზაზა ფაჩულია მოედანზე არც ამჯერად გასულა. იგი გაციებულია და ჯერაც მკურნალობს. ზაზას არყოფნას სასტარტო მეფარის, **ელ ჰორფორდის** ტრავმა დაემატა და ჯორჯიელებმა ფლორიდელებთან ფარქვეშ თამაში პირწმინდად დათმეს. "ატლანტამ" ბურთი 38-ჯერ მოხსნა, "ორლანდომ" – 55-ჯერ.

მატჩის შემდეგ "ჰოქსის" მთავარ მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს** ზაზას ჯანმრთელობის ამბავი "ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტმა ჰკითხა. მწვრთნელის თქმით, ქართველი ფორვარდი კვირის (გუშინდელი) ვარჯიშისთვის მზად უნდა ყოფილიყო. *"ზაზას მომდევნო მატჩში გამოვიყენებთ"*, - თქვა ვუდსონმა.

"ატლანტას" მომდევნო თამაში დღეს, გამთენიისას უნდა გაემართა შინ "ფილადელფიასთან". ამ შეხვედრის შესახებ ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ, აქ კი დავძენთ, რომ "ორლანდოსთან" ზედიზედ ორი წაგების შემდეგ აღმოსავლეთის კონფერენციაში "ატლანტას" "დეტროიტ პისტონსი" წამოეწია. ორივე გუნდს 22-22 მოგება და 13-13 წაგება აქვთ. კონფერენციის მესამეადგილოსან "ბოსტონ სელტიქსს" 29 მოგების წილ 9 წაგება უწერია.

ვაჟა სიმონიშვილი

უკრაინის ჩემპიონატი

# მარცხი უკრაინულ კლასიკოში



| აზოვმაში-კიევი | 77:75 |
|---|---|

მანუჩარ მარკოიშვილი: 18 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა, 4 ფოლი

თუკი ესპანეთში კლასიკოდ "რეალისა" და "ბარსელონას" დაპირისპირება ითვლება, ესტონეთში – "კალევი"-"როკის" მატჩები, ხოლო საქართველოში "ენერჯი"-"ავიამშენისა", უკრაინაში კლასიკოდ შეიძლება "კიევი"-"აზოვმაშის" თამაშები მოვნათლოთ.

უკრაინის პირველობის მე-14 ტურში სწორედ "აზოვმაში" და დედაქალაქური "კიევი" დაუპირისპირდნენ. შეხვედრა მარიუპოლში გაიმართა და მეტისმეტად დაძაბული გამოდგა. მის მსვლელობაზე ნათელ წარმოდგენას მოკლე მიმოხილვა შეგვიქმნის, რომელიც "კიევის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა: *"საწყის მეოთხედში კიეველები პერიმეტრიდან ტყორცნებისას აშკარად ჩქარობდნენ. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში არაზუსტადაც ისროდნენ. საპირისპიროდ, "აზოვმაში" დალაგებულად და დინჯად თამაშობდა და პირველი მეოთხედი 22:16 მოიგო.*

*მართალია, მეორე ათწუთეულში "კიევის" მხრიდან არტურ დროზდოვმა ერთმანეთს 8 ქულა მიაყოლა, მაგრამ დედაქალაქელები დაცვაში ვერ ყოჩაღობდნენ და "აზოვმაშის" უპირატესობამ ორნიშნა ნიშნულს მიაღწია.*

*მესამე პერიოდის დასაწყისში სკუნი პენმა "კიევის" 9:0 სპურტს ჩაუყარა საფუძველი და მატჩის ბოლომდე თანაბარი თამაში გაჩაღდა. საფინალო სირენამდე 20 წამით (75:73 "აზოვმაშის" სასარგებლოდ) ადრე მარიუპოლელები ტაკერზე დაჯარიმდნენ. "კიევის" მწვრთნელმა საშა ობრადოვიჩმა წუთშესვენება აიღო და შეგირდებს ფოლის აღება დაავალა, იმის მიუხედავად, ჩააგდებდა თუ არა ტაკერი ორივე საჯარიმოს. მწვრთნელს იმედი ჰქონდა, რომ ბოლო შეტევის უფლება მის გუნდს დარჩებოდა. ტაკერმა ორივე საჯარიმო ჩააგდო – 75:75. ამას მოჰყვა კიეველთა დაჯარიმება და იარუტისის ორი ზუსტი საჯარიმო – 77:75 "აზოვმაშის" სასარგებლოდ. ბოლო იერიშის უფლება მართლაც დედაქალაქელებს დარჩათ, მაგრამ პენის სამქულიანი მიზანს ასცდა და აზოვისპირელებმა პირველ წრეში დამარცხების გამო რევანში შაბათს აიღეს".*

სხვა თანაგუნდელთა მსგავსად შორეული ტყორცნებით ვერ გამოირჩა **მანუჩარ მარკოიშვილი**, რომელმაც ერთი სამქულიანი ააცილა, 5-დან 2 ორქულიანი გამოიყენა და ოქმში ოთხიანები ჩაინიკნიკა – 4 ქულა, 4 მოხსნა, 4 ფოლი. სწორედ 4 ჯარიმის გამო მანუს სათამაშო დრო შეეზღუდა – 18 წუთი ითამაშა.

მატჩის სნაიპერი აზოვმაშელი **დიჟონ ტომპსონი** გახდა. მის ანგარიშზე 21 ქულაა.

სადღეისოდ, უკრაინის ჩემპიონატში "კიევს" 12 მოგების წილ 2 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა. მეორეა "აზოვმაში" – 11 მოგება, 3 წაგება.

ისევე როგორც "ტარტუ როკი", 13 იანვარს "კიევიც" ევროჩელენჯის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩს გამართავს – გერმანულ "სკაილაინერსს" უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი

ესპანეთის ჩემპიონატი

| რეალი-ფუენლაბრადა | 90:74 |
|---|---|
| ნიკა ცქიტიშვილი: 20 წუთი, 15 ქულა, 4 მოხსნა | |
| უნიკახა-მენორკა | 78:53 |
| ვლადიმერ ბოისა: 18 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი | |
| კახასოლი-სარაგოსა | 75:79 |
| ტაირონ ელისი: 26 წუთი, 8 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი | |

ფრენბურთი



მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

# დანია დავამარცხეთ, მოლდოვა ვერა

საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებმა, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე სამი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო და ჯგუფში მესამე ადგილს დასჯერდა.

შეჯიბრების მეორე დღეს ჩვენი ფრენბურთელები დანიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ, რომელმაც პირველ შეხვედრაში მოლდოვას ნაკრებთან დათმო შეხვედრა მშრალი ანგარიშით. მეორე შეხვედრა ქართველმა ფრენბურთელებმა ალმავლობით ჩაატარეს და დანიის ეროვნული გუნდი 3:1 (25:18, 19:25, 25:23, 25:15) დაამარცხეს. ჩვენი გუნდიდან შედეგიანი თამაშით **იანა ზადიმენჩენკო** გამოირჩეოდა. პირველ მატჩთან შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ **კრისტინა სანტანა**, **ანდრეზა ჩაგასი** და **დალი ალიბეგაშვილი**. ორივე შეხვედრაში გუნდის ლიდერი იყო ცენტრი **თინათინ ჭაუჭიძე**, რომელმაც ჯამში 19 ქულის მოპოვება შეძლო

მეორე დღის შეხვედრებში დრამატული გამოდგა მასპინძელთა დაპირისპირება მოლდოვას ნაკრებთან. ესტონელები სეტებში 2:1 იგებდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგის საბოლოოდ გატეხა ვერაფრით მოახერხეს. მოლდოვას ნაკრებმა, რომელიც ტურნირის დაწყებამდე სავარაუდო აუტსაიდერად მიიჩნეოდა, მასპინძელთა გუნდს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა და ხუთ სეტში დაამარცხა.

პირველი ადგილის დასაკავებლად მოლდოვას ნაკრებს ბოლო, მესამე ტურში საქართველოს ნაკრების დამარცხება მართებდა. რაც, ანგარიშიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, უპრობლემოდ შეძლო კიდეც. ქართველმა ფრენბურთელებმა შეხვედრა მშრალად წააგეს 0:3 (9:25, 8:25, 13:25).

ამრიგად, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის შემდეგ ეტაპზე ჯგუფიდან მოლდოვას ნაკრები გავიდა.

სატურნირო მდგომარეობა: მოლდოვა, ესტონეთი, საქართველო, დანია.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ლექსიკონური

სამბო

# კარ-კარ დადის და ტალანტებს ეძებს



გივი სარდანაძე

მაშინ ქუთაისში ვსწავლობდი. ერთ დღეს მეცადინეობისას ოთახში ფიზკულტურის მასწავლებელთან ერთად ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. სამბოში ვარჯიში ვის გინდათო, - შემოგვთავაზა. ჯგუფში მხოლოდ ვაჟები ვიყავით და თითქმის ერთხმად გადავწყვიტეთ, ვარჯიშებზე გვევლო. ხვალ საღამოს თეთრ ხიდთან დარბაზში გელოდებითო, გვითხრა გამომშვიდობებისას. ის კაცი **გივი სარდანაძე** გახლდათ, ამჟამად უკვე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სამბოში, ღირსების ორდენოსანი, რომელიც მე-20 საუკუნის 10 საუკეთესო მწვრთნელს შორის დასახელდა.

ამგვარი აღიარება შემთხვევითი არ ყოფილა: სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" (ათი წელიწადი ამ საზოგადოების საკავშირო ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო) საკავშირო პირველობის ოქროს მედალოსანი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი 45 წელიწადია, კარ-კარ დადის და ტალანტებს ეძებს. მის აღზრდილთა შორის მრავალია სახელიანი: **ფრიდონ ნინილაშვილმა** ორ-ორჯერ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის პირველობებზე ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, **გელა სანიკიძე** ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია და ახალგაზრდებში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი. ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე მრავალგზის უსახელებიათ თავი **თამაზ და თემურ ნეფარიძეებს, გიორგი გოჩელაშვილს, ილია ტყეშელაშვილს, გენადი ჩირგაძეს, იასონ ნემსაძესა** და სხვებს, რომელთა ანგარიშზეა მნიშვნელოვანი შეჯიბრებებიდან ჩამოტანილი სხვადასხვა სინჯის 45 მედალი.

ორიოდე დღის წინათ ბატონ გივი სარდანაძეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში შევხვდი. ძალიან განიცდიდა სამბოს ფედერაციის პრეზიდენტობიდან **გიორგი გოგუაძის** გადადგომას. ბევრი კარგი საქმე გაგვიკეთაო, მითხრა.

**- სავარჯიშო პირობები თუ გაქვთ?**

- ვკითხე ბატონ გივის.

- ქუთაისის მე-17 სკოლა-პანსიონში კეთილმოწყობილი დარბაზი გვაქვს გასახდელებითა და საშხაპეთი. სამბოს ფედერაციამ საჭიდაო ხალიჩის ორი კომპლექტი გვაჩუქა. ჩოხებითა და სხვა ინვენტარითაც უზრუნველყოფილი ვართ. აქ ჩემთან ერთად სამბისტებთან მერაბ გოგლიჩიძე და დავით აფრიდონიძე მუშაობენ. ჭიდაობის სკოლაში ახალგაზრდებს ვახტანგ ფარჯანაძე, ტექნიკურ უნივერსიტეტში კი ალექსანდრე კახაძე ავარჯიშებენ. სულ ქალაქში 150-მდე მოზარდი იმაღლებს ოსტატობას და შემიძლია ვთქვა, რომ ღირსეულ ცვლას ვუმზადებთ საქართველოს ნაკრებ გუნდებს.

**- ფედერაციის გარდა, ვინმე თუ გეხმარებათ?**

- ქუთაისის მერია (ნუგზარ შამუგია) და კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და განათლების თვითმმართველობის სამსახური (გიზო თავაძე). სწორედ მათი დაფინანსებით სხვა ღონისძიებებთან ერთად გაზაფხულსა და შემოდგომაზე იმერეთის ღია პირველობებს ვმართავთ. შარშან ნოემბერში ჩვენს ტურნირზე ფოთელებმა და ხობელებმაც იასპარეზეს, სულ 250-ზე მეტმა მოზარდმა მოიყარა თავი. შეჯიბრებით ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. ვფიქრობ, რეგიონში კვლავაც დაიზრდებიან ბიჭები, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე სამშობლოს ასახელებენ.

ვაჟა **დანელია**

ჭადრაკი

# ბრეგაძე, ჯალაბაძე და გურამიშვილი ესპანეთში გაემგზავრებიან



სოფიკო გურამიშვილი და ლევან ბრეგაძე

საქველმოქმედო ორგანიზაციის – „ჭადრაკი – მშვიდობის ელჩის" ეგიდით გამართული ტურნირი პირველი იყო წლევანდელ ქართულ საჭადრაკო სივრცეში და საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. შემადგენლობაც ძლიერი შეიკრიბა, თუმცა რაოდენობრივად ეს შეჯიბრება გამორჩეული ნამდვილად არ ყოფილა – მხოლოდ ოცი მოჭადრაკე ვაჟი და გოგონა იბრძოდა გამარჯვებისთვის. შედარებითი სიმცირე იმან განაპირობა, რომ ტურნირში ითამაშეს მხოლოდ იმ მოჭადრაკეებმა, რომლებიც ორგანიზაცია "ჭადრაკი - მშვიდობის ელჩისა" და ამავე სტრუქტურაში შემავალი საჭადრაკო კლუბის – „მტრედები" CPA–ს წევრები არიან. საინტერესოა, რომ მოჭადრაკეებს პროფესიული კონტრაქტები აქვთ გაფორმებული კლუბთან და, ცხადია, გარკვეული ვალდებულებებიც აკისრიათ. როგორც იცით, მოძრაობა „ჭადრაკი – მშვიდობის ელჩის" დამფუძნებელი და პრეზიდენტი ქართველი დიდოსტატი **ანა მათნაძეა**. ის ამჟამად ბარსელონაში ცხოვრობს, მაგრამ საქართველოში მისი ინტერესების დამცველი დედა, ქალბატონი **მანანა ბუჯიაშვილია**. ამ ტურნირს სწორედ ქალბატონმა მანანამ გაუწია ორგანიზება. შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებაში იგი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობას ემადლიერება და აღნიშნავს, რომ თანამშრომლობა შემდეგშიც გაგრძელდება და უფრო დიდ მასშტაბს მიაღწევს. ამისათვის, უპირველესად, დაგეგმილია კლუბში მოჭადრაკეთა მოზიდვა, რის შემდეგაც შეუდარებლად აიწევს ტურნირის პრესტიჟულობა და შესაძლოა, ერთ-ერთ უძლიერეს ტურნირადაც კი იქცეს ჩვენი ქვეყნის მასშტაბით; არც ის არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვიოს და ბევრისათვის მიმზიდველი გახდეს. თუმცა მხოლოდ ერთი ტურნირით არ იფარგლება აღნიშნული ორგანიზაცია და ცდილობს, წლის განმავლობაში შეჯიბრებათა ერთგვარი ციკლი შეიმუშაოს. მთავარი ხიბლი კი ისაა, რომ გამარჯვებულები ესპანეთში გაემგზავრებიან და რამდენიმე პრესტიჟულ ტურნირში იასპარეზებენ. ყველა ხარჯს ესპანური მხარე და მოძრაობა – „ჭადრაკი – მშვიდობის ელჩი" გაიღებს. აკი სახელწოდებაშიც არის აღნიშნული, რომ ორგანიზაცია საქველმოქმედოა და თუ არა ამ ფორმით, სხვაგვარად როგორ შეიძლება გაამართლო სახელწოდება და დევიზი...

შაბათს დასრულდა წლევანდელი ტურნირი და გაიმარჯვა იმან, ვინც მიიჩნეოდა კიდეც პირველ ფავორიტად – **ლევან ბრეგაძემ** 7 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ **ზურაბ ჯავახაძეს**. 5 ქულით მესამე იყო **გიორგი ნიკოლაშვილი**. ამ სამეულიდან ესპანური საგზური მხოლოდ ბრეგაძემ მიილო, თუმცა... ჯავახაძეს პირველი ვიცე-ჩემპიონის ტიტული ერგო, ნიკოლაშვილს – მესამე ჩემპიონისა - დებულებით (?!, რედ). ბრეგაძემ ჯილდოდ შესანიშნავი თასიც მიიღო, მაგრამ ის მის სამუდამო მფლობელობაში არ გადავა, თასი გარდამავალია . წესდებით, ეს ჯილდო მოჭადრაკეს სამუდამოდ გადაეცემა, თუკი თასს სამჯერ მოიპოვებს, განურჩევლად რიგითობისა.

გოგონათა შორის **ნათია ჯალაბაძე** და **სოფიკო გურამიშვილი** გახდნენ რჩეულები. ორივემ 4,5 ქულით დაასრულა ტურნირი. საერთო ცხრილში კოეფიციენტით ჯალაბაძე მეოთხე ადგილზე გავიდა, გურამიშვილი – მეხუთეზე, შესაბამისად, გოგონებში ნათია პირველი იყო, სოფიკო კი – მეორე. მესამე ადგილზე **ნინო ანაკიძე** გავიდა, რომელმაც 4 ქულის მოგროვება შეძლო, საერთო ცხრილში კი მისი შედეგი მეშვიდეა. ალბათ, მეტს მოელოდნენ **მარიამ დანელიასაგან**, მაგრამ ის ამჯერად მცირედით ჩამორჩა მეგობრებს და 4 ქულით მერვე ადგილზე გავიდა. აშკარად ჩააგდო ტურნირი **ქეთი წანალაშვილმა**, ვინც გოგონებში ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იყო, მაგრამ სათანადოდ ვერ გაისარჯა და მხოლოდ 3,5 ქულას მოუყარა თავი. ასეთი მარაგი კი მეათე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. მის წინ **ირაკლი ბერაძეა**. ირაკლი თინეიჯერი ახლახან გახდა, მაგრამ თუ მის ნიჭს გავითვალისწინებთ, მეტიც შეეძლო... ირაკლიმ 3,5 ქულით დაასრულა ტურნირი.

როგორც ყველა სოლიდურ ტურნირში, აქაც დაითვალა საერთაშორისო რეიტინგები. რეიტინგი დამატებითი სტიმულია მოჭადრაკისთვის და კარგია, რომ ქართველ გოგო-ბიჭებს მიეცათ საშუალება, აქაც გამოეჩინათ თავი. ცხადია, ყველამ ვერ შეძლო მაჩვენებლების გაუმჯობესება, მაგრამ რიგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მატება მაინც შეიმჩნევა; არის მნიშვნელოვანი კლებაც... პირველ რიგში, აღსანიშნავია ზურაბ ჯავახაძის შედეგი – ეგი 32 ქულას შემატებს საკუთარ მარაგს. ჩემპიონმა – ლევან ბრეგაძემ მხოლოდ 6 ქულა მოიპოვა. 12 ქულამდე შეიძენს გიორგი ნიკოლაშვილი; ირაკლი ბერაძეს კი 14 ქულამდე მოაკლდება. გოგონებში ყველაზე დიდი მატება ნათია ჯალაბაძეს აქვს – 12 ქულა. ნინო ანაკიძემ 11 შეიმატა. მიუხედავად იმისა, რომ გურამიშვილმა საგზური მოიპოვა, რეიტინგში 4 ქულამდე დაკარგა. მარიამ დანელიას 7 ქულამდე დეფიციტი გაუჩნდა, ხოლო ყველაზე დიდი ზარალი ქეთი წანალაშვილმა ნახა – 23 ქულას უნდა შეელიოს.

ზვიად **შათირიშვილი**

რაგბი

# მალაღურაძემ თამასა ასწია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ პირველ დივიზიონში მეთხუთმეტე ტურის შემდეგ, პირველად მიმდინარე გათამაშებაში, ქართველ მორაგბეთა კლუბი „ტულონი" სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე დაეშვა. იმავდროულად, კიდევ უფრო გაიმყარა საპლეიოფო ოთხეულში ადგილი კიდევ ერთმა „ქართულმა" კლუბმა „კლერმონმა".

**დავით ქუბრიაშვილისა** და **გია ლაბაძის** „ტულონის" მდგომარეობა საგანგაშოა. ქართველ მორაგბეთა ამ გუნდმა ზედიზედ მეხუთე მარცხი განიცადა და ახლა ოცი ქულით ბოლო, მეთოთხმეტე ადგოლზეა. ტულონელებმა მეთხუთმეტე ტურში სტუმრად ითამაშეს **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივთან" და 9:19 დამარცხდნენ. ქუბრიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს. ლაბაძე განაცხადში არ იყო.

როგორც ჩანს, სასურველ სათამაშო ფორმაში მოიყვანა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" გუნდის ზელანდიელმა მწვრთნელმა **ვერნ კოტერმა**. ვულკანებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაშის ხარისხი და ძნელი სავარაუდოა, პლეი ოფში ვინმეს ადგილი დაუთმოს. მეთხუთმეტე ტურში „კლერმონმა" გასვლით მატჩში შანსი არ დაუტოვა **მამუკა გორგოძის** „მონპელიეს" და დამაჯერებლად - 30:3 დაამარცხა. გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ზირაქაშვილი 69-ე წუთზე შეცვალეს.

კვლავ გასავარდნად საშიშ ზონაში იმყოფება **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი". გლობუსას გუნდი, ბოლო ხანს დაუძლურებულ ბასკურ „ბიარიცს" მასპინძლობდა და მინიმალური ანგარიშით - 9:10 დამარცხდა. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა **გოდერძი შველიძის** „მონტობანმა". მწვანეებმა შინ უმძიმეს ბრძოლაში, სატურნირო ცხრილის მეზობელი ბასკური „ბაიონი" დაამარცხეს - 15:13. შველიძე შეხვედრაში 77-ე წუთიდან ჩაერთო.

ისევ დამარცხდა შინ **ირაკლი გიორგაძის** „დაქსი". ამჯერად დაქსელთა მძლეველი გათამაშების ლიდერი „ტულუზი" იყო. სტუმრება შეხვედრა 25:9 მოიგეს. გიორგაძე განაცხადში არ იყო.

საფრანგეთი. I დივიზიონი: XV ტური: დაქსი-ტულუზი 9:25, პერპინიანი-ბურგუენი 40:14, კასტრი-ბიარიცი 9:10, მონტობანი-ბაიონი 15:13, მონ დე მარსანი-სტად ფრანსე 6:13, მონპელიე-კლერმონი 3:30, ბრივი-ტულონი 19:9.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ტულუზი - 57 ქულა, 2. სტად ფრანსე - 54, 3. პერპინიანი - 52, 4. კლერმონი - 45, 5. ბაიონი - 40, 6. ბრივი - 37, 7. მონტობანი - 37, 8. მონპელიე - 32, 9. ბიარიცი - 30, 10. დაქსი - 26, 11. ბურგუენი - 24, 12. კასტრი - 22, 13. მონ დე მარსანი - 20, 14. ტულონი - 20.

მეორე დივიზიონში გათამაშების ლიდერების **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგისა" და **მალხაზ ურჯიკაშვილის, გიორგი ულენტისა** და **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკის" შეხვედრები უამინდობის გამო გადაიდო. პარიზელებს საკუთარ მოედანზე ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთ წარმომადგენელთან, **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენის" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა.

მეორე შეხვედრა გამართა „ბეზიეს" შემადგენლობაში საქართველოს ნაკრების მგეზავმა **ლაშა მალაღურაძემ**. ლანგედოკელებმა შინ „ალბი" მიიღეს და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ - 21:21. ოცდაერთი ქულიდან 18 მალაღურაძის ანგარიშზეა. მან მეტოქეს ექვსი საჯარიმო გაუტანა. პირველ მატჩში „ნარბონის" წინააღმდეგ ლაშას ანგარიშზე რვა ქულა იყო.

„ბეზიეს" სატურნირო მდგომარეობა კვლავ სავალალოა. ის 18 ქულით ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა და **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიეს", რომელმაც შინ „ბურგ ან ბრესი" დაამარცხა -13:3, შვიდი ქულით ჩამორჩება. კოპალიანი ამ შეხვედრაში 67-ე წუთიდან ჩაერთო.

შინ დამაჯერებლად დაამარცხა **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი" **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა" - 42:17. კუთარაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. აშვეთია მოედანზე 61-ე წუთიდან გამოჩნდა. საკუთარ მოედანზე ვერას გახდა „ლა როშელთან" **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბი" - 10:12. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე შეცვალეს.

II დივიზიონი: XV ტური: კოლომიე-ბურგ ან ბრესი 13:3, ბეზიე-ალბი 21:21, გრენობლი-ბორდო 13:12, ტარბი-ლა როშელი 10:12, ოიონაქსი-ნარბონი 42:17, ლიონი-ოში (გადაიდო), მეტრო რასინგი-აჟენი (გადაიდო), ორიაკი-პო (გადაიდო).

სატურნირო მდგომარეობა: 1. მეტრო რასინგი - 49 ქულა, 2. ლა როშელი - 44, 3. ორიაკი - 42, 4. ალბი - 42, 5. აჟენი - 40, 6. ოიონაქსი - 40, 7. პო - 39, 8. გრენობლი - 38, 9. ლიონი - 36, 10. ნარბონი - 32, 11. ოში - 31, 12. ტარბი - 30, 13. ბორდო - 27, 14. კოლომიე - 25, 15. ბეზიე - 18, 16. ბურგ ან ბრესი - 15.

ბესიკ **ჯანგავაძე**

სუმო

# გამარჯვებებით ვიწყებთ




გუშინ ტოკიოში წლის პირველი ბაშო დიდებულად დაიწყო ქართველი სუმოისტებისთვის – სამივემ გამარჯვება იზეიმა. 27 წლის **ლევან ცაგურია** ზუსტად ხუთი წელიწადია, რაც სუმოს ელიტაში, მაკუუჩის დივიზიონში ჭიდაობს. კოკაიმ მრგვალი თარიღი ყოფილი კომუსუბის, ამჟამად მე-5 მაეგაშირას ტიტულის მფლობელის **ფუტენოს** ძლევით აღნიშნა. კოკაის ორთაბრძოლების 37 პროცენტი იორიკირით აქვს მოგებული, ამჯერადაც მან ეს ილეთი იხმარა. კოკაიმ კარიერაში 320-ე გამარჯვება იზეიმა. ბაშოს მეორე დღეს ქართველის მეტოქე 22 წლის მე-3 მაეგაშირა **გოეიდო** იქნება, რომელიც ნოემბრის ბაშოზე კომუსუბის ტიტულს ფლობდა. შარშან ისინი მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ დოჰიოზე ერთმანეთს, მარტში კოკაიმ იმარჯვა. გოეიდომაც მოგებით დაიწყო იანვრის ბაშო.

21 წლის **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** ყოფილ კომუსუბის, **კაკიძოეს** ხვდებოდა. ქართველმა იორიკირის ილეთით შეძლო მეტოქის დოჰიოს მიღმა გაყვანა. ეს ლევანის 102-ე გამარჯვებაა კარიერაში. ტოჩინოშინი ჯერ მეხუთე ბაშოა, რაც ელიტაშია. დღეს მისი მეტოქე მე-13 მაეგაშირა **კორიუა**, რომლის მეტსახელიც მოციმციმე გველეშაპს ნიშნავს. შარშან ლევანმა კორიუს ორი ორთაბრძოლა მოუგო. კორიუმ ეს ბაშო მარცხით დაიწყო.

თანამემამულეებს არც 21 წლის **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** ჩამორჩა. რომელიც ელიტის სიახლოვესაა (სუმოში პირველი ორი დივიზიონი ითვლება ელიტად), მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მე-13 ნომერია. გაგამარუმ სუკუინაგეს ილეთი გამოიყენა პირველი მეტოქის, **მინამის** დასამარცხებლად. შეგახსენებთ, რომ მესამე დივიზიონში ბაშო 7 საბრძოლო დღეს გრძელდება, ელიტისგან განსხვავებით, სადაც სუმოისტები 15-15 ორთაბრძოლას მართავენ. თეიმურაზმა კარიერაში 79-ე გამარჯვება იზეიმა. გაგამარუ დღეს ისვენებს.

„კოკუგიკანის" პირთამდე გავსებული დარბაზის (ყველა ბილეთი გაიყიდა) ყურადღება კი დიდი ჩემპიონების (იაპონურად იოკოძუნა) გამოსვლამ მიიპყრო, **ასაშორიუ** იაპონელთა იმედს, **კისენოსატოს** შეხვდა. მონღოლმა ახალგაზრდა კომუსუბი დაამარცხა. მოიგო იმპერატორის თასის ამჟამინდელმა მფლობელმა **ჰაკუჰომაც**, რომელმაც ტანდაბალი კომუსუბი (169 სმ) **ტოიონოშიმა** დაამარცხა. ხუთიდან ორი ოძეკი დამარცხდა, წააგეს **კოტომიცუკიმ** და **ჰარუმაფუჯიმ** (ყოფილი ამა).

ნიკოლოზ **ნეფარიძე**

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერ-ტურნირი). 11-25 იანვარი. ტოკიო (იაპონია)

I დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 4)-ფუტენო (მ 5) 1:0 (იორიკირი); ტოჩინოშინი (მ 11)-კაკიძოე (მ 12) 1:0 (იორიკირი).

II დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 4)-გოეიდო (მ 3); ტოჩინოშინი (მ 11)-კორიუ (მ 13).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ტორო როსომ ბუემი აირჩია



ფორმულა 1-ის 2009 წლის ჩემპიონატში ახალ პილოტს ვიხილავთ. "ტორო როსომ" შაბათს დაადასტურა, რომ შვეიცარიელი **სებასტიენ ბუემი** გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრი იქნება.

ახალ ამპლუაში ბუემის დებიუტი იანვარში, პორტუგალიურ პორტიმაოში გასამართ ტესტებზე შედგება. რაც შეეხება "ტორო როსოს" მეორე საპრიზო პილოტს, საჯინიბოს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ რელიზში წერია, რომ მისი ვინაობა უშუალოდ ავსტრალიის გრანპრის წინ გახდება ცნობილი.

*"ჩვენ მივესალმებით სებასტიენის "ტორო როსოში" მოსვლას. ეს პილოტი უკვე დიდი ხანია "რედ ბულის" ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. ინჟინრები გაოცებულნი დარჩნენ ტესტებზე ბუემის მიერ განვითარებული სიჩქარით. ვარჯიშებზე სებასტიენმა საკმარისი გამოცდილება დააგროვა და ყოველდღე პროგრესირებდა. ამ თვისებებმა და აგრეთვე, GP2-ის სერიაში ჩატარებულმა რამდენიმე ბრწყინვალე რბოლამ დაგვარწმუნა, რომ მისთვის შანსი უნდა მიგვეცა"*, - განაცხადა "ტორო როსოს" შეფმა **ფრანც ტოსტმა**.

*"რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ იმით, რომ წელს "ტორო როსოს" ბოლიდით მომიწევს გამოსვლა. კარიერის პირველი დღეებიდანვე ფორმულა 1-ში ასპარეზობაზე ვოცნებობდი. ახლა შევეცდები ყველაფერი გავაკეთო მაქსიმალური შედეგების მისაღწევად და დავუმტკიცო "რედ ბულს", რომ არჩევანში არ შემცდარა"*, - კონტრაქტის გაფორმების შემდეგ სიხარულს ვერ მალავდა ბუემი.

უკანასკნელი შვეიცარიელი ავტომრბოლი, ვინც ფორმულა 1-ის სერიაში გამოდიოდა, **ჟან დენი დელეტრაზი** იყო, რომელმაც კარიერა 1995 წელს დაასრულა. სულ კი, ფორმულა 1 23 შვეიცარიელ პილოტს იცნობს, ბუემი 24-ე იქნება...

## ვინ ვინ არის: სებასტიენ ბუემი

სებასტიენ ბუემი შვეიცარიის პატარა ქალაქ ეგლში 1988 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა. მამამისს საკუთარი ავტოსახელოსნო ჰქონდა. ერთხელ, როცა შვილისთვის საშობაო საჩუქარს ეძებდა, სხვა სათამაშოებს საბავშვო სარბოლო კარტი ამჯობინა. მაშინ სებასტიენი სამი წლის იყო.

რამდენიმე წლის შემდეგ პირველი გამარჯვებები მოვიდა, მაგრამ სიტუაცია კარდინალურად 2004 წელს შეიცვალა - ბუემის დებიუტი ჰქონდა BMW-ფორმულას იუნიორთა სერიაში, სადაც მესამე ადგილი დაიკავა და **სებასტიან ფეტელს** ჩამორჩა. ამით ბუემიმ "რედ ბულის" კონსულტანტ **ჰელმუტ მარკოს** ყურადღება მიიპყრო.

2005 წელს შვეიცარიელი "რედ ბულის" ახალგაზრდა პილოტების მხარდაჭერის პროგრამის მონაწილე გახდა. მომდევნო სეზონში სებასტიენი ფორმულა-Renault-ში გადავიდა და მონაკოს გრანპრიზე მეოთხე ადგილი დაიკავა. ტიტულები არ მოუპოვებია, მაგრამ კარიერა მაინც სწრაფად ვითარდებოდა და უკვე 2007 წელს ბუემიმ ტესტ-პილოტის სტატუსით "რედ ბურთან" კონტრაქტი გააფორმა.

შვეიცარიელს ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭესთან დებიუტი 18 სექტემბერს, ხერესის ტესტებზე ჰქონდა. 2008 წლის 16 იანვარს კი "რედ ბულმა" ის ტესტერად და სარეზერვო პილოტად გამოაცხადა.

2008 წელს ბუემი პარალელურად GP2-სა და GP2Asia-ს სერიებში მონაწილეობდა და საფრანგეთში პირველ გამარჯვებასაც მიაღწია. იმ რბოლაში სტარტი 21-ე პოზიციიდან აიღო, სველ ტრასაზე საბურავების შესაცვლელად ბოქსებში არ შევიდა და პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე გამარჯვებას ჰუნგარორინგზე მიაღწია, სეზონი კი საერთო ჩათვლაში მეექვსე ადგილზე დაასრულა.

# ფერარიმ გეგმები შეცვალა

## რენომ ფედერაციის ტესტი ვერ გაიარა



დღეს "ფერარიმ" 2009 წლის ჩემპიონატისთვის განკუთვნილი ბოლიდი უნდა წარმოადგინოს. პრეზენტაციის თარიღი და ჩატარების ადგილი კარგა ხნის წინ იყო ცნობილი, მაგრამ ბოლო დღეებში ევროპაში გამეფებულმა ცივმა ამინდმა "სკუდერიას" შეფობას გეგმები გვარიანად აურია.

პრეზენტაცია დათქმულ დღეს - 12 იანვარს გაიმართება, ოღონდ შეიცვალა ჩატარების ადგილი. ტესტები "ფერარის" საქარხნო ავტოდრომზე, ფიორანოში უნდა შემდგარიყო, მაგრამ მარანელოს გარეუბნებში ტემპერატურა მინუს ექვს გრადუსამდე დაეცა. ამიტომაც გადაწყვიტეს პრეზენტაცია ფლორენციის ახლოს, მუჯელოს ტრასაზე გამართონ.

■ ■ ■

მომავალი ერთი კვირის განმავლობაში ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე კიდევ რამდენიმე გუნდი გეგმავს ახალი ბოლიდების წარმოდგენას.

ერთ-ერთი მათგანია "რენო", რომლის ახალ ქმნილებას - R29-ს საზოგადოება 19 იანვარს, პორტუგალიის პორტიმაოში იხილავს. იმის მიუხედავად, რომ "რენოს" ახალმა ბოლიდმა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) აუცილებელი კრეშტესტი ვერ გაიარა, ფრანგული საჯინიბოს ხელმძღვანელობა დაგეგმილი პრეზენტაციის თარიღის შეცვლას არ აპირებს.

როგორც ევროპული პრესა წერს, ბოლიდმა პირდაპირი და გვერდითი დარტყმების გამოცდას ვერ გაუძლო. თურმე, ერთ-ერთი ტესტის დროს შასი მთლიანად დაიმსხვრა.

გუნდის წარმომადგენლები ადასტურებენ ამ ინფორმაციას, მაგრამ ამტკიცებენ, რომ ინჟინრები გაერკვნენ პრობლემაში და შემდეგ ჯერზე FIA-სგან დასტურს მიიღებენ.

*"ეს სიტუაცია უჩვეულო სულაც არ არის. ჩვენ უკვე გავარკვიეთ პრობლემის არსი და ყველაფერი მოვაგვარეთ. ბოლიდი ტესტებს 19 იანვრიდან შეუდგება"*, - განაცხადა "რენოს" პრესატაშემ.

სხვათა შორის, 2005 წელს "რენომ" ზუსტად ასევე ჩააგდო გვერდითი კრეშტესტი, მაგრამ ამას მისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაში ხელი არ შეუშლია.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**9 იანვარი**

**ორლანდო-ატლანტა 121:87**

41:18, 30:15, 32:27, 18:27

ო: თურქოგლუ (21), დ. ჰოვარდი (16+10 მოხსნა+4 დაფარება), რედიკი (15), ჯ. ნელსონი (14+9 პასი), ლუისი (13), კ. ლი (11), გორტატი (8+12 მოხსნა).

ა: ს. ჯონსი (12+8 მოხსნა), ჯო ჯონსონი (11).

**ფილადელფია-შარლოტი 93:87**

24:27, 19:18, 31:20, 19:22

ფ: ა. მილერი (22+6 პასი), ტ. იანგი (15+8 მოხსნა), იგუოდალა (12+7 პასი), ლ. უილიამსი (12), უ. გრინი (11).

შ: ოკაფორი (24+11 მოხსნა), ფელტონი (13+8 პასი), რ. ბელი (13).

**ტორონტო-მემფისი 103:82**

23:19, 24:25, 25:17, 31:21

ტ: ბოში (32+10 მოხსნა+3 დაფარება), ბარნიანი (21+8 მოხსნა), კაპონო (11+6 პასი), სოლომონი (10+9 პასი+3 ჩაჭრა).

მ: გეი (22), უორიკი (18), ლოური (12), მაიო (11).

**კლივლენდი-ბოსტონი 98:83**

33:23, 16:17, 23:20, 26:23

კ: ლ. ჯეიმსი (38+7 მოხსნა+6 პასი+4 ჩაჭრა+3 დაფარება), ვარეჟაო (14+9 მოხსნა), მ. უილიამსი (13), გიბსონი (10).

ბ: გარნეტი (18+15 მოხსნა), პერკინსი (13), რ. ალენი (12), პირსი (11), რონდო (5+13 პასი+4 ჩაჭრა).

**ნიუ ორლეანი-კლიპერსი 107:80**

32:23, 30:26, 25:18, 20:13

ნ-ო: რ. ბატლერი (27), პოუზი (16), ტ. ჩენდლერი (13+11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (12), დ. უესტი (12), პოლი (10+7 პასი+3 ჩაჭრა), ა. დანიელსი (10).

კ: მ. კოლინზი (15+6 პასი), ე. გორდონი (15), ნოვაკი (14), კემბი (13+17 მოხსნა), ტორნტონი (11), სკინერი (11+8 მოხსნა).

**ოკლაჰომა-ჰიუსტონი 96:98**

24:24, 16:29, 32:24, 24:21

ო: დურანტი (27), უესტბრუკი (15+6 პასი), ჯ. გრინი (11), კოლისონი (8+10 მოხსნა).

ჰ: მაკგრეიდი (26+4 ჩაჭრა), სკოლა (14), იაო მინი (14+7 მოხსნა), ვაფერი (14), ბრუქსი (12).

**ჩიკაგო-ვაშინგტონი 98:86**

30:16, 22:18, 19:23, 27:29

ჩ: ბ. გორდონი (22), ჰიუიზი (17), ტ. ტომასი (16+10 მოხსნა), გუდენი (16+11 მოხსნა).

ვ: ნ. იანგი (28), ჯეიმისონი (12+11 მოხსნა), მ. ჯეიმსი (11).

**მილუოკი-ნიუ ჯერსი 104:102**

28:28, 33:31, 18:26, 25:27

მ: რედი (24), ვილანუევა (23+3 ჩაჭრა), რ. ჯეფერსონი (13), სეშენსი (11+10 პასი), მბა ა მუტე (10+7 მოხსნა), რიდნური (10).

ნ-ჯ: ვ. კარტერი (23+9 მოხსნა+14 პასი), ჯ. ჰეიესი (16), იი იანლიანი (16), დულინგი (15), ბ. სიმონსი (15).

**დენვერი-დეტროიტი 90:93**

25:17, 23:21, 19:23, 23:32

დენ: ბილაპსი (30), ნენე (15+9 მოხსნა), მარტინი (14), სმიტი (11).

დეტ: აივერსონი (23), პრინსი (19), აფლალო (17), მაკდაისი (6+12 მოხსნა).

**საკრამენტო-მაიამი 115:119**

30:25, 32:33, 20:16, 22:30

ს: სალმონსი (29), მარტინი (28), ჰოესი (19), ბ. მილერი (9+16 მოხსნა).

მ: უეიდი (41+7 პასი+3 ჩაჭრა), ბიზლი (23+10 მოხსნა), ჩელმერსი (13), ჰასლემი (11+8 მოხსნა), კუკი (10).

**ლეიკერსი-ინდიანა 121:119**

41:36, 27:30, 28:18, 25:35

ლ: ბრაიანტი (36+7 მოხსნა+13 პასი), პ. გასოლი (21+11 მოხსნა), ბინუმი (20), ჯ. პაუელი (10), არიზა (10).

ი: გრეინჯერი (28), მერფი (24), დანლივი (22), ჰიბერტი (11), ს. გრემი (10).

**ფინიქსი-დალასი 128:100**

29:31, 35:27, 40:19, 24:23

ფ: შ. ო'ნილი (25+10 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (21), ბარბოზა (20), სტაუდმაიერი (16+3 ჩაჭრა), ნეში (9+12 პასი).

დ: ნოვიცკი (19+7 მოხსნა), ჯ. ჰოვარდი (16), კიდი (15+7 პასი), გრინი (13), ტერი (11).

**10 იანვარი**

**ვაშინგტონი-შარლოტი 89:92**

31:23, 18:22, 21:24, 19:23

ვ: კ. ბატლერი (19), ბლეტჩი (14+10 მოხსნა), ჯეიმისონი (13), ნ. იანგი (12).

შ: რ. ბელი (19), დიაო (18), ჯ. ჰოვარდი (12), მორისონი (11), ფელტონი (9+11 პასი).

**მინესოტა-მილუოკი 106:104**

19:28, 32:32, 27:23, 28:21

მინ: კარნი (22), ელ ჯეფერსონი (20+7 მოხსნა), ტელფეირი (17+11 პასი), გომესი (16), ფოიე (11), ლავი (5+12 მოხსნა).

მილ: რედი (32), რ. ჯეფერსონი (29), ბოგუტი (14+7 მოხსნა), რიდნური (12+9 მოხსნა+6 პასი).

**ჩიკაგო-ოკლაჰომა 98:109 (ო)**

30:31, 21:23, 23:22, 20:18, 4:15

ჩ: ბ. გორდონი (22), გუდენი (20+12 მოხსნა), დ. როუზი (16+6 პასი), ჰიუიზი (16), ნოჩიონი (11), ნოა (4+11 მოხსნა).

ო: დურანტი (28+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), კოლისონი (21+9 მოხსნა), უესტბრუკი (14+12 მოხსნა), ჯ. გრინი (14+12 მოხსნა), დ. მეისონი (10), ე. უოტსონი (4+11 პასი).

**ჰიუსტონი-ნიუ იორკი 96:76**

26:24, 20:21, 31:14, 19:17

ჰ: სკოლა (18+11 მოხსნა), ელსტონი (17+6 პასი), ბრუქსი (16+4 ჩაჭრა), ვაფერი (15+7 მოხსნა), იაო მინი (14+7 მოხსნა).

ნ-ი: ტ. ტომასი (18), დ. ლი (14+11 მოხსნა), ტ. ტომასი (18).

**იუტა-დეტროიტი 99:82**

32:21, 25:26, 22:17, 20:18

ი: ოქური (22), რ. ბრიუერი (16), კირილენკო (11), ჰარპრინგი (11).

დ: სტაკი (19), აივერსონი (11), მაქსიელი (11).

**პორტლენდი-გ. სტეიტი 113:100**

16:25, 39:24, 28:21, 30:30

პ: ოლდრიჯი (26+7 მოხსნა+5 პასი), როი (19+6 მოხსნა), აუთლო (19), ბლეიკი (15), ფერნანდესი (12+6 პასი), ოდენი (10+8 მოხსნა).

გ-ს: მაგეტი (25), აზუბუიკე (21), კროუფორდი (19), ტურიაფი (12+7 პასი+6 მოხსნა), ბიედრინსი (10+6 მოხსნა).

# კიდი ნიქსში გადავა

გაზეთ New York Daily News-ის ცნობით, "დალას მავერიქსის" გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** აღიარა, რომ სურვილი აქვს კარიერა "ნიუ იორკ ნიქსში" დაასრულოს, შესაბამისად, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი არ გამორიცხავს ამ ზაფხულს "ნიქსთან" კონტრაქტის გაფორმებას.

*"რატომაც არა? ასეთ ვარიანტს სერიოზულად განვიხილავ. მაიკ დ'ენტონი შესანიშნავი მწვრთნელია. ამაში პეკინის ოლიმპიადის მსვლელობისას დავრწმუნდი"*, - აცხადებს ვეტერანი კალათბურთელი.

"ნიუ იორკში" კიდის გადასვლა "ნიქსის" ხელმძღვანელობას 2010 წელს **ლებრონ ჯეიმსის** გადაბირების შანსებს გაუზრდის. როგორც ცნობილია, "კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდმა თავისი გუნდის ხელმძღვანელობას "ნიუ ჯერსიდან" კიდის შეძენა სთხოვა, სანამ ეს უკანასკნელი "დალასთან" გააფორმებდა ხელშეკრულებას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ჰონდა ჰონდას ყიდულობს

"ჰონდა რეისინგის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ნიკ ფრაიმ** განაცხადა, რომ კონცერნ "ჰონდას" ფორმულა 1-ის გუნდის პოტენციურ მყიდველთა 12-კაციანი სია გადასცა. მაგრამ, როგორც გაზეთი The Daily Telegraph წერს, ფრაიმ დამალა ის ფაქტი, რომ თავად ითვლება ფორმულა 1-დან წასული გუნდის ხელში ჩაგდების მთავარ პრეტენდენტად, რადგან გუნდი, შესაძლოა, მისი ამჟამინდელი ტოპმენეჯერების მფლობელობაში გადავიდეს.

საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს: თუ იაპონური კონცერნი გუნდის ლიკვიდაციას გადაწყვეტს, მან მომსახურე პერსონალს კარგა მოზრდილი თანხა უნდა გადაუხადოს და კრედიტებიც დაფაროს. ეს კი ჯამში 100 მილიონ დოლარს შეადგენს. იაპონელებს არ სურთ ამ გზით პრესტიჟის შელახვა და მზად არიან კეთილი ნება გამოიჩინონ. კერძოდ, ისინი ამ თანხას Honda F1-ის ახალი მფლობელებისთვის ეტაპობრივად გადასაცემად გამოიყენებენ, აგრეთვე საწყის ეტაპზე გუნდის ნაწილობრივ დაფინანსებას განახორციელებენ. ეს ყველაფერი კი ნიკ ფრაის დროის მოგების საშუალებას მისცემს იქამდე, სანამ გუნდის მარკეტინგი ახალი სპონსორების მოძიებით იქნება დაკავებული.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს, ფრაიმ უნდა დააჯეროს "ჰონდას" ხელმძღვანელობა, რომ მართლაც სარგებლობს ამა თუ იმ ფინანსური სტრუქტურის მხარდაჭერით, რაც გუნდს მინიმუმ სამი-ხუთი წლით გაუხანგრძლივებს არსებობას.

როგორც გაზეთი წერს, ფრაის მხრიდან გუნდის ხელში ჩაგდების შესახებ მას შემდეგ ალაპარაკდნენ, როცა Honda F1-ის შეძენის სხვა პრეტენდენტებმა, მათ შორის ბერძენმა მილიარდერმა **ახილეს კალაკისმა**, უკმაყოფილება გამოთქვეს ბრეკლში გუნდის ბაზაზე საკმაოდ ცივი დახვედრის გამო. პოტენციურ მყიდველებს მიაჩნიათ, რომ იაპონურ მხარეს მეტად სარფიან ფინანსურ წინადადებებს სთავაზობდნენ, მაგრამ მოლაპარაკებების პროცესში პროგრესი მაინც არ შეიმჩნეოდა. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ ყველაფერი საკმაოდ მარტივად აიხსნება - გუნდის გამოსყიდვას თავად ნიკ ფრაი და Honda Racing-ის სხვა მენეჯერები ცდილობენ. თუმცა აღმასრულებელი დირექტორი ჯერ თავს იკავებს კომენტარებისგან.

ავტოსპორტი. დაკარი 2009

**VII ეტაპი**

**მენდოსა-ვალპარაისო. 419 კმ**

**ავტომობილები**

1. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - 2:35.27; 2. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +3.41; 3. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +4.13; 4. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +5.37; 5. **შიშერი** (საფრანგეთი, BMW X3 CC) - +6.08; 6. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +7.48.

**მოტოციკლები**

1. **ლოპესი** (ჩილეთი, KTM 690 RALLYE) - 2:36.09; 2. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +3.57; 3. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +5.21; 4. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +8.58; 5. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +14.07; 6. **ვერპოვენი** (ჰოლანდია, KTM 690 RALLYE) - +14.42.

**საერთო ჩათვლა**

**ავტომობილები**

1. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - 23:42.40; 2. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +0.09; 3. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +13.53; 4. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +29.16; 5. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +1:08.21; 6. **ჰოლოვჩიკი** (პოლონეთი, NISSAN NAVARA) - +2:39.32.

**მოტოციკლები**

1. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 26:23.47; 2. **სტრიტი** (აშშ, KTM 690) - +51.22; 3. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +52.31; 4. **ულევალსეტერი** (ნორვეგია, KTM 690 RALLYE) - +1:24.01; 5. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +1:24.19; 6. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +1:35.23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კრივი

# კლიჩკო-გომესი მარტში გაიმართება



მსოფლიოს კრივის საბჭოს (WBC) ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, სუპერმძიმე წონაში ამ ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** ტიტულს კუბელ **ხუან-კარლოს გომესთან** ბრძოლაში დაიცავს. გომესი WBC-ის ვერსიით ნომერ პირველ პრეტენდენტად ითვლება და წესების თანახმად, სწორედ მას უწევს უკრაინელ მოკრივესთან სატიტულო ბრძოლა.

შეხვედრის ჩატარების თაობაზე კონტრაქტი უკვე გაფორმებულია. ამის შესახებ WBC-ის პრეზიდენტ **ხოსე სულეიმანს** უკვე აცნობეს მოკრივეების პრომოუტერებმა - **შელი ფინკელმა** (კლიჩკო) და **აჰმეთ ონერმა** (გომესი).

თუმცა ჯერჯერობით ცნობილი არ არის ბრძოლის ჩატარების ზუსტი თარიღი და ადგილი. ადრე იუწყებოდნენ, რომ ორთაბრძოლა 21 მარტს გაიმართებოდა, მაგრამ ახალი ინფორმაციის თანახმად, შეხვედრა 14 მარტს შედგება და მას გერმანიის ქალაქი შტუტგარტი ან ჰამბურგი უმასპინძლებს.

# დონ კინგი მამულს ყიდის

ცნობილი ამერიკელი პრომოუტერი **დონ კინგი** ფლორიდის შტატის სანაპიროზე მდებარე თავის ფეშენებელურ სამფლობელოს ყიდის. სახლი (11 საძინებელი და 17 სააბაზანო ოთახი) და მიმდებარე ტერიტორია ჯამში 2973 კვადრატულ მეტრს მოიცავს. კინგის სამფლობელოშია აგრეთვე თავისუფლების ქანდაკების დაახლოებით რვამეტრიანი ასლი, 50 მეტრი სიგრძის პლაჟი, ორი საცურაო აუზი, საჩოგბურთო კორტი და ა.შ. მთლიანად მამულის ღირებულება 27.5 მილიონ დოლარს უტოლდება.

*"დროა უფრო მოკრძალებულ სახლში გადავიდე. დარწმუნებული ვარ, აქაურობის ახალი პატრონი ისევე დატკბება ცხოვრებით, როგორც მე ვაკეთებდი წლების განმავლობაში"*, - განაცხადა დონ კინგმა.

კინგის საქმეების მმართველი **რობერტ ვინეკი** დარწმუნებულია, რომ ამჟამინდელი ფინანსური კრიზისი სახლის გაყიდვას ხელს არ შეუშლის.

*"ეს ისტორიული სამფლობელოა, სადაც დონ კინგი შტატების გუბერნატორებს, კინოსა და სპორტის ვარსკვლავებს მასპინძლობდა... ჩემს კლიენტს საკმარისი ფული აქვს, მაგრამ ის უკვე 77 წლისაა, მოზრდილი შვილები ჰყავს და ამ გიგანტურ სახლში თავის მეუღლე ჰერნიეტასთან ერთად მარტო დარჩა"*, - ამბობს ვინეკი.



# ბარერა სამ კვირაში იჩხუბებს

სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, მექსიკელი **მარკო ანტონიო ბარერა** თავის შემდეგ შეხვედრას 31 იანვარს სამშობლოში, დომინიკელ **ჯონ ნოლასკოს** წინააღმდეგ გამართავს.

ბარერას გუნდის წევრები აღნიშნავენ, რომ ეს არის საშუალედო ბრძოლა იქამდე, სანამ მექსიკელი მოკრივე მეოთხე წონით კატეგორიაში შეეცდება ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას.

რამდენიმე დღის წინ ბარერას ახალი პრომოუტერი **დონ კინგი** მსოფლიოს კრივის ორგანიზაციის (WBO) ყოველწლიურ კონფერენციას დაესწრო და იმდენი მოახერხა, რომ ბარერას მჩატე წონაში ამ ვერსიის ნომერ პირველი პრეტენდენტის სტატუსი მოუპოვა. შესაბამისად, მექსიკელმა მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ **ნეიტ კემპბელთან** შეხვედრის უფლება მოიპოვა. WBO-ის ტიტულის გარდა, კემპბელი IBF-სა და WBA-ის საჩემპიონო ქამრებს ფლობს.

საბოლოოდ, დადგინდა, რომ კემპბელი IBF-ის ტიტულს ალი ფუნეკისთან ბრძოლაში დაიცავს, რომელიც 14 თებერვალს გაიმართება, მოგვიანებით კი ბარერას შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 9 იანვარი

**ვაშინგტონი-კოლამბუსი 0:3**

0:1, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 უმბერგერი-12 (ვორაჩეკი-12, მეტოტი-6), 0:2 ტოუტინი-4 (მალორტა-6, ბოლი-4), 0:3 ბოლი-1 (ტოუტინი-14, მალორტა-7).

**ბაფალო-რეინჯერსი 2:1 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 მარა-4 (სიოსტრომი-3, ორი-3), 1:1 რუა-15 (სტეფორდი-15, ვანეკი-11).

ბულიტები გაიტანეს: კოტალიკი (ბაფალო).

**ედმონტონი-სან ხოსე 1:4**

1:3, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 სეტოგუჩი-19 (ბოილი-21, ჯ. ტორნტონი-38), 1:1 გრებეშკოვი-3 (კოლიაონი-10, ვიშნოვსკი-19), 1:2 შტაუბიცი-1 (დ. მოური-1, სემიონოვი-2), 1:3 მარლო-20 (სეტოგუჩი-20, რ. ბლეიკი-21), 1:4 მარლო-21 (პაველსკი-16, სეტოგუჩი-21).

**ვანკუვერი-სენტ ლუისი 4:6**

2:1, 0:2, 2:3

გოლები: 1:0 პანსენი-5 (ვ. მიტჩელი-11, ოლუნდი-11), 1:1 ბეკსი-13 (ი. შჩასტნი-4), 2:1 ვ. მიტჩელი-2 (დ. სედინი-24, ჰ. სედინი-31), 2:2 ბერგლუნდი-13 (პერონი-22, სტრაჩანი-2), 2:3 სტინი-6 (ტკაჩუკი-14, ვიმერი-4), 3:3 ვ. მიტჩელი-3, 3:4 ოში-4 (კოლაიაკოვო-8, ბეკსი-8), 4:4 დ. სედინი-20 (ბიეკსა-16, ჰ. სედინი-32), 4:5 ბოესი-19 (ბერგლუნდი-14, პოლაკი-9), 4:6 კომბინი-9 (ტკაჩუკი-15, ჯეკმენი-11).

**ანაჰაიმი-ტამპა ბეი 3:4**

0:1, 3:2, 0:1

გოლები: 0:1 სენტ ლუისი-16 (ლეკავალიე-19), 0:2 პროსპალი-9 (ლეკავალიე-20, არტიუხინი-5), 1:2 ებეტი-2 (ბ. მორისონი-7, პედიკანი-5), 1:3 მელოუნი-11 (სენტ ლუისი-23, მეზაროში-11), 2:3 მონტადორი-3 (ბ. მორისონი-8, ებეტი-4), 3:3 პრონგერი-8 (გერცლოვი-34, მილერი-1), 3:4 მელოუნი-12 (პალმერი-4, სენტ ლუისი-23).

### 10 იანვარი

**ბოსტონი-კაროლინა 5:1**

2:0, 3:0, 0:1

გოლები: 1:0 კრეისი-16 (უილერი-13, ვიდემანი-20), 2:0 ბილე-6 (კარსუმსი-1, მ. სტიუარტი-3), 3:0 მ. სტიუარტი-4 (ბიტცი-1, ხარა-16), 4:0 რაიდერი-16 (კრეისი-29, ლამოფი-1), 5:0 რაიდერი-17 (კრეისი-30, უილერი-14), 5:1 ჯასტინ უილიამსი-3 (ფ. კაბერლე-6, რეი უიტნი-22).

**ფლორიდა-ატლანტა 8:4**

3:1, 0:2, 5:1

გოლები: 1:0 ფროლიკი-9 (ბულიტი), 1:1 კ. არმსტრონგი-12 (ვიაჩ. კოზლოვი-23, ტ. უაიტი-27), 2:1 ბოუმისტერი-8 (გ. კემპბელი-10, კალიმორი-5), 3:1 დვორაკი-7 (გ. კემპბელი-11, სკრასტინსი-7), 3:2 ტ. უაიტი-13 (ვიაჩ. კოზლოვი-24, ჰეინსი-17), 3:3 ე. კრისტენსენი-3 (ტ. უაიტი-28), 4:3 პელტონენი-7 (დვორაკი-12), 5:3 სტილმანი-9 (ფროლიკი-10, სკრასტინსი-8), 6:3 ბუტი-18 (ზედნიკი-8, ჰორტონი-10), 7:3 პელტონენი-8 (გ. კემპბელი-12, დვორაკი-13), 7:4 კოვალჩუკი-16 (სლეიტერი-8), 6:4 ჰორტონი-12 (ზედნიკი-9, ბუტი-10).

**კოლამბუსი-მინესოტა 4:2**

1:1, 0:0, 3:1

გოლები: 1:0 ფილატოვი-2 (ვორაჩეკი-13, მეტოტი-7), 1:1 მიეტინენი-10 (მ. კოიუ-27, ჟიდლიცკი-12), 2:1 დორსეტი-2 (პიკარი-1, მალორტა-8), 3:1 ფილატოვი-3 (პეკა-7, ვორაჩეკი-14), 4:1 ფილატოვი-4 (პეკა-8, ვორაჩეკი-15), 4:2 ჟიდლიცკი-6 (ბუშარი-13, მიეტინენი-17).

**მონრეალი-ვაშინგტონი 5:4**

1:1, 0:1, 4:2

გოლები: 0:1 სიომინი-15 (მ. გრინი-17, სლოუნი-4), 1:1 პლეკანეცი-8 (კოსტოპულოსი-9, კომისარეკი-3), 1:2 სიომინი-16, 2:2 ლანგი-16 (მარკოვი-25, ა. კოსტიცინი-12), 3:2 ა. კოსტიცინი-13 (ს. კოსტიცინი-10, ბრისბუა-9), 3:3 ფლიშმანი-13 (ბრედლი-4, ნიულანდერი-16), 4:3 პლეკანეცი-9 (პასიორეტი-2, კოვალიოვი-2), 4:4 ნიულანდერი-4 (ოვეჩკინი-27, მ. გრინი-18), 5:4 ს. კოსტიცინი-8.

**ოტავა-რეინჯერსი 0:2**

0:1, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 დუბინსკი-6 (კორპიკოსკი-3, პრუხა-3), 0:2 კორპიკოსკი-2 (ფერდოვი-25, კალინინი-8).

**ნეშვილი-ჩიკაგო 4:1**

1:0, 1:0, 2:1

გოლები: 1:0 ლეგვანდი-8 (ერატი-17, არნოტი-11), 2:0 შ. უებერი-13 (დუმონი-26, სატერი-18), 2:1 ბარიში-2 (ვიშნიევსკი-6, იგერი-2), 3:1 ბონკი-3 (ჯ. უორდი-7, სატერი-19), 4:1 ლეგვანდი-9 (ჯ. უორდი-8, ზანონი-6).

**ფინიქსი-დალასი 1:0 (ბ)**

0:0, 0:0, 0:0, 0:0

ბულიტები გაიტანეს: მიულერი (ფინიქსი), რიბეირო (დალასი), ნილი (დალასი), რაინპრეხტი (ფინიქსი), ტარისი (ფინიქსი).

**ფილადელფია-ტორონტო 4:1**

1:0, 0:0, 3:1

გოლები: 1:0 მ. რიჩარდსი-16 (საიმონ განიე-23), 1:1 პონიკაროვსკი-14 (სტაიანი-22, ანტროპოვი-20), 2:1 ჯ. კარტერი-28 (ტიმონენი-24, ბირონი-3), 3:1 ალბერტსი-1 (აპშოლი-10, ემეში-4), 4:1 ჯ. კარტერი-29.

**დეტროიტი-ბაფალო 3:1**

0:1, 1:0, 2:0

გოლები: 0:1 დ. როი-16 (სტეფორდი-16, ვანეკი-12), 1:1 ჰუდლერი-16 (ლებდა-6, სამუელსონი-19), 2:1 სამუელსონი-10 (ჰუდლერი-18, ფილპულა-12), 3:1 მარიან ჰოსა-20 (ზეტერბერგი-23).

**ვანკუვერი-სან ხოსე 2:4**

1:1, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 რ. ბლეიკი-7 (ჯ. ტორნტონი-39, ქლოუ-15), 1:1 სუნდინი-1 (ბიეკსა-17, ჰ. სედინი-33), 1:2 გრირი-9 (გოკი-7, ელასირი-18), 2:2 დ. სედინი-21 (ო'ობრაიენი-6, ჰ. სედინი-34), 2:3 მარლო-22 (ბოილი-22, ჯ. ტორნტონი-40), 2:4 მარლო-23 (პლიჰალი-6).

**ლ. ანჯელესი-ნიუ ჯერსი 1:5**

0:1, 0:2, 1:2

გოლები: 0:1 ზაიაცი-11 (ლანგენბრუნერი-21, ელიაში-29), 0:2 ელიაში-19 (ზაიაცი-19), 0:3 პარიზე-23, 1:3 დ. არმსტრონგი-2 (ფროლოვი-11, ბ. ბოილი-1), 1:4 როლსტონი-7 (ჯონტა-25, ზუბრუსი-15), 1:5 ლანგენბრუნერი-8 (ზაიაცი-20, პარიზე-25).

**კოლორადო-პიტსბურგი 5:3**

1:1, 3:1, 1:1

გოლები: 1:0 რ. სმიტი-14 (ვოლსკი-14, ჰეიდუკი-18), 1:1 მალკინი-16 (კროსბი-38, ორპიკი-8), 2:1 დ. ჯონსი-7 (ლაილსი-15, მაკლეოდი-1), 2:2 კროსბი-17 (მალკინი-49, ორპიკი-9), 3:2 ვოლსკი-11 (რ. სმიტი-17), 4:2 მაკლეოდი-8 (ლეოპოლდი-10, დ. ჯონსი-5). 4:3 ჯ. სტაალი-13, 5:3 დ. ჯონსი-8 (არნასონი-9, სვატოსი-10).

ცხელი ხაზი

## კალათბურთი

### გერმანია

| | |
|---|---|
| სკაილაინერსი-ერტლანდი | 76:70 |
| ბამბერგი-კიოლნი | 65:71 |
| ჯაიანტსი-ულმი | 79:80 |
| ოლდენბურგი-ალბა | 81:72 |
| დიუსელდორფი-ჰესენი | 84:91 |
| ბრაუნშვაიგი-ტელეკომი | 74:68 |
| ტიუბინგენი-ლუდვიგსბურგი | 77:67 |

### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| კოლოსოსი-კავალა | 101:84 |
| ლარისა-პაოკ | 95:97 (ო) |
| პანელინიოსი-ეგალეო | 83:68 |
| ტრიკალა-არისი | 82:84 |
| პანიონიოსი-ოლიმპია | 70:64 |
| პანათინაიკოსი-აეკ | 86:82 |
| მარუსი-ოლიმპიაკოსი | 81:82 |

### ესპანეთი

| | |
|---|---|
| რეალი-ფუენლაბრადა | 90:74 |
| ბილბაო-ვალენსია | 72:78 |
| ბრუესა-ბარსელონა | 69:76 |
| გრანადა-ესტუდიანტესი | 53:72 |
| კახასოლი-სარაგოსა | 75:79 |
| უნიკახა-მენორკა | 78:53 |
| ტაუგრესი-გრან კანარია | 105:79 |
| ხუვენტუდი-მურსია | 86:70 |

### იტალია

| | |
|---|---|
| კაზერტა-ფორტიტუდო | 68:68 |
| ვირტუსი-მონტეგრანარო | 79:67 |
| ტერამო-ბენეტონი | 85:83 |
| რომა-აველინო | 93:90 (ო) |
| მილანი-ბიელა | 87:71 |
| სკავოლინი-კანტუ | 84:86 |
| ფერარა-რიეტი | 105:64 |
| სნაიდერო-სიენა | 61:92 |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| დიჟონი-ჰათრი | 90:103 |
| ორლეანი-პო ორტეზი | 85:72 |
| სტრასბური-გრაველენი | 96:90 |
| ტულონი-ვილერბანი | 66:79 |
| შალონი-რუანი | 101:66 |
| შოლე-ბეზანსონი | 83:61 |
| ლე მანი-ნანსი | 92:82 |

## ჰოკეი

### ავსტრია

| | |
|---|---|
| ვენა-აკრონი | 4:4 |
| ვილახი-ზალცბურგი | 4:4 |
| ინსბრუკი-კლაგენფიურტი | 2:6 |
| ლინცი-გრაცი | 2:2 |
| ოლიმპია-ალბა | 2:1 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| კასელი-იზერლონი | 2:4 |
| კიოლნი-დუისბურგი | 3:3 |
| ნიურნბერგი-აუგსბურგი | 1:5 |
| ფრანქფურტი-ჰამბურგი | 3:1 |
| ინგოლშტადტი-დიუსელდორფი | 5:3 |
| კრეფელდი-მანჰაიმი | 2:3 |
| შტრაუბინგი-ვოლფსბურგი | 3:5 |

### დანია

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-ფრედერიქსჰავ. | 2:1 |
| ოდენსე-ოლბორგი | 7:6 |
| სიონდერილი-ტოტემპო | 5:2 |
| ჰერლევი-როდოვრე | 2:4 |
| ჰერნინგი-ესბერგი | 5:2 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| სპარტა-ვოლერენგა | 5:2 |
| კომეტი-სტიორნენი | 3:3 |
| სტავანგერი-ფურუსეტი | 10:0 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 5:0 |
| ლილეჰამერი-ლორენსკოგი | 9:2 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-მიკულაში | 4:2 |
| ჟილინა-პოპრადი | 2:3 |
| კეჟმაროკი-სლოვანი | 4:4 |
| კოშიცე-ნიტრა | 8:2 |
| მარტინი-სკალიცა | 1:3 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 5:3 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-სეიპა | 2:3 |
| კერპეტი-ტაპარა | 4:2 |
| ლუკო-კალპა | 0:1 |
| ტპს-პელიკანსი | 2:0 |
| ჰპკ-კიეკო | 2:2 |
| ესეტი-ჰიფკ | 4:3 |
| იუვიასკიულა-ილვესი | 2:2 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ულინი-პლზენი | 3:0 |
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 2:2 |
| სპარტა-ლიტვინოვი | 5:4 |
| ბუდეიოვიცე-სლავია | 0:7 |
| კლადნო-ლიბერეცი | 2:2 |
| ბოლესლავი-ვიტკოვიცე | 5:1 |
| ტრშინეცი-ზნოიმო | 1:1 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბერნი-რაპერსვილი | 4:3 |
| დავოსი-ბილი | 5:1 |
| კლოტენი-ჟენევა | 3:2 |
| ფრიბურგი-ლანგნაუ | 6:5 |
| ცუგი-ციურიხი | 5:2 |
| ლუგანო-ამბრი | 3:1 |
| ბილი-ბერნი | 6:1 |
| რაპერსვილი-ცუგი | 2:2 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-აიკ | 5:4 |
| ლინჩოპინგი-როგლე | 3:3 |
| სიოდერტალე-მოდო | 2:7 |
| ტიმრა-იურგორდენი | 4:2 |
| ჰვ71-ფერიესტადი | 2:0 |

TV სპორტი

## 12 იანვარი. ორშაბათი

### I არხი

23:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსჟ.
09:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ალმერია.
11:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ტოტენჰემი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსჟ.
19:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ესპანეთის ჩემპიონატი.
01:15 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
01:50 ესპანეთის ჩემპიონატი.
03:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსჟ.
05:30 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ტოტენჰემი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
09:45 სპორტის სამყარო
10:10 პროფესიული კრივი. 2008 წლის საუკეთესო ბრძოლები.
11:20 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ანაჰაიმი-დეტროიტი.
13:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-სევილია.
14:55 ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. რადეკ შტეპანეკი-როჯერ ფედერერი. შანხაი. ჩინეთი.
16:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:10 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
17:35 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2002-03. იუვენტუსი-მილანი.
20:25 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ტამპა ბეი.
22:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. მიმოხილვა.
23:50 პროფესიული კრივი. ვლადიმერ სიდორენკო-ნაბუტო იკეპარა.
00:55 პროფესიული კრივი. 2008 წლის საუკეთესო ბრძოლები.
02:05 ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. რადეკ შტეპანეკი-როჯერ ფედერერი. შანხაი. ჩინეთი.
03:50 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
04:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ოსასუნა.
06:00 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2002-03. იუვენტუსი-მილანი.

### EUROSPORT

11:30 რალი-რეიდი. დაკარი. VIII ეტაპი.
12:15 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
12:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS200. ტაუპლიტცი. ავსტრია.
13:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. ქალები. ობერჰოფი. გერმანია.
14:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. მასსტარტი. კაცები. ობერჰოფი. გერმანია.
15:00 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. II დღე. ლონდონი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. II დღე. ლონდონი (LIVE).
22:15 რალი-რეიდი. დაკარი. IX ეტაპი (LIVE).
22:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოვება. ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
00:00 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. II დღე. ლონდონი (LIVE).
02:00 რალი-რეიდი. დაკარი. IX ეტაპი (LIVE).
02:45 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. II დღე. ლონდონი (LIVE).
03:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:45 რალი-რეიდი. დაკარი. IX ეტაპი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი. რეგულარული სეზონი. აშშ.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. V ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვალჩეა (რუმინეთი).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ეგალეო.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. V ტური. ლადა (რუსეთი)-პოდრავკა (ხორვატია).
19:00 ლაკროსი. რეგულარული სეზონი. აშშ.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
22:00 სნოუბორდი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. V ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ვალჩეა (რუმინეთი).
23:30 ლაკროსი. რეგულარული სეზონი. აშშ.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. V ტური. ლადა (რუსეთი)-პოდრავკა (ხორვატია).
02:00 ბილიარდი
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობის წინ

# შარაპოვა ტიტულს ვერ დაიცავს



ავსტრალიის ღია პირველობის მოქმედი ჩემპიონი, მსოფლიო კლასიფიკაციის მეცხრე ნომერი **მარია შარაპოვა** მელბურნის კორტებზე ტიტულის დაცვას ვერ შეძლებს. რუსმა ჩოგბურთელმა "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის ორგანიზატორებს ოფიციალურად განუცხადა, რომ გამოაქვს განაცხადი ავსტრალიის ღიადან.

*"სამწუხაროა, მაგრამ მე ვერ შევძლებ ავსტრალიის ღია პირველობაზე ტიტულის დაცვას. ტრავმირებული მხარის აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ვარჯიში ახალი დაწყებული მაქვს და შესაბამისად, არ ვარ ისეთ სპორტულ ფორმაში, რომელიც უმაღლესი დონის ტურნირში წარმატებით გამოსვლის საშუალებას მომცემს, - აცხადებს მარია შარაპოვა. - ავსტრალიის ღია ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ტურნირია. იქ საუკეთესო გულშემატკივრები არიან და ისინი ძალიან მომენატრებიან. მათ ვპირდები, რომ მომავალ წელს აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს".*

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაში იუარა კიდევ ერთმა ცნობილმა რუსმა ჩოგბურთელმა **ნიკოლაი დავიდენკომ**. ამ შემთხვევაშიც მიზეზი ტრავმა გახლავთ.

■ ■ ■

ამასობაში, ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გაირკვა, რომ ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულებისთვისა და ფინალისტებისთვის საპრიზო თანხა გაიზრდება.

ტურნირის ტრიუმფატორები თითოზე 2 მილიონ ავსტრალიურ დოლარს მიიღებენ, ფინალისტები - ერთ მილიონს. ამასთან, ავსტრალიის ღიას სხვა ეტაპის მონაწილეებისთვის ჰონორარები უცვლელი დარჩა.

ორგანიზატორების ამგვარი გადაწყვეტილება ამერიკულ დოლართან მიმართებაში ავსტრალიური დოლარის კურსის მკვეთრმა დაცემამ გამოიწვია.

ტურნირების მიმოხილვა

# მიურეის ვერ აჩერებენ

ბრიტანელი **ენდი მიურეი** მოახლოებულ ავსტრალიის ღია პირველობას უმთავრესი ფავორიტის რანგში ხვდება. დიახ, ამ ეტაპზე ეს სტატუსი არა **როჯერ ფედერერს, რაფაელ ნადალს** ან **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, არამედ სწორედ ახალგაზრდა შოტლანდიელ ჩოგბურთელს ეკუთვნის, რომელმაც კატარის დედაქალაქ დოჰაში მორიგი ტიტული მიითვალა.

მიურეი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის როჯერ ფედერერის ყველაზე უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდა. დოჰას ტურნირის ნახევარფინალში ენდიმ ზედიზედ მესამედ მოუგო შვეიცარიელს. ეს სერია გასული წლის ბოლოს, მასტერსის თასის ჯგუფურ ეტაპზე დაიწყო, როცა მიურეიმ ნახევარფინალში არ გაუშვა ფედერერი, გასულ კვირას აბუ-დაბის საჩვენებელ ტურნირზე გაგრძელდა და ამას დოჰაში მოგებული მესამე შეხვედრა დაემატა.

ეს პირველი მიზეზია იმისთვის, რომ მიურეი ავსტრალიის ღიას ფავორიტად მოვნათლოთ. იმავე აბუ-დაბის ტურნირზე ენდიმ რაფაელ ნადალსაც მოუგო. თანაც ესპანელი დოჰას ტურნირზეც დამარცხდა (**გაელ მონფილსთან**) და ვერ არის სასურველ ფორმაში - ესეც მეორე მიზეზი. ამ სეზონში ენდი მიურეის მხოლოდ ნოვაკ ჯოკოვიჩთან არ უთამაშია, მაგრამ არც სერბი უნდა იყოს ფორმაში, რადგან ბრისბენის ტურნირის პირველივე წრეში, ორ სეტში წააგო ლატვიელ **ერნესტ გულბისთან**. აი კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც უნდა მივიჩნიოთ ბრიტანელი ავსტრალიის ღიას მთავარ ფავორიტად.

მაგრამ მიურეი მოკრძალებით აფასებს თავის შანსებს და არ ავიწყდება, რომ შარშან, ავსტრალიაში პირველივე წრეში დამარცხდა ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან**, რომელმაც შემდეგ ფინალამდე მიაღწია: *"ავსტრალიის ღია პირველობას მართლაც კარგ ფორმაში ვხვდები, მაგრამ შარშანდელი ფიასკოც კარგად მახსოვს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ასეთი დონის ტურნირებზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თანაც მელბურნში ითამაშებენ როჯერი, რაფა და ნოვაკი. სწორედ მათ მივიჩნევ ტურნირის ფავორიტებად და არა საკუთარ თავს".*

დოჰას ტურნირის ფინალში ენდი მიურეიმ იოლად მოუგო თავის სეხნიას, ამერიკელ **როდიკს**. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ წრეში ბრიტანელს ერთი გეიმიც არ დაუთმია საკუთარ მოწოდებაზე.



როდიკს გადამწყვეტ მატჩში ერთადერთი ბრეიკპოინტი ჰქონდა, რომლის გამოყენება ვერ შეძლო. მიურეიმ კი პირველ სეტში ერთხელ და მეორეში - ორჯერ შეძლო მეტოქის მოწოდებაზე გეიმის მოგება და 6:4, 6:2 გაიმარჯვა.

*"ენდი ბრწყინვალე ფორმაშია და მას უკვე შეუძლია წლის მთავარ ტურნირებში გამარჯვებაზე ფიქრი. ამიტომაც მასთან წაგება დიდად არ მინაღვლია, პირიქით, საკუთარი თამაშით ძალიან კმაყოფილი დავრჩი"*, - ეს ენდი როდიკის სიტყვებია.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ATP

### Brisbane International

ბრისბენი (ავსტრალია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 484 750 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 3)**-პოლ ანრი მატიო (საფ) 6:2, 6:1; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 8)**-რიშარ გასკე (საფ, 7) 2:6, 6:2, 6:4.

**ფინალი**

**რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 8)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 3) 3:6, 6:3, 6:4.

### Chennai Open

ჩენაი (ინდოეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 450 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**მარინ ჩილიჩი (ხორ, 3)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 7) 6:4, 0:6, 6:4; **სომდევ დევარმანი (ინდოეთი)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 4) 7:6(4), 6:4; **რაინერ შუტლერი (გერ, 5)**-ბიორნ ფაუ (გერ) 6:2, 7:5; **მარსელ გრანოლერსი (ესპ, 8)**-ლუკაშ დლუჰი (ჩეხ) 7:5, 2:6, 6:4.

**1/2 ფინალი**

**მარინ ჩილიჩი (ხორ, 3)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ, 8) 6:4, 6:3; **სომდევ დევარმანი (ინდოეთი)**-რაინერ შუტლერი (გერ, 5) შუტლერის უარი.

**ფინალი**

**მარინ ჩილიჩი (ხორ, 3)**-სომდევ დევარმანი (ინდოეთი) 6:4, 7:6.

### Qatar ExxonMobil Open

დოჰა (კატარი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 110 250 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-როჯერ ფედერერი (ბრიტ, 2) 6:7(6), 6:2, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 4)**-გაელ მონფილსი (საფ, 5) 7:6(1), 3:6, 6:3.

**ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-ენდი როდიკი (აშშ, 4) 6:4, 6:2.

## WTA

### Brisbane International

ბრისბენი (ავსტრალია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-სარა ერანი (იტა) 6:3, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 3)**-ამელი მორესმო (საფ, 5) 4:0 მორესმოს უარი.

**ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 3) 6:3, 6:1.

### ASB Classic

ოკლენდი (ზელანდია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**ელენა დემენტიევა (რუს, 1)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:4, 6:1.

კვირის ობიექტივი



ამ კვირას ფრანგი **ამელი მორესმო** ბრისბენის ტურნირში იღებდა მონაწილეობას და ერთ-ერთ ეტაპზე **ანა ივანოვიჩის** დამარცხებით თავისი გულშემატკივრები დიდად გაახარა. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს დიდი ხანია არაფერი მოუგია და ამელის ეს წარმატება მის ტრიუმფალურ დაბრუნებად აღიქვეს, მაგრამ ფრანგმა ნახევარფინალში თანამემამულე **მარიონ ბარტოლისთან** ტრავმის გამო შეწყვიტა ბრძოლა და არავინ იცის, კიდევ რამდენი ხნით გამოაკლდა ქალთა ტურს. მას ვერც ფიზიოთერაპევტის მზერამ უშველა...



ეს არის იაპონიის ქალაქ ოსაკას ბეისბოლის გუნდის Nankai Hawks-ის ყოფილი არენა. 1988 წელს კლუბი ფუკუოკაში გადაბარგდა. ოსაკას მთავრობამ არენის დემონტაჟი ძვირადღირებულ საქმედ ჩათვალა, ყველაფერი ძველებურად დატოვა და სტადიონი ქალაქის საცხოვრებელ ფონდში შეიტანა. საბოლოოდ, გაჩნდა ახალი უბანი. თანაც, არენის შიდა ოთახები ჰიპერმარკეტად აქციეს...


